ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

6 თებერვლიდან!
„ახალ თაობასთან“ ერთად
ქართული დეტექტივი
შავი ვარდი
ტომი 2
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, 7 თებერვალი, 2014 | №31 (6342) | ფასი: 30 თეთრი

# „ქართული ოცნება“ სააკაშვილის ხალხმა შექმნა“

ივანიშვილს ხალხმა ხმა იმიტომ მისცა, რომ ყოფილიყო პრემიერ-მინისტრი და ემართა პროცესები გვ.2

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



გვ.3

## კობა კობალაძე: „3-4 კაცი ამბოხებას ვერ მოაწყობს“

რაზე ესაუბრნენ კობა კობალაძესა და ემზარ კვიციანს ტარიელ ონიანი და თემურ ალასანია

## „რუსები ანქვაბის მოკვლას აპირებენ“



გვ.4

რატომ აპირებდა აფხაზთა ლიდერი გადადგომას

## კუსტარული ნარკოტიკული საშუალებების დასამზადებელი მედიკამენტების რეალიზაციაზე კონტროლი მკაცრდება გვ.2

## საბურთალოს გამგებელი თანამდებობას ტოვებს გვ. 6



## სოლომონ პავლიაშვილი: „საშიშია, ლარის ინფლაცია დაიწყო“ გვ.2



## საქართველოს ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ეწვია გვ. 7



## მამა მიქაელ ბოტკოველი: „ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე საპატრიარქოს ოფიციალური პოზიცია არ გამოუხატავს“



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის მდივანი, დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი მისი სახელით ინტერნეტით გავრცელებულ კომენტარს ეხმაურება. იგი ხსენებულ განცხადებასთან კავშირს უარყოფს.

„როგორც ცნობილი გახდა, ჩემი სახელით ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ერთგვარი პასუხი ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიერ ა.წ. 4 თებერვალს პრესკონფერენციაზე ეკლესიასთან დაკავშირებით გამოთქმულ პოზიციაზე, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. აღნიშნულთან დაკავშირებით არც კათოლიკოს-პატრიარქის მდივანს და არც საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური პოზიცია არ დაუფიქსირებიათ და არც რაიმე განაცხადი გაუკეთებიათ“, — ნათქვამია მამა მიქაელის განცხადებაში, რომელიც საპატრიარქომ გუშინ გაავრცელა.

მედიანიუსი

5 თებერვლიდან!
„ახალი თაობა“
+
ეს სამყაროა
ეგვიპტე
10 ლარი




ISSN 1987-9385

4 საგარეჯოს რაიონში მომხდარი მკვლელობის საქმე გახსნილია

8 რუსეთი მსოფლიოს სიმშვიდისკენ მოუწოდებს

4 თეა წულუკიანი: „მჯეროდა, რომ კირვალიძე და მისი გუნდი მართალი იყო კანონის წინაშე“

5 საიდან ემუქრება საქართველოს საფრთხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნანა დევდარიანი: „ქართული ოცნება“ სააკაშვილის ხალხმა შექმნა

ნონა ცაბაძე

**ბიძინა ივანიშვილის ახალ ამპლუაში გამოჩენას საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდა. ალბათ, არ იქნება გადაჭარბებული, თუკი ვიტყვით, რომ მომლოდინეთა დიდ ნაწილს იმედები გაუცრუვდა. ყოფილი პრემიერის გამოსვლას საზოგადოების წინაშე და მის განცხადებებს ექსპერტი, გლობალური კვლევების ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი აფასებს:**

არასამთავრობო სექტორი ძალიან ბევრია საქართველოში, მაგრამ დიდი ნაწილი მხოლოდ ქაღალდზეა და ვერ ახერხებს თავისი მიზნების შესრულებას. ეს მარტო ფინანსებთან არ არის დაკავშირებული, თუმცა ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა. ეს არ არის რიგითი შემთხვევა, როცა მე და თქვენ დავაფუძნებთ არასამთავრობო ორგანიზაციას ეს სულ სხვაა და სულ სხვაა, როცა ბიძინა ივანიშვილი აფუძნებს.

***— რა როლი დაეკისრება ამ ორგანიზაციას, თქვენი აზრით? ვნახეთ, რომ უკვე გაისმა მესიჯები პრესის კონტროლის, არასამთავრობო სექტორის, ექსპერტების კონტროლის... რა ხდება?***

— ძალიან ამბიციური ამოცანა აქვს დასახული ივანიშვილს, ის, რომ საზოგადოება უნდა გაზარდოს. ერთ ადამიანს, ან დავუშვათ ერთ ორგანიზაციას მთელი საზოგადოების გაზრდა, რბილად რომ ვთქვა, ძალიან გაუჭირდება. თუ მისი ინტერესი მთელი საზოგადოების გაზრდაა, ამას ძალიან დიდი იდეოლოგიური მანქანა სჭირდება. ერთი არასამთავრობო ამას ვერ აუვა, თუნდაც მილიარდერი და უძლიერესი ბიზნესმენი იყოს მისი ხელმძღვანელი. ამასაც რომ თავი დავანებოთ, შეიძლება ცუდი შედარებაა, მაგრამ ასეთები გვახსოვს ჩვენ, საზოგადოების გაზრდა რომ უნდოდათ, მაგალითად, თავისუფლების ინსტიტუტს. აქვთ რაღაცა გამოგონილი იდეოლოგია, რომლითაც უნდათ, გამოზარდონ საზოგადოება და გადაიყვანონ აზროვნების სხვა სტილზე და სხვა ღირებულებებზე. ეს ასე არ გამოდის, რა თქმა უნდა. თავისთავად მედიის დატრენინგება, ჟურნალისტებისთვის რაღაც სემინარების ჩატარება, ბევრი თვალსაზრისით ძალიან კარგია, მაგრამ ამას აკეთებენ სხვადასხვა ორგანიზაციები. არაჩვეულებრივი საშუალება ჰქონდა ბიძინა ივანიშვილს, ეჩვენებინა როგორი უნდა იყოს სამაგალითო მედია, მაგალითად მისი მეცხრე არხის სახით. არადა, მოხდა უცნაური რაღაც, კაცი წასვლას აპირებდა პოლიტიკიდან და სულ რაღაც ერთი თვით ადრე, საერთოდ დახურა ეს ტელეკომპანია. ამდენად, გაუგებარი რჩება, რა იგულისხმება. თუ დავაკვირდებით მის გალიზიანებას დასმული კითხვების გამო, მაშინ მივხვდებით, რომ ეს ტრენინგები ემსახურება იმას, რომ არასასურველი კითხვები არ უნდა დაისვას. როგორც არ უნდა ეცადო ამას, კითხვები მაინც დაისმება. არ დაგისვამენ ის ჟურნალისტები, ვისაც შენ ტრეინინგი ჩაუტარე, დასვამენ სხვები ხომ?! საზოგადოება კი მოუსმენს და წაიკითხავს იმ მედიასაშუალებას, სადაც მათთვის საინტერესო კითხვები იქნება დასმული. მაშინ უნდა გადახვიდე მედიის ტოტალურ კონტროლზე, რასაც ახერხებდა თავის დროზე საბჭოთა კავშირი, მაგრამ ის სულ სხვა იდეოლოგიის სახელმწიფო იყო და სულ სხვა მანქანა ემსახურებოდა ამას. მე 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჟურნალისტი ვარ, იმ დროს უკვე აღარ იყო ისეთი კონტროლი. შე-



უძლებელია, რომ მუდმივად ყველა და ყველაფერი აკონტროლო. აღარც ის დრო არ არის და აღარც ის სახელმწიფო არ არის. ამ სახით კონტროლი და თვალის მიდევნება ძალიან გაჭირდება. იქ ექსპერტებზეც იყო საუბარი. ჟურნალისტები და ექსპერტები ურცხვად ტყუიან, ამიტომ ჩვენ შევქმნით ახალ ანალიტიკოსებს, რომლებიც არ იცრუებენ. ჯერ ერთი, შეუმცდარი მაღლა ღმერთია და რაც უნდა ზარდო ანალიტიკოსი, ის არ არის დაზღვეული, რომ არ შეცდება. მერე მეორეც არის, როდესაც შენ ხედავ, რომ ვიღაცა ტყუის ან ცდება, იქვე არგუმენტებით უნდა უთხრა, რაშია სიცრუე, ან რაშია შეცდომა. არაერთხელ ვნახეთ დიალოგში, რომ ივანიშვილი კამათობს ხოლმე ჟურნალისტებთან. ჟურნალისტი უსვამს კონკრეტულ შეკითხვას და ეს იქით უბრუნებს კითხვას, თქვენ თვითონ დამისახელეთ, რა არ შევასრულეო?! ეს დატრენინგებული ანალიტიკოსები გამზადებული ტექსტით თუ ილაპარაკებენ, არ ვიცი, თორემ ვიღაც აუცილებლად შეეკამათება და დაუსვამს კითხვას.

***— ფაქტია, რომ განსხვავებულ აზრს და კრიტიკას ვერ იტანს ივანიშვილი...***

— ვერავინ ვერ ვიტანთ, ვის გვიყვარს კრიტიკა? არავის. უბრალოდ განსხვავებაა ჩვენს რეაქციაში. ვიღაცა მოთოკავს თავს, შეეცდება, იპოვოს ამ კრიტიკაში სალი მარცვალი და გამოიყენოს, ვიღაცას კი ექნება აი, ასეთი რეაქცია.

***— ითქვა, რომ ისინი კონკრეტულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ითანამშრომლებენ. ხომ არ მოხდება ამ სფეროს მონოპოლიზება?***

— ვინც დაასახელა, რომ მათთან ვითანამშრომლებო, არჩილ კბილაშვილი ისედაც მისი გუნდის წევრია. რა საჭირო იყო ორი არასამთავრობოს შექმნა, ერთში რომ ყოფილიყვნენ, ისედაც მშვენივრად ითანამშრომლებდნენ. ამდენად, ეს მარტო იმას ნიშნავს, რომ იქნება რაღაცა ჯგუფი, უშუალოდ მისი ნდობის აღჭურვილი პირების სახით, რამდენიმე არასამთავრობო და ითანამშრომლებს მათთან. ძალიან ბევრი კითხვა ისმის. პრესკონფერენციაზე გაისმა ისეთი თემები, რაც პირდაპირ შედის მთავრობის ამოცანებში. მაგალითად, ეკონომიკის გაჯანსაღება და ასე შემდეგ. ის თითქმის ერთი წელიწადი იყო პრემიერ-მინისტრი და მიაჩნია, რომ ყველა დაპირება შეასრულა, ზოგიერთი შესრულების პროცესშია და დატოვა ეს თანამდებობა. ახლა ის, რაც შიგნით გაცილებით უფრო მარტივად გადასაწყვეტი იყო, ეს ამოცანები ივანიშვილმა გამოიტანა გარეთ, არასამთავრობო სექტორში. შემძახებელი, გამკრიტიკებელი, ან სალი საექსპერტო აზრის მიმწოდებლის დეფიციტი საქართველოში არ არის, მაშინ ისმის კითხვა, რას ემსახურება ეს ყველაფერი? იგივე ივანიშვილი და კბილაშვილი სამთავრობო სექტორში მშვენივრად მოახერხებდნენ იმ ამოცანების გადაწყვეტას, რასაც აპირებს, არასამთავრობო სექტორიდან გადაწყვიტოს.

***— რა შთაბეჭდილება გრჩებათ თქვენ? რაშია საქმე?***

— როგორ გითხრათ. ძალიან მარტივად რომ შევხედოთ, ეს ასეა, რომ მაკრიტიკებთ, კრიტიკას რა უნდა, ეგ მეც შემიძლია. ხშირ შემთხვევაში ჩვენი მდგომარეობა არის განსხვავებული, ჩვენ არ ვართ დღევანდელ საპარლამენტო უმრავლესობაში, მთავრობაში, ჩვენ ვართ სისტემის გარეთ, ჩვენ ვართ მოქალაქეები. ჩვენ ამას ისედაც ვაკეთებთ და მომავალშიც გავაკეთებთ. ახლა იმ სტატუსის დატოვება, ამ ხელისუფლებას საჯაროდ მისცე მითითებები, ალბათ ემსახურება იმას, რასაც ნაციონალები აბრალებენ, რომ კულუარებიდან უნდა მართოს ქვეყანაო, აი, ეს პრეტენზიები მოიხსნეს. უნდა გითხრათ, რომ ნაციონალების პრეტენზიებს ეგ ვერ მოხსნის. ამას თუ აღარ იტყვიან, სხვა რამეს იტყვიან. ვერ მოიფიქრებენ თუ სინდისი შეუშლით ხელს? მე მიმაჩნია, რომ ეს არასწორი ნაბიჯია. ხალხმა ივანიშვილს ხმა რომ მისცა, ერთი წლით კი არ მისცა ხმა, შემდეგ არჩევნებამდე მისცა. ახლა გამოვიდა ისე, რომ ხელისუფლებაში დარჩნენ ადამიანები, ვისაც ივანიშვილის გარეშე არავინ ხმას არ მისცემდა და თვითონ თამაშიდან გავიდა. უკვე ეს არის პრინციპულად არასწორი. ნორმალურ ქვეყანაში ასეთ ვითარებაში დაინიშნებოდა ახალი არჩევნები. მის გამო, მისი პირადი ფაქტორის გამო მოხდა ეს ყველაფერი. თუმცა ისიც არ უნდათ, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს. უკვე ეს კონფიგურაცია თავისთავად არის საეჭვო. ხალხმა მოგცა ხმა იმისათვის, რომ ყოფილიყავი პრემიერმინისტრი და გემართა პროცესები. ახლა შენ გამოხვედი ამ თამაშიდან და არასამთავრობოს რიგებში ჩაეწერე. არაფერს ეს არ ჰგავს! ეს არ იყო ნამდვილად ხალხის მოლოდინი. რამდენიც უნდა გვარწმუნონ, ძალიან გაჭირდება საზოგადოების დარწმუნება, რომ ეს სწორი ნაბიჯია.

***— მან მოიხსნა ზედმეტი პასუხისმგებლობა?***

— ზედმეტი პასუხისმგებლობა კი არა, ის პასუხისმგებლობა, რომელიც აიღო, ბოლომდე არ ატარა. ეს უდავოა.

***— ასევე საზოგადოების გაოცება და აღშფოთება გამოიწვია პატრიარქის მისამართით გამოთქმულმა კრიტიკულმა განცხადებებმა...***

— მოდით, დავუბრუნდეთ, თუ რა კონტექსში ითქვა და წინ რა უძღოდა ამას. ივანიშვილმა თქვა, რომ მე პოლიტიკოსი არ ვარ, თუნდაც ისეთი დონის, როგორიც უსუფაშვილიო. ბევრი რამ ვისწავლე დათო უსუფაშვილისგან, მაგრამ ბევრი ვერ ვისწავლეო. აი, რაც ისწავლა, იმას ძალიან ჰგავს პატრიარქის მისამართით ნათქვამი, რომ არ უნდა იყოს ტაბუდადებული ეს თემა და თუ საჭიროა, უნდა ვაკრიტიკოთ საპატრიარქოც და ეკლესიაც. ჩვენმა საზოგადოებამ იმიტომ კი არ აირჩია ივანიშვილი, რომ ის პოლიტიკოსი ეგონა. ძალიან კარგად იცოდა, რომ პოლიტიკოსი არ არის. ეს მან აიღო პასუხისმგებლობა და შემოვიდა პოლიტიკაში. ხალხმა აირჩია იმისთვის, რომ მას ჰქონდა უდავო ავტორიტეტი. დიდი სიმპათიები იყო საზოგადოებაში თუნდაც მისი ქველმოქმედების გამო და ყველა ელოდა და რომ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. ამის მაგივრად იგი გვეუბნება, რომ ისეთი დონის პოლიტიკოსები დაგიტოვეთ და ისეთი გამართული მთავრობაო, რომ ბედნიერი უნდა იყოთ ამითო. როცა ივანიშვილი მთავრობის შიგნით იყო, ადამიანები ძალიან ბევრ რაღაცას გაგებით ეკიდებოდნენ, მაგრამ მის გარეშე გაგებით მოეკიდო იმ მომენტს, რაც დღეს ხდება, არის ძალიან რთული. ეს იწვევს გარკვეულ უკმაყოფილებას ადამიანებში. ახლა პატრიარქის თემას რომ მივუბრუნდეთ, რა გამოვიდა, უსუფაშვილი არ უნდა ვაკრიტიკოთ, მისი მთავრობა არ უნდა ვაკრიტიკოთ, იმიტომ, რომ ძალიან კარგები არიან და ეკლესია არ არის ტაბუდადებული თემა და უნდა ვაკრიტიკოთ. ლოგიკას იჭერთ ამაში? — მე ვერ ვიჭერ! რატომა კრიტიკის გარეთ მის მიერ შემოთავაზებული გუნდი და რატომ უნდა ვაკრიტიკოთ პატრიარქი და ეკლესია? სამაგიეროდ, ამით ძალიან ბედნიერია ჩვენი ე.წ. ლიბერალური პუბლიკა. ძალიან ცუდია, თუ ეს მათ საამებლად იყო გაკეთებული. თუ ივანიშვილს ჰგონია, რომ ის „ლიბერალებს“ ასიამოვნებს და ისინი აღარ გააკრიტიკებენ, ეს არის ილუზია, თავს ნუ მოიტყუებს ამით. მის გასაკრიტიკებლად მიზეზს ყოველთვის იპოვიან.

***— ხვალიდან სოჭის ოლიმპიადა იწყება და მინდა, რომ ამ თემასაც შევეხოთ. როგორია თქვენი შეფასებები და რა შედეგები მოჰყვება სოჭის ოლიმპიადას? პოლიტიკურ შედეგებს ვგულისხმობ...***

— სხვათა შორის, ამას წინათ ძალიან სწორი განცხადება გააკეთა ბურჯანაძემ. ნინო ბურჯანაძემ თქვა, რომ როცა ჩვენ ასეთ გადაწყვეტილებას ვიღებთ, მაგალითად, ვმონაწილეობთ ოლიმპიადაში, ჩვენ აქედან უნდა მივიღოთ რაღაც სარგებელი. მე თუ გადავდგი ნაბიჯი, იქითა მხარესაც უნდა მოვთხოვო, რომ მანაც გადმოდგას ჩემკენ რაღაც ნაბიჯი. კარგი გაგებით ეს პოლიტიკური ვაჭრობაა და რა გამოვიდა, ჩვენ წავედით ოლიმპიადაზე და სამაგიერო ვერაფერი ვერ მივიღეთ. აი, ეს არის პრობლემა. ის კი არა, წახვალ თუ არა ოლიმპიადაზე. ბოლოს და ბოლოს არგუმენტები გააჩნია ნებისმიერ გადაწყვეტილებას. მთავარი ის არის, რომ ჩვენ სამაგიერო არაფერი არ მივიღეთ აქედან. სპორტსმენების წასვლა ეს ერთი მომენტია, სხვათა შორის, ნებისმიერ სპორტსმენს შეუძლია სხვა ქვეყნის სახელითაც გამოვიდეს. როდესაც შენ გაქვს შანსი, რომ ამით რაღაც დიალოგის დაწყებას ჩაუყარო საფუძველი, ეს შანსი უნდა გამოიყენო, მაგრამ რაღაც ნაბიჯები შენკენაც უნდა გადმოიდგას. დათანხმდნენ, მაგრამ არაფრის სანაცვლოდ. თანაც რამდენადაც ვიცი, სამთავრობო დელეგაცია არ მიდის. ანუ მაინც ისე გააკეთეს, როგორც ნაციონალები იძახდნენ. ნაციონალების ჭკუაზე მართული ქვეყანა რომ ნდომებოდა ხალხს, შემოხაზავდნენ ხუთიანს და ისევ ისინი იქნებოდნენ მმართველები. არიან თუ არა ხელისუფლებაში, მაინც მაგათ ჭკუაზე უნდა იყოს ყველაფერი.

***— პოლიტიკურ დღის წესრიგს ისევ ნაციონალები ადგენენო და ასეა?***

— კი ასეა. გამოვარდებიან, რაღაც თემას შემოაგდებენ და მერე ესენი არიან პასუხის რეჟიმში. იმის მაგივრად, რომ მმართველი გუნდისგან მოდიოდეს თემებიც, საკითხებიც...

***— ეს ყველაფერი რით დამთავრდება?***

— რით დამთავრდება, ამის თქმა ცოტა ძნელია, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებაში ეს იწვევს ძალიან დიდ გალიზიანებას. იმიტომ, რომ მენტორული ტონით გელაპარაკებიან ის პირები, რომლებიც გუშინ რაღაც საშინელებებს სჩადიოდნენ. რაც უფრო მეტ ხანს იქნება ახალი ხელისუფლება ამ რეაგირების რეჟიმში, რეაქტიული იქნება და არა აქტიური, მით უფრო გამწვავდება ეს გალიზიანება. იმიტომ, რომ ისინი სულ უფრო და უფრო გულზე მოდიან, ხომ ხედავთ.

***— ვადამდელი არჩევნები თუ იქნება სიტუაციიდან გამოსავალი და რამდენად წავა ამაზე ხელისუფლება?***

— ეს იქნებოდა გამოსავალი, მაგრამ ამ ხელისუფლებაში მე არ მეგულება არავინ, ვისაც ენდომება ვადამელი არჩევნების ჩატარება. ყველაფერი, რასაც აკრიტიკებდნენ გუშინ და გუშინწინ, დღეს მათთვის მისაღები აღმოჩნდა. აღმოჩნდა იმიტომ, რომ თვითონ არიან მმართველი ძალის როლში. ეს ნიშნის მოგებით ლაპარაკი თავისთვის შეინახონ, იმიტომ, რომ ვინც დღეს ასე გველაპარაკება, უკვე ქართული ოცნების რიგებიდან, გუშინ და გუშინწინ სააკაშვილის ბანაკში იყო და ზუსტად ასეთი ნიშნის მოგებით ლაპარაკობდა. ყველაზე მეტად რაზეც ისმის კრიტიკა ივანიშვილის მისამართით, სწორედ ეს არის, რომ ძირითადად შეკრიბა სააკაშვილიდან წამოსული ხალხი და ისე შექმნა ქართული ოცნება. სულ უფრო და უფრო ისმის ასეთი კითხვა, რომ ეს ყველაფერი ხომ არ იყო იმისთვის, რომ იგივე პოლიტიკური ელიტა ყოფილიყო შენარჩუნებული, გარეცხილი და გადარჩენილი, ისე როგორც უსუფაშვილმა თქვა და პრაქტიკულად სააკაშვილის გარდა არავინ და არაფერი შეცვლილიყო. მოხდა რებრენდინგი იმ პოლიტიკური ელიტის, რომელიც შეერთებული შტატებისთვის იყო და არის ძალიან მისაღები.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა განდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კობა კობალაძე: „3-4 კაცი ამბოხებას ვერ მოაწყობს“

## რაზე ესაუბრნენ კობა კობალაძესა და ემზარ კვიციანს ტარიელ ონიანი და თემურ ალასანია

შორენა მარსაგიშვილი

გენერალი კობა კობალაძე „რუსთავი 2“-ს ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის სასამართლოში უჩივის და მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს. ამის შესახებ განცხადება კობალაძის ადვოკატმა ემზარ პაქსაძემ გააკეთა.

ემზარ პაქსაძის თქმით, საქმე ეხება 1 თებერვალს „რუსთავი-2“-ის ეთერით გადაცემულ სიუჟეტს, რომელიც, მისივე თქმით, თავიდან ბოლომდე სიცრუეზე იყო აგებული და „მოდელირებული ქრონიკის“ ანალოგია. მისივე თქმით, აღნიშნული სიუჟეტი გენერალ კობა კობალაძის დისკრედიტაციისკენ იყო მიმართული.

– სიუჟეტში ნაჩვენები იყო, თითქოს კობა კობალაძე ამბოხის ერთ-ერთი მეთაურია, რომლის გამოც ის ციხეში იჯდა 4 წელი და შემდგომ ახალი ხელისუფლების პირობებში პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა. სიუჟეტში გამოყენებულია ერთი კადრი, როდესაც ღვალაძე ჩვენებას იძლევა სამხედრო ფორმით, ეს კადრები არ იყო გამოყენებული სასამართლო პროცესზე, როგორც მტკიცებულება. იგივე კადრები 4 წლის წინ სატელევიზიო ეთერითაც კი არ ყოფილა გაშვებული. საინტერესოა, საიდან გაჩნდა აღნიშნული კადრები „რუსთავი 2-ის“ არქივში, სიუჟეტი თავიდან ბოლომდე სიცრუეზეა აგებული, რომელიც მიმართულია კობა კობალაძის წინააღმდეგ. ნათქვამი იყო, რომ კობალაძე, ოთანაძე და ა.შ. რამდენჯერმე იყვნენ სოციალური ამბოხების ორგანიზებაში. ასევე სიუჟეტში ნათქვამი იყო, რომ კობალაძე ციხიდან გათავისუფლებული იყო სამხედრო ამბოხების ორგანიზებისთვის პოლიტპატიმრის სტატუსით, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. სიუჟეტი ისეა აგებული, რომ მხარეებისთვის არ მიუმართავთ და მთლიანად ძველი კადრებითაა გაკეთებული, – განაცხადა ადვოკატმა ემზარ პაქსაძემ.

სარჩელთან დაკავშირებით თავად კობალაძე არ საუბრობს. ამბობს, რომ ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

რა შეხვედრა გაიმართა ტარიელ ონიანთან და სააკაშვილის ბიძასთან, რატომ არ ღირს შაშკინის განცხადებებზე კომენტარების გაკეთება, რა დაუბარეს; როცა შეიარაღებული ძალები დატოვა, როგორ აღმოჩნდა ე.წ. მუხროვანის ამბოხში, ამ

**თემებზე კობა კობალაძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

***– როგორ გაეხვიეთ იმ შარში, რასაც ე.წ. მუხროვანის ამბოხი ჰქვია? არის ასეთი ვერსია, რომ მუხროვანის სამხედრო ბაზაზე მყოფმა სააკაშვილმა ოთანაძის დაკავება მოითხოვა, შეცდომით კი თქვენი გვარი ახსენა. ერთგულმა ხელქვეითებმაც უყოყმანოდ შეუსრულეს ეს ბრძანება.***

– მე რა ვიცი, ვინ რას და როგორ გულისხმობდა. ფაქტია, მოითხოვა ჩემი დაჭერა, დამიჭირეს და ციხეში 9 თვე გავატარე. რატომ და რისთვის, არ ვიცი. ეს არ იყო მოულოდნელი. ჩვენ სისტემური დევნის ობიექტები ვიყავით. დანარჩენი, როგორ გითხრათ, ამაზე კითხვა იმათ უნდა დაუსვათ.

***– მართალია, რომ მიხეილ სააკაშვილმა თქვენ 2004 წელს ღირსების ორდენით დაგაჯილდოვათ?***

– არავითარი ორდენი მისგან არ მიმიღია. უბრალოდ, 2004 წელს ინაუგურაციის წარმატებით ჩატარების შემდეგ მადლობა გადამიხადა. ეს იყო და ეს.

***– ვარდების რევოლუციიდან რამდენიმე დღეში თქვენ, ემზარ კვიციანსა და დავით თევზაძეს მართლა შეგხვდათ სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია და ტარიელ ონიანი?***

– შეხვედრა მართლა შედგა, ოღონდ მას დავით თევზაძე არ ესწრებოდა. შეხვედრაზე მე და ემზარი ვიყავით მხოლოდ.

***– შეხვედრა ვისი ინიციატივით გაიმართა?***

– ეს შეხვედრა მათი ინიციატივით გაიმართა. მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ თითქოს თავდაცვის სამინისტრო აპირებდა რაღაც წინააღმდეგობის გაწევას და თავიანთი ჭკუით პრევენცია მოახდინეს. არადა, არავინ არავის წინააღმდეგ გამოსვლებს არ აპირებდა. ან რა უფლება აქვს თავდაცვის სამინისტროს, პოლიტიკურ პროცესებში ჩაერიოს, მით უმეტეს მაშინ, როცა ხალხი აკეთებს არჩევანს. რა ილუზიებიც ჰქონდათ, იმ ილუზიებით გვესაუბრნენ. ვუთხარით, რომ არ ჰქონდათ სწორი ინფორმაცია და ამით დამთავრდა საუბარი. გახსოვთ, ალბათ, რა განწყობა იყო მაშინ ხალხში, ეგონათ, რომ გამათავისუფლებელი ძალა მოვიდა ქვეყნის სათავეში.

***– არის მოსაზრება, რომ სააკაშვილი სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ გადაგეკიდათ. მას, ალბათ, არ უნდოდა გაჟღერებულიყო, რომ ბიძამისი და ტარიელ ონიანი ერთად იყვნენ.***

– რატომ გადამეკიდა, ამის თაობაზე უშუალოდ მიშიკოს უნდა ვკითხოთ. თავის დროზე მე დავუწერე პატაკი და ჩემი სურვილით წამოვედი ჯარიდან. ამაზე მას ძალიან მძიმე რეაქცია ჰქონდა.

***– მძიმე რეაქციაში რას გულისხმობთ?***

– იყო მუქარებიც. ამბობდნენ, რადგან ჩვენთან არა ხარ, ჩვენი მტერი ხარ, პრობლემები შეგექმნება და ა.შ. ამისთვის არანაირი ყურადღება არ მიმიქცევია. ჩემს პოზიციას ყოველთვის ღიად ვაფიქსირებდი. ამაზეც, ბუნებრივია, მწვავე რეაქციები ჰქონდათ.

***– პოზიციების დაფიქსირების გარდა, თქვენ 2009 წლის მაშინდელი ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებზეც გამოჩნდით.***

– კი ბატონო, ვიყავი მაგ აქციებზე, მაგრამ მანამდეც ვაქტიურობდი. მათ შორის ომად შერაცხულ ავანტიურაზეც ვთქვი სათქმელი. ამაზე ჩემი აზრი მაქვს და მიმაჩნია, რომ ეს იყო საქართველოს ტერიტორიების გადაბარება. როცა ეს ყველაფერი დაიწყო, პატაკითაც მივმართე პრეზიდენტს, რომ მომცემოდა უფლება, რიგით ჯარისკაცად წავსულიყავი. პასუხი არანაირი არ ყოფილა. მიშა სააკაშვილისთვის ნამდვილად არ უნდა მეკითხა იქ წასვლაზე ნებართვა. სამაჩაბლოს მოსახლეობა უპატრონოდ იყო მიყრილი. იქ უამრავი ჩემი ნათესავი ცხოვრობს. მამაჩემი იქიდან არის წარმოშობით. ვეხმარებოდით, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუირება მომხდარიყო. ვაგროვებდით იმ იარაღს, რომელსაც თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა ყრიდა აქეთ-იქით. 2004 წლის მოვლენებზეც გავაკეთეთ განცხადება. მაშინაც ვთქვით სათქმელი, როცა ჩვენი პირადი შემადგენლობა დააჩოქეს ცხინვალის რეგიონში. 2009 წელსაც ვოპონირებდით. ოპოზიციონერობა ჩვენი თვითმიზანი ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ, იმას ვამბობდით, რაც ხდებოდა. ჩვენ გვაქვს სამშობლოს წინაშე ფიცი დადებული. ყველა ოფიცრის ვალდებულებაა, რომ ჭეშმარიტებას გზაზე იდგეს. მეც ვცდილობდი, ამ გზით მევლო.

***– და ამ გზაზე სიარულისას, ეტყობა, ცუდად მოხვდით სააკაშვილს თვალში.***

– რა ვქნა, კიდევ კარგი, ნაკლები წონა არა ვარ, თორემ უარესად მოვხვდებოდი თვალში. სააკაშვილი ის კაცია, რომელსაც არც სამშობლოს და არც ღირსების შეგრძნება არ აქვს. ასეთ დროს რაზე ვისაუბრო? მის ავადმყოფურ წარმოსახვაში რა ხდებოდა, ვერ გეტყვით. 2008 წელს გორში რა ილეთებიც მაგან ჩაატარა, იმის მერე უხერხულია, მაგაზე როგორც უმაღლეს მთავარსარდალზე ვისაუბრო.

***– მოდით, ისევ ე.წ. მუხროვანის ამბოხებას დავუბრუნდეთ. ამ ე.წ. ამბოხის ე.წ. ორგანიზატორებს რამდენად კარგად იცნობთ?***

– კობა ოთანაძესთან დიდი ნაცნობობა არ მაკავშირებდა. ერთმანეთს გამარჯობა-გაგიმარჯოს დონეზე ვიცნობდით. გია კრიალაშვილი ჩვენი თანამებრძოლი და მეგობარი იყო. ლევან ამირიძე




ჩემი ჯარისკაცი იყო. ჯარიდან წამოსვლის შემდეგ თავდაცვის სამინისტროსთან და მის თანამშრომლებთან თავად გავწყვიტე ყველანაირი კომუნიკაცია.

***– რატომ გაწყვიტეთ?***

– იმიტომ, რომ ვინც კი გამარჯობას მეუბნებოდა, მისი კარიერა იყო უკვე ბუნდოვანი. მაგას ვინ ჩივის, ჩემი მშობლები სამსახურიდან გამოუშვეს. თავად დავშორდი იმ ხალხს. ვინც მკითხულობდა, იმათაც ვსაყვედურობდი. ასეთი სიტუაცია იყო. რატომ მიმაბეს ამ მუხროვანზე, არ ვიცი. ეგ იმათ ჰკითხეთ. ამ სპექტაკლის შესახებ გავიგე მოდულის შენობაში. მე ამიყვანეს საცხოვრებელი სახლის წინ. იმ დროს ვაძლევდი ინტერვიუს. ჟურნალისტის თხოვნით გავედი კინო „საქართველოს“ წინ. იქ ისეთი სიტუაცია დატრიალდა, სერიოზულად ვიფიქრე, რომ კინოს იღებდნენ. მერე აღმოჩნდა, რომ თურმე მე მიჭერენ.

***– სახლში გიპოვეს იარაღის შესანახი ჩანთა, რაზეც მაშინდელ ხელისუფლებას დიდი ჟრიამული ჰქონდა ატეხილი.***

– 2008 წლის ავანტიურის დროს მე და ჩემმა მეგობრებმა რამდენიმე ასეული ერთეული იარაღი შევაგროვეთ, რომლებიც ჩავაბარეთ ოსიაურის სამხედრო ბაზაზე. იქვე გავაფორმეთ მიღება-ჩაბარების აქტი. მოწინააღმდეგე მოიწევდა წინ. არავინ იცოდა, რა მოხდებოდა. ჩვენ მზად ვიყავით, ჩავრთულიყავით ამ პროცესებში. თავდაცვის სამინისტროს შეიარაღების განყოფილებიდან მივიღეთ შეიარაღება. საუბარია საბრძოლო კომპლექტზე. ვინც ამ საქმის აზრზეა, მისთვის ნათელია, რას ნიშნავს ის. ვინც არა ხართ, აგიხსნით. საბრძოლო კომპლექტი ნიშნავს ერთ ზურგჩანთას, სადაც დევს 4 ცალი ხელყუმბარა,. ტყვიები, მჭიდები და, რა თქმა უნდა, ავტომატი. როცა დავინახეთ, რომ ეს ტერიტორიები არის გადაბარებული და დაიწყეს თავდადებული ოფიცრების დევნა, მივხვდით, იქ რამის გაკეთებას აზრი არ ჰქონდა. ეს შეიარაღება ჩავაბარეთ უკან. თავდაცვიდან არანაირი მოთხოვნა არ ყოფილა. ავტომატი და რამდენიმე მჭიდი ჩავაბარე. დანარჩენი შეიარაღება მქონდა ზურგჩანთში, სეიფში შენახული. თავდაცვის სამინისტროს ვუთხარი, რომ იმასაც მივიტანდით მოგვიანებით. ვინახავდი, როგორც წესია. როცა მოხდა ის, რაც მოხდა, სახლის ჩხრეკისას ოჯახის წევრებმა გადმოულეს ეს ზურგჩანთა. სასამართლომ მოითხოვა მიღება-ჩაბარების აქტი. იმ პერიოდის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა ამ საბუთების წარდგინებაზე.

***– ეს საბუთები ხომ არსებობდა?***

– არსებობდა, მაგრამ მათ წარდგენაზე უარი თქვეს, 2 თავი არ გვაბიაო. ამის გამო კი დაჰკიდეს მერე ვილაცებს ორდენები და მედლები. ბევრი, მანამდე ჩემს მეგობრობაზე რომ დებდა თავს, დაიმალა. წიოდნენ და კიოდნენ, ამ ცნობას არ მივცემთო. ჭეშმარიტებამ თავი არ დამალა და ეს ცნობა მაინც წარდგა სასამართლოში. სასამართლომ ეს ცნობა არ გაიზიარა, იმიტომ, რომ იმ პერიოდში უნდა მეყურყუტა ციხეში, რა პერიოდიც ვიყურყუტე. არც ერთი უკანონო იარაღი არ ამოუღიათ ჩემგან. სახლში იარაღი ბევრი მაქვს. მათ შორის საბრძოლო ნადავლიც. იმათი მეთაურობისგან, ვისაც „მედგრად“ ეომებოდნენ ესენი. ეს იარაღი მაშინ მოვიპოვე, სანამ აგენტობას დამაბრალებდნენ. მე ძმა მყავს აფხაზეთში დაღუპული. როცა ჩვენ რუსებს ვებრძოდით, ისინი ამ პერიოდში ჰამბურგერებს ჭამდნენ. მეტი პრიორიტეტი არ ჰქონიათ.

***– თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი ამტკიცებს, კონტრდაზვერვას ჰქონდა ინფორმაცია, რომ ქართველ გენერალთა ჯგუფთან შენიშნეს 2 რუსი ეროვნების პირი, სავარაუდოდ, გრუ-ს ოფიცრები. ამაზე რას იტყვით?***

– მაგის განცხადებები ყველაზე ნაკლებად მაინტერესებს. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ეგ იყო პირველი ძალოვანი მინისტრი, რომელმაც ქვეყანას დეზერტირობის სამაგალითო აქტი აჩვენა. კაციშვილმა არ იცოდა, სად იყო წასული თავდაცვის მინისტრი. მაგაზე როგორ ვისაუბრო.

***– მიგაჩნიათ, რომ ის თავის გაყადრების ღირსიც არ არის?***

– რაც გინდათ, დაარქვით, გინდათ, გაყადრება, გინდათ, გამოყადრება. ეგ კაცი არის დეზერტირი. მაგის განცხადებაზე კომენტარს მართლა არ გავაკეთებ. საზოგადოება არც ბრმაა და არც უვიცი. როცა საზოგადოების აზრზე აპელირებენ, ეს ღიმილისმომგვრელია. ეს ის საზოგადოებაა, რომელიც 9 წლის განმავლობაში თავჩაღუნული დაბორიალობდა. უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ქვეყანა ყველასია. არც ერთი ჩინოსანი არ არის იმის ღირსი, რომ მონარქის რანგში ავიყვანოთ. ეს ჩვენი ბრალია. უცნაური რამე ხდება. ის ბიჭები ნახევარ ქვეყანას აგენტებად რომ ასამართლებდნენ, ისინი, ვინც ხელმძღვანელობას იბრალებდნენ, კრიზისის მომენტში ყველა გაქრა ამ ქვეყნიდან. ისევ გლეხი კაცის ამარა მიატოვეს ეს ქვეყანა. ესენი გარბიან, იმიტომ რომ სამშობლოს განცდის შეგრძნება არ აქვთ. მე ეს შეგრძნება მაქვს და ჩემს 5 შვილსაც ამ შეგრძნებით ვუზრდი ქვეყანას. მე ჩემს ქვეყანაში პეშვით მიწა შემრგებია და სხვაგან ჰამბურგერს მოვუწამლივარ.

***– ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ე.წ. მუხროვანის ამბოხების მონაწილეები პოლიტპატიმრის სტატუსით გამოვიდნენ. თქვენ ამ სტატუსს რატომ არ გაძლევენ?***

– არ ვიცი. არც ვითხოვ ამ სტატუსს. სადმე მითქვამს ეს? უბრალოდ, ერთი რამეა – ყველაფერი შერჩევითი არ უნდა იყოს. მუხროვანის საკითხში ყველანი არიან პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული. ამ დროს მე აბსოლუტურად ჰაერიდან ვიყავი მიტანილი ამ თემასთან. ტერიტორიულადაც არ გამიხედავს იქით. ამ დროს გალიმებული დავდივარ. ჩემი თვითმიზანი არ არის ამ სტატუსის მიღება. არ მჭირდება, თანაგრძნობით შემომხედოს. ღვთის მადლით, დაჩაგრული ნაღდად არ ვიქნები და თუ უნდათ, ნუ მომცემენ ამ სტატუსს. ჩემი ხედვაა ასეთია, რომ მიუხედავად იმისა, ყველამ ყველაფერი ვიცით, სიმართლე უნდა დადგინდეს. პრობლემა ისაა, რომ დღეს ყველა მუხროვანზე საუბრობს, ვისაც ესმის და არ ესმის. ვინც ამ საქმის პროფესიონალია, იმას არაფერს ეკითხებიან. ყველა ცდილობს, გამოჩნდეს ეთერში და დააფიქსიროს თავისი ფიზიონომია. იმ დღეს ჩემს მეგობარსაც ვუთხარი, რომ დაქოქილი ტანკი სამხედროსთვის არის ცხოვრების წესი. სამოქალაქოსთვის კი ის უკვე ამბოხთან ასოცირდება. სამხედროს 2 პოზიცია აქვს. ის ან ომისთვის ემზადება, ან უშუალოდ ბრძოლაშია ჩართული. თუ ბრძოლაში არ არის ჩართული, მას ყოველთვის მზადყოფნაში ჰყავს მასზე განპირობებული სამხედრო ტექნიკა, იქნება ეს ავტომატი, მანქანა თუ ჯავშანმანქანა. არ შეიძლება, სამხედრო ბაზაზე ტანკის დაქოქვაზე ატეხო ხმაური. განრიგის მიხედვით, სამხედრო ბაზაზე ტანკი თუ არ დაიქოქა, სწორედ ეგ არის დანაშაული. არ შეიძლება, ამბოხსა და რაღაც შემდგომ გეგმებზე ისაუბრო, როცა არანაირი აგრესიული ქმედება არ ყოფილა. ამბოხის სამართლებრივი შეფასება ასეთია: შეიარაღებული ხალხის მიერ სტრატეგიული ობიექტების დაკავება და სახელმწიფო მოხელეების მძევლად აყვანა, მასობრივი ქაოსის დათესვა. ეს არ ხდება 3-4 კაცით და არც ათით. ეს არის ორგანიზებული ჯაჭვური რეაქცია. კოლეგიალობა ყველგან კარგია, თუმცა ვერავინ ამიხსნის, როგორ შეიძლება, თავდაცვის სამინისტროს კონკრეტული მაღალჩინოსანი თავისი ხელმძღვანელობის გვერდის ავლით ესაუბრებოდეს სხვა სისტემის ხელმძღვანელს. მნიშვნელობა არა აქვს, ხდება თუ არა დაგეგმარება.

***– დავით ნაირაშვილზე საუბრობთ?***

– ამ შემთხვევაში მასზე არ ვსაუბრობ. სასამართლო პროცესზე მე ის მოწმის სახით არ მინახავს. ჩემ წინააღმდეგ ბრალდებამ მოწმედ წარადგინა სახმელეთო ჯარების მაშინდელი სარდალი შმაგი თელია.

***– მას ადრე იცნობდით?***

– ვიცნობდი. ნიჭიერი იყო თუ უნიჭო, ვერ გეტყვით. ა და ბ პუნქტამდე სახაზავით გაავლებდა ხაზს. ამათ ხელში გახდა მაკიაველი უცებ. მაკიაველობა გამოხატა იმით, რომ სასამართლო პროცესზე წარდგა, სადაც, რა უნდოდა, თავადაც ვერ გაიგო. კითხვებს როცა ვუსვამდი, მოსამართლემ გამაჩერა, არ ესმის და რა ვქნათო. რას ჰქვია, არ ესმის. თუ შმაგი თელია იმ დღეს ნაწილის ტერიტორიაზე აღმოჩნდა და ის იქ იყო. წესდება მას შემდეგს ავალდებულებდა: თუ იყო დაუმორჩილებლობის ფაქტები, მას უნდა გადაეყენებინა არსებული ხელმძღვანელობა და ეს უფლებამოსილება თავად შეეთავსებინა. ფოსტალიონივით კი არ უნდა ერბინა ბაზასა და დაინტერესებულ პირებს შორის, არამედ პასუხისმგებლობა ეტვირთა. ამბობდნენ, რომ თითქოს ნატოს სწავლების ჩაშლაც იგეგმებოდა. ეს არის აბსურდი. ისიც ტყუილია, რომ მაშინ პირველად ტარდებოდა საქართველოში ასეთი წვრთნები. საქართველო 1995 წლიდან მონაწილეობს ნატოს სწავლებებში. ამ სწავლებების მასპინძელი ხშირად თავად საქართველო იყო. ისმება კითხვა, უკმაყოფილება რატომ გამოხატეს ოფიცრებმაო. იმიტომ იყვნენ უკმაყოფილონი, რომ 2008 წელს ამხელა გაუმართლებელი მსხვერპლი გვქონდა. მასობრივი რეპრესიების ტალღამ გადაუარა ჯარისკაცებსა და უმცროს ოფიცრებს. რეპრესიები შეეხო იმ ხალხს, რომლებიც იბრძოდნენ. ორდენებით დაჯილდოებული მაღალჩინოსნები კი ომის დღეებში მიწებს იფორმებდნენ. არ არის ეს ქვეყანა ჩალით დახურული. სიმართლე უნდა ითქვას. ეს ყველას პრობლემაა. ყველას პრობლემაა ის, რაც 9 წლის განმავლობაში ქვეყანაში ხდებოდა. მარტო ხელისუფლების მიერ ნორა კვიციანის მძევლად აყვანა კმარა. კოდორისა და ახალგორის თემები ავიღოთ. რაღაც ადმინისტრაციები შეიქმნა და ეს ტერიტორიები ვილაცას გადაებარა. დასავლელი პარტნიორებისგან მიღებული სამხედრო შეიარაღება უსასყიდლოდ გადავეცით რუსებს. 33 სტრატეგიული ობიექტია გასხვისებული რუსებზე. ამ ობიექტების 80 პროცენტის გასხვისება ნაციონალების პერიოდში მოხდა. მათი მხრიდან რუსების გინებამ რა მოგვიტანა? ერთ ხელს უქნევდნენ, მეორით კი ყველაფერს უფორმებდნენ. ჩემი თვითმიზანი ნამდვილად არ არის ის, რომ ვილაც ციხეში იჯდეს. ყველას ოჯახი და შვილი მეცოდება, მაგრამ სიმართლე უნდა გაირკვეს. ის, რაც 9 წლის მანძილზე ხდება, უცბად გამოსწორდება. ჩვენ მზად ვართ, ყველაფერი ჩვენს თავზე გადავიტანოთ, თორემ, ხომ ნახეთ, გამოვიდა პრეზიდენტად ნამუშევარი და განგვიცხადა, თავში ქვა გიხლიათო. სამშობლოს შეგრძნება მაგას არასდროს ჰქონია, მაგრამ საკუთარი გუნდიც მიატოვა. არადა, ისინი მის დავალებებს ასრულებდნენ. კიდევ გეუბნებით, არ მაქვს იმის ილუზია, რომ ყველაფერი გამოსწორდება. სისტემურადაც ჯერ არაფერი შეცვლილა. დანაშაულებრივი სისტემა საკმაოდ არის ფეხგადგმული. ეს ყველაფერი კარგად მესმის, მაგრამ არც ის არის გამართლება, რომ კადრების დეფიციტია. კადრები არის, უბრალოდ, იქ არ ვეძებდით, სადაც საჭიროა.

# „რუსები ანქვაბის მოკვლას აპირებენ“

## რატომ აპირებდა აფხაზთა ლიდერი გადადგომას

გულიკო ბალაძე

**– სოჭის ოლიმპიადის ფონზე საკმაოდ საინტერესო და არაერთგვაროვანი სიტუაციაა აფხაზეთში. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ რუსეთის სახელმწიფოს ყველა სპეცსამსახური თავმოყრილია ოლიმპიადის ზონაში და მიმდებარე რეგიონში, როგორც ცნობილია, რუსეთი ქმნის სხვადასხვა დონის ბუფერულ ზონებს.**

ამ მიზეზით საზღვარი 11 კილომეტრით გადმოსწია. სინამდვილეში პირველი ბუფერული ზონის დასაწყისია ენგურის საოკუპაციო ხაზი. ამ საოკუპაციო ხაზის შიგნით, ყველაფერს აკეთებენ, რომ ამ წმინდა პოლიტიკურ ღონისძიებას (სპორტი მეორე პლანზეა), პუტინის ოლიმპიადას, რაიმე საფრთხე არ შეექმნას. ამ ფონზე საინტერესოა აფხაზეთში, როგორც თვითონ აფხაზურ საზოგადოებაში, ისე ყველა ეთნიურ ჯგუფებში, რა ურთიერთობაა, როგორ რეაგირებენ ამ სიტუაციაზე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები. მაგალითად, სომხურ დიასპორაში არ არსებობს არავითარი განსხვავებული დაჯგუფება. ერთი სომხური დაჯგუფებაა, რომელიც სუფთა პრორუსული ორიენტაციისაა. აბსოლუტურად პრორუსული ინტერესების გამომხატველია დაწყებული ხელმძღვანელობიდან. მათ შორის, რელიგიური მოღვაწეებით. როგორც იცით, აფხაზეთში მინიმუმ 50-60 ათასი ქართველია. ეს საკმაოდ დიდი რაოდენობაა, ისეთი რეგიონისთვის, როგორიც არის აფხაზეთის ავტონომია. ქართულ მოსახლეობაშიც თითქმის ერთგავროვანი სიტუაციაა. ქართველებს რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ სომხური დიასპორისაგან. რა თქმა უნდა, ქართველებშიც არიან კორაბორაციონისტები, რომლებიც საოკუპაციო რეჟიმთან თანამშრომლობენ, – აცხადებს უპარტიოთა მოძრაობის ლიდერი მამუკა გვაძაბია.

– ბატონო მამუკა, ქართველ კორაბორაციონისტთა რაოდენობა აფხაზეთში რამდენ პროცენტს შეიძლება შეადგენდეს?

– ძნელია თქმა, მაგრამ 3%-ზე მეტი არ არის. ცოტა ისეთი ადამიანები, რომლებიც თანამშრომლობენ სტრუქტურებთან, მაგრამ უფრო მეტნი არიან ისეთები, რომლებიც სამუშაოდ დადიან სოხუმსა და გაგრაში, ან რაღაც ბიზნესის საწარმოებლად დადიან, მაგრამ აპოლიტიკურია, ან აპოლიტიკურად აჩვენებს თავს ყველას. ყველაზე დისკრიმინაციულ სიტუაციაში ქართული მოსახლეობაა. ამასთან დაკავშირებით ძალიან სერიოზული ინფორმაცია გვაქვს გალიდან, ოჩანმჩირიდან, სოხუმიდან, გაგრიდან და სხვა ადგილებიდან. ყველანაირად ცდილობენ ქართული ენის სწავლება აფხაზეთის მაცხოვრებლებს შორის არააქტუალური გახდეს – ცდილობენ, წაახალისონ ქართველები არაქართულ სკოლებში მათი მიღებისთვის; წაახალისონ ეთნიკური ქართველები, რომ სხვა ეროვნება, დავუშვათ, აფხაზი ჩაიწერონ და დანიშნონ თანამდებობებზე. ასეთი შეთავაზებები ბევრია. ვინც თანხმდება ასეთი კორაბორაციონისტები 3%-ზე მეტი არ არის. თუმცა კორაბორაციონისტები ყველგან არიან. ძირითადში მათი აბსოლუტური უმრავლესობა მყარ პოზიციაზე დგას. მარტო ის რად ღირს, რომ განათლების მიღება დიდი დავიდარაბით, გაჭირვებით ხდება. ქართული წიგნები შეაქვთ. მასწავლებლები გადმოდიან, მიდიან. ახლახან მასწავლებელი იყო გადმოსული, რომელმაც მდინარე გადმოცურა. ეს ადამიანები ყველანაირად ცდილობენ, რომ ოკუპაციას თავი დააღწიონ. თუმცა, ეს მცდელობა ძალიან დიდ ხანს ვერ გასტანს. დრო ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებს. საინტერესოა, თვითონ აფხაზურ ეთნოსში, აფსუებში შინაგანი დუღილი მიმდინარეობს.

– რა დუღილის პროცესია?

– აფხაზებში დუღილი არის, რომ შიგნით დაპირისპირებულთა ერთიანობაა. ერთმანეთს უპირისპირდებიან, მაგრამ შიგნით ერთნი არიან.

– ერთნაირად ფიქრობენ რუსეთის მიმართ.

– ძირითადად რუსეთთან დაკავშირებით ასეა. ასეა ოფიციალური განცხადებებით. ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია, რუსეთისთვის მისაღები კანონის მიღების გაჭიანურება და ამის მიმართ აფხაზური საზოგადოების გაჭიანურება. მხედველობაში მაქვს მიწის გასხვისების კანონი რუსეთის მოქალაქეებზე. აფხაზეთის მოსახლეობის ძალიან სერიოზული ნაწილი ამას უპირისპირდება და საპროტესტო გამოსვლებს მართავს. მათ საწინააღმდეგოდ სხვების საპროტესო გამოსვლებიც იყო. ვფიქრობ, რუსეთი ოლიმპიადის წინ ამ სიტუაციას არ ამწვავებს. ოლიმპიადასთან დაკავშირებით აფხაზებისთვის რაღაც სარგებელზეც იყო საუბარი. თუ არაფერი სარგებელი არ არის აფხაზებისთვის, ისიც კი არის ჩემთვის ცნობილი, რომ მდინარეები, რომლებიც ზღვაში ჩაედინება, ძალიან დიდი სისწრაფით, ზღვამ თავისი საკვები ვერ იპოვა, აფხაზეთიდან ძალიან ბევრი ღორღია გატანილი. უბრალოდ, ნაპირსამაგრი სამუშაოები არ ტარდება და ზღვა მოიწევს და მოიწევს.

– ამას აფხაზები ვერ ხვდებიან?

– ამას ძალიან ბევრი ხვდება. პირველწყაროდან მინდა გითხრათ, რომ აფხაზების გარკვეული ნაწილი ქართველებთან ლაპარაკის დროს (ამგვარი საუბრები რამდენჯერმე იყო) ამბობენ, რომ ჩვენ რომ ამ დღეში ვართ და თქვენ რომ მაგ დღეში ხართ, თქვენი ბრალია, ვიდრე ჩვენიო. საქართველოს დადანაშაულებას არ დავიწყებ, მაგრამ იმ ადამიანებმა, ვინც ცდილობდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ 90-იანი წლებში სიტუაციის ესკალაციისთვის, დაძაბულობისთვის, შევარდნაძის უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების აფხაზეთში მოპატიჟებისთვის, დანაშაული ჩაიდინეს. ამ თვალსაზრისით, ისინი მართლები არიან. ჩვენ ბევრი მაგალითი ვიცით იმისა, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როგორ არაადეკვატურად იქცეოდა ცენტრალური ხელისუფლება, მისი დამქაშები და მარიონეტები აფხაზეთში. მხედველობაში მაქვს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტრო გივი ლომინაძისა და ავთანდილ იოსელიანის ხელმძღვანელობით, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ადგილობრივი დაძაბულობის კერები შექმნილიყო, ოღონდ ჩაეცხროთ ის საპროტესტო გამოსვლები, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ იმართებოდა სოხუმში. თუმცა, იმ საპროტესტო გამოსვლებშიც ბევრი რამ იყო პირადად ჩემთვის მიუღებელი. მთავარია ის, რომ რაც დღეს აფხაზეთში ხდება, არ აწყობს არც აფხაზს და არც – ქართველს. აწყობს მხოლოდ და მხოლოდ ოკუპანტს.



– როგორია აფხაზეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა ურთიერთდამოკიდებულება?

– თუ იქ ცხოვრობ, რაღაც ეთნიკურ მომენტებზე ყურადღებას აღარ ამახვილებ – ვინ დამნაშავეა, ვინ ბაგრამიანის ბატალიონის წევრი იყო და ომობდა, ამაზე ლაპარაკი რთულია. ნორმალური დამოკიდებულებაც არის და რთულიც, რომელიც გაკვრით ჩემს ოჯახსაც (ჩემს ძმას) შეეხო. რამდენიმე წლის წინ რაღაც კონფლიქტი მოუვიდა ეთნიკურ საკითხებზე, მსუბუქ ფორმებში დააპატიმრეს და მერე რაღაც გზებით გავათავისუფლეთ. იქ ვინც არის, ცდილობს, ზედმეტად კონფლიქტში არ შევიდეს და არც ზედმეტად დააჩაგვრინონ თავი.

– ქართველები ცდილობენ, თუ სხვებიც?

– ყველა ცდილობს. გალში ადგილობრივი მოსახლეობის დისკრიმინაციის აშკარა გამოვლინება ის არის, რომ ყველა სოფლის გამგებლები, პოლიციის უფროსი გამოგზავნილია. ადგილობრივი თითქმის არავინაა. ისინი ადგილობრივ მოსახლეობას არ ენდობიან. დღესაც კი გალის რაიონი აფხაზეთის მკვებავია. რაც კი კვების პროდუქტები მიდის ზუგდიდიდან, ადგილზე რაც იწარმოება, ყველაფერი იქით მიდის. თხილის ბიზნესს თითქმის აფხაზები აკონტროლებენ. ისინი ცდილობენ ადგილობრივ მოსახლეობასთან საერთო ენა გამონახონ. აღარ ხდება ისე, დაგეცენ და წაგართვან. იყო მომენტები, როცა მანდარინს ძირში ჭრიდნენ და ისე კრეფდნენ. წარმოიდგინეთ, როგორი ფსიქოლოგია აქვს ადამიანს. ის ხომ არ ფიქრობს, რომ ოდესმე დაბრუნდება. მოჭრა მანდარინი, მოკრიფა და წაიღო. ასეთი მიდგომა იყო, მაგრამ დღეს ეს მიდგომები შეიცვალა, ისინიც უფრო პრაგმატულები გახდნენ. გარდა ამისა, უნდათ დემოკრატიულობის ანტურაჟი შექმნან – ერთი ქართველი პარლამენტში შეიყვანეს. არავინ მითხრას, რომ ის რაიმე ქართული საქმის გამკეთებლად არის წარმოდგენილი. უფრო ე.წ. სეპარატისტული დემოკრატიის ანტურაჟია. მინდა ერთი რამ განვაცხადო – არ არის გამორიცხული, რაც მოუვიდა ბაღაფშს, ის მოუვიდეს ანქვაბსაც. ბაღაფში რუსებმა მოკლეს. ამის თაობაზე პირველად მე ვთქვი თქვენი გაზეთის მეშვეობით. ახლა მისმა ნათესავებმა, აფხაზებმაც იციან, რატომ მოკლეს ბაღაფში რუსებმა, როგორ გაგუდეს ბაღაფში ერთ-ერთ საავადმყოფოში, სადაც, სხვათა შორის, ბაღაფშის ახლო ნათესავები მუშაობდნენ და იმ დღეს არ შეუშვეს საავადმყოფოში. ბაღაფშის მკვლელობის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, ვთქვათ, თურქეთში დიასპორასთან შეხვედრის დროს მოიწოდა მათ, დაბრუნდით აფხაზეთში, თორემ, შეიძლება აფხაზეთი ცოტა ხანში ჩვენი არ იყოსო, რაც რუსებს ძალიან არ მოეწონა.

– ანქვაბმა მსგავსი რა გააკეთა, ბაღაფშის ბედი რომ ემუქრება?

– ანქვაბი დილემის წინაშეა. მეტროპოლია აწვება მიწის რუსებზე მიყიდვის კანონი მიღებულ იქნეს, აფხაზური საზოგადოების დიდი ნაწილი ეწინააღმდეგება ამას. მე ისიც კი ვიცი, რომ ამ სიტუაციაში ანქვაბმა თქვა, გადავდგები და წავალ პოლიტიკიდანო. წარმოიდგინეთ, რამდენჯერ მოხდა ანქვაბზე თავდასხმა. ბედი ჰქონია, რომ გადარჩა, თორემ საკმაოდ დიდი შეტევები იყო ხან კრიმინალებისაგან, ხან სხვებისაგან. არავინ მითხრას, რომ იქ პოლიტიკა არ იყო. გარდა ამისა, აფხაზები არ ენდობიან ანქვაბს, სავარაუდოდ, მისი ქართული ძირების (წარმოშობის) გამო. ესეც მტკივნეული საკითხია. აფხაზურ საზოგადოებაში ბევრს ანქვაბი მიაჩნია სუფთა პროქართულ ელემენტად.

## საგარეჯოს რაიონში მომხდარი მკვლელობის საქმე გახსნილია

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ზურაბ ტ. განზრახ მკვლელობის, ხოლო 1967 წელს დაბადებული, ასევე წარსულში ნასამართლევი ანდრია შ. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ზურაბ ტ-მ 2014 წლის 2 თებერვალს, ღამით, საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში, ანდრია შ-ს საცხოვრებელ სახლში, 1971 წელს დაბადებულ თეონა ც-ს ურთიერთშელაპარაკებისას სხეულის დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. თეონა ც. მიყენებული დაზიანებებისგან რამდენიმე საათში გარდაიცვალა. დანაშაულს შეესწრო ანდრია შ, რომელმაც მომხდარის შესახებ პოლიციას არ შეატყობინა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ზურაბ ტ. სოფელ სარფში, ხოლო ანდრია შ. თელავში დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, ზურაბ ტ. ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ზურაბ ტ-ს მიმართ განზრახ მკვლელობის, ხოლო ანდრია შ-ს მიმართ დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე მიმდინარეობს – საქართველოს სსკ-ის 108-ე და 376-ე მუხლებით.

მედიანიუსი

## შსს-ს ლატვიის ელჩი ესტუმრა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი გოჩა რატიანი საქართველოში ლატვიის ელჩს, ელიტა გაველეს შეხვდა.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობები, მიმდინარე საკითხები და საქართველოსა და ლატვიას შორის სამართალდამცავ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს.

ნიუსპრესი

## ნინო ბურჯანაძე: „თუ ხელისუფლება გონს დროულად არ მოვა, პროცესი ძალიან გამწვავდება“



„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობით უკმაყოფილოა და ხელისუფლებას საარჩევნო კოდექსში არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ ინიცირებული ცვლილებების დროულად მიღებისკენ მოუწოდებს.

„თუ ხელისუფლება გონს დროულად არ მოვა და სასწრაფოდ არ მიიღებს საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს, ეს პროცესი ძალიან გამწვავდება. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ვერ ჩაითვლება დემოკრატიულად და ვერ ჩაითვლება თავისუფალ საარჩევნო გარემოში ჩატარებულ არჩევნებად. ამან კი, შეიძლება, პოლიტიკური პროცესი ძალიან დაძაბოს“– განაცხადა ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

## კუსტარული ნარკოტიკული საშუალებების დასამზადებელი მედიკამენტების რეალიზაციაზე კონტროლი მკაცრდება

კუსტარული ნარკოტიკული საშუალებების დასამზადებელი მედიკამენტების გაყიდვაზე კონტროლი გამკაცრდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილებები „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შედის. კანონპროექტი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრებს გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლევან იზორიამ წარუდგინა.

მან კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკების მოხმარებით ქვეყანაში არსებული პრობლემები მიმოიხილა და გადაჭრის გზებზეც ისაუბრა.

ლევან იზორიას ინფორმაციით, ე.წ. კლასიკური ნარკოტიკები კუსტარულად დამზადებულმა ნარკოტიკებმა: „კრაკადილმა“, „ვინტმა“ და „ჯეფიმ“ ჩაანაცვლა, რასაც მომხმარებლებისთვის უფრო მეტი ფიზიკური და ფსიქიკური ზიანი მოაქვს. მათ მოსამზადებლად საჭირო უმთავრესი ქიმიური ნივთიერებების – კოდეინის, ეფედრინის, ფსევდოეფედრინისა და ნორეფედრინის შემცველი კომბინირებული საშუალებების სახით შეძენა კი, სააფთიაქო ქსელში ურეცეპტოდაც შესაძლებელია.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს აღნიშნული ნივთიერებების ურეცეპტოდ გაყიდვაზე ადმინისტრაციული ჯარიმა გაიზარდა და მისი ოდენობა 6000 ლარით განისაზღვრა, აფთიაქები გაყიდვას მაინც განაგრძობენ, რადგან მათი რეალიზებით მიღებული მოგება გაცილებით დიდია.

მისივე ინფორმაციით, წარდგენილი კანონპროექტით გამკაცრდება კონტროლი იმ ფსიქოტროპულ წამლებზე, რომლითაც კუსტარულად მზადდება ნარკოტიკული საშუალებები.

„ცვლილების შედეგად ფარმაცევტულ პროდუქტზე გავრცელდება კონტროლის ის რეჟიმები, როგორიც დადგენილია I ჯგუფისთვის მიკუთვნებულ სხვა სამკურნალო საშუალებებზე. ამასთან ერთად, ადმინისტრაციულ ჯარიმას სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩაანაცვლებს და დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში რამდენიმე წლით მოხდება როგორც სააფთიაქო, ისე საექიმო ლიცენზიის ჩამორთმევა“, – აღნიშნა ლევან იზორიამ.

საკითხზე კომიტეტის სხდომაზე დისკუსია გაიმართა. კომიტეტის წევრებმა გარდა იმისა, რომ მხარი დაუჭირეს წარდგენილ კანონპროექტს, სანქციების სრული ამოქმედება და შესაბამისი უწყებებისგან კონტროლის ეფექტიანობის გაზრდა მოითხოვეს. კომიტეტის სხდომაზე აღნიშნული კანონპროექტიდან გამომდინარე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტზეც იმსჯელეს.

ნიუსპრესი

## თეა წულუკიანი: „მჯეროდა, რომ კირვალიძე და მისი გუნდი მართალი იყო კანონის წინაშე“

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, მას სჯეროდა, რომ ე.წ. ტრაქტორების საქმეზე სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი დავით კირვალიძე და მისი გუნდი, კანონის წინაშე მართლები იყვნენ.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში თეა წულუკიანმა განაცხადა, მისთვის არ არის ცნობილი, დაბრუნდება თუ არა მთავრობაში დავით კირვალიძე.

შეგახსენებთ, რომ სოფლის მეურნეობის მაღალჩინოსნების წინააღმდეგ პროკურატურამ საჩივარი სასამართლოდან გაითხოვა.

მედიანიუსი

# საიდან ემუქრება საქართველოს საფრთხე

შორენა გონგლაძე

**მოსკოვში რუსულ-ქართული ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის განთავსებაზე უკვე აქტიურად ალაპარაკდნენ. „მონიშნულია" ტერიტორიებიც: ცენტრის განსათავსებელ ადგილებად პანკისის ხეობა და ბათუმი განიხილება. ამის შესახებ სააგენტო „ფრონტნიუსს" კავკასიოლოგმა ალეკო კვახაძემ განუცხადა. მისივე ინფორმაციით, ამ ეტაპზე ოფიციალური დონეზე ქართული მხარისათვის შემოთავაზება არ ყოფილა, თუმცა რუსეთში ეს ინიციატივა აქტიურად განიხილება და ეს საკითხი, შესაძლოა, რუსულ-ქართული ურთიერთობების დალაგების ერთადერთ წინაპირობად დაისვას.**

— რუსულ-ქართულ ერთობლივ ანტიტერორისტულ ცენტრზე საუბარი ჯერ კიდევ 2005-2006 წლიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც ოფიციალურ დონეზე საქართველოდან გაყვანილ იქნა ორი რუსული სამხედრო ბაზა — ბათუმისა და ახალქალაქის. ერთ-ერთი წინაპირობა მოლაპარაკებებისა იყოს ის, რომ ამ ბაზების გაყვანის სანაცვლოდ განთავსებულიყო რუსულ-ქართული ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრი. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები არსებობდა, რუსეთის ფედერაციას არ ჰქონდა აღიარებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და იმ პერიოდისთვის რუსეთის წინადადება მისაღებად გამოიყურებოდა, თუმცა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ანექსია განახორციელა, ბუნებრივია, ამგვარი ანტიტერორისტული ცენტრის განთავსების შესახებ მოლაპარაკებები შეწყდა და თემა დაიხურა. საქართველოს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ კრემლთან დაახლოებული ექსპერტების მეშვეობით გაჟღერდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს თურმე ჰქონია ვალდებულება, საქართველოს ტერიტორიაზე განათავსოს რუსულ-ქართული ანტიტერორისტული ცენტრი. თვითონ პუტინმაც კი ახსენა ერთ-ერთ გამოსვლაში ამ ვალდებულების შესახებ. ბუნებრივია, თავის მხრივ, რუსეთი ყველა ბერკეტის გამოყენებას შეეცდება, რომ მიზანს მიაღწიოს. განიხილება ბათუმისა და პანკისის ხეობის ტერიტორიები. ჩემი ინფორმაციით, საქართველოს მხრიდან ოფიციალურ დონეზე ამ წინადადებასთან მიმართებით თანხმობა არაა და, იმედია, არც იქნება. მოგეხსენებათ, ამ დროისთვის საქართველო რუსეთის ფედერაციაში სპეციალური წარმომადგენლით შემოიფარგლება, გარკვეული დათმობები იქნა მიღწეული საქართველოს მხრიდან ცალმხრივად, რუსეთმა კი მხოლოდ ქართული პროდუქცია დაუშვა რუსულ ბაზარზე, თუმცა, ჩემთვის უცნობია, რუსეთის ფედერაცია რა წინაპირობებს წამოაყენებს შემდგომ ეტაპებზე. არ გამოვრიცხავ, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობების დალაგების ერთ-ერთ წინაპირობად მათ სწორედ ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის განთავსება წამოაყენონ. ჯერჯერობით ოფიციალური წინადადება არ ყოფილა, თუმცა, რუსეთის მხრიდან ეს საკითხი ძალიან აქტიურად განიხილება, — განაცხადა კვახაძემ.

კავკასიოლოგი ამ კონტექსტში შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის განცხადებას იხსენებს.

— შემიძლია გავიხსენო ზაქარეიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დალაგება შესაძლოა დაიწყოს ანტიტერორისტული თანამშრომლობით და საქართველო უნდა დაეხმაროს რუსეთის ფედერაციას ჩრდილოეთ კავკასიაში წესრიგის დამყარებაში. ეს განცხადება მან ოფიციალურად გააკეთა ერთ-ერთ ინტერვიუში. სხვა ოფიციალური კომენტარი ამ ეტაპზე არ მომისმენია, — განაცხადა კვახაძემ.

ის საქართველოს ტერიტორიაზე ქართულ-რუსული ანტიტერორისტული ცენტრის განთავსების იდეიდან მომდინარე საფრთხეებზე, აგენტურის მასობრივი ჩანერგვის საშიშროებასა და მოსალოდნელ პროვოკაციებზე ამახვილებს ყურადღებას.

— საქართველოში რუსულ-ქართული ანტიტერორისტული ცენტრის განთავსება ნიშნავს საქართველოში დიდი ლოჯისტიკური ბაზის განთავსებას, რომელიც მოიცავს ტერორიზმთან მებრძოლ პირთა მთელ ლოჯისტიკას, „ეფ-ეს-ბე"-ს მოდერნიზებულ და კარგად გაწვრთნილ დანაყოფებს, სხვადასხვა სპეცსაშუალებას. ყველაზე საშიში ის არის, რომ თუკი ეს იქნება ერთობლივი ცენტრი, ეს ნიშნავს იმას, რომ რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებს ყოველდღიური კონტაქტი ექნებათ ქართველ ძალოვნებთან და, ბუნებრივია, იქნება გადაბირების მცდელობებიც. რუსეთის ფედერაცია პერიოდულად ახერხებს ამერიკის შეერთებული შტატების გასაიდუმლოებულ ბაზებზე აგენტურის ჩანერგვას და იმავეს გაკეთება საქართველოში არ გაუჭირდება, მით უფრო, თუ ყოველდღიური კონტაქტი ექნება ქართველ ძალოვნებთან. ამასთან, რუსეთის მთავარი ინტერესია პანკისის ხეობა. ამ ხეობით აპელირებს იგი და საქართველოს ტერორიზმის წაქეზებას სდებს ბრალად. თუკი რუსეთს პანკისის ხეობაში თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცემა, ბუნებრივია, ამას საკუთარი ინტერესებისა და საქართველოს ინტერესების საზიანოდ გამოიყენებს. რუსეთი გამოცდილია პროვოკაციების მოწყობისა და შემდეგ სხვებისთვის გადაბრალების საქმეში. ეს უახლოესმა წარსულმა არაერთხელ გვაჩვენა. გარდა ამისა, რუსეთი შეეცდება, მისი პოზიცია დომინანტი იყოს და ცენტრი საკუთარი ინტერესების თვალსაზრისით გადააწყოს, — განაცხადა კვახაძემ.

კავკასიოლოგი საქართველოსთვის ტერორიზმის საფრთხედ არა ჩრდილოეთ კავკასიას, არამედ რუსეთის სპეცსამსახურებს მიიჩნევს და დასტურად საქართველოს უახლოესი წარსულიდან რიგ მაგალითებს იხსენებს.

— მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოსთვის ტერორიზმის მთავარი საფრთხე არა ჩრდილოეთ კავკასიიდან, არამედ რუსეთის სპეცსამსახურებისგან მოდის. აღნიშნული ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე დადასტურდა. გავიხსენოთ იგივე „კოჭოიას" საქმე. ვნახეთ, რომ „გრუ"-ს მაღალჩინოსანი ევგენი ბორისოვი, მუხრან ცხადაია, ვალმერ ბუთბა და სხვანი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა გადაბირებას ახდენდნენ და აიძულებდნენ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების ჩატარებას, რასაც ქართველი ძალოვანი, კორძაძე, შეეწირა, — განაცხადა კავკასიოლოგმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძის განცხადებით, მასთან შეხვედრებზე ქართულ-რუსულ ერთობლივ ანტიტერორისტულ ცენტრზე საუბარი არ ყოფილა. როგორც აბაშიძემ განაცხადა, მასთან ამ თემაზე სიტყვაც არ უთქვამთ და იმ პირობებში, როდესაც რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები არ გვაქვს, საქართველოში ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის განთავსება ძნელად წარმოსადგენია, ჩემთვის მსგავსი რამ ცნობილი არაა, — განაცხადა აბაშიძემ.

# საბურთალოს გამგებელი თანამდებობას ტოვებს

შორენა გონგლაძე

საბურთალოს გამგებელი გია ხუროშვილი მზადაა, თანამდებობა დატოვოს. ამის შესახებ ხუროშვილმა „პრაიმ ტაიმის" პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. საბურთალოს გამგებელმა ასევე მოუწოდა საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილს, თავადაც დატოვოს თანამდებობა და თბილისელებს მისცეს საშუალება, თავად აირჩიონ საკრებულოს თავმჯდომარე. ხუროშვილმა აქამდე დაუმტკიცებელ თბილისის ბიუჯეტზეც ისაუბრა და საკრებულოს კიდევ ერთხელ მოუწოდა, გასცეს პასუხები კონკრეტულ კითხვებზე.



— ასწავლონ მოსახლეობას ის ჯადოსნური მეთოდები, თუ როგორ არის შესაძლებელი ფულის გარეშე ცხოვრება? დაფინანსების გარეშე როგორ შეიძლება გამაგრდეს ავარიული კორპუსები? ბიუჯეტის გარეშე როგორ შეიძლება, წყალი გაუყვანონ ხალხს? რომელი კლინიკები ახორციელებენ ოპერაციების სრულ დაფინანსებას ან მკურნალობას და რომელი აფთიაქები არიგებენ უფასოდ წამლებს? რატომ და რა შემოსავლებით უნდა დააკმაყოფილოს მოსახლეობამ „ყაზტრანსგაზის" მიერ გაზრდილი გადასახადები და ვინ აგებს ამაზე პასუხს, — განაცხადა გია ხუროშვილმა.

საბურთალოს გამგებელი საკრებულოს წევრების ბრალდებებსაც გამოეხმაურა. საკრებულოს წევრები მას რესტორნებში ამომრჩევლების დაპატიჟებასა და ამ გზით ადგილობრივი არჩევნებისთვის ხმების მოზიდვაში ადანაშაულებდნენ. გია ხუროშვილმა რესტორანში მოსახლეობის დაპატიჟების ფაქტი დაადასტურა და აღნიშნა, რომ ესენი იყვნენ სოციალურად დაუცველი ადამიანები, რომლებთან შეხვედრებსაც საბურთალოს გამგეობა წელიწადში ორჯერ აწყობს.

— ეს შეეხება იმ სოციალურად დაუცველ ადამიანებს, რომლებიც გასული წლის განმავლობაში მე ორჯერ დავპატიჟე. ყოველწლიურად საბურთალოს რაიონის გამგეობა ემსახურება 1380 სოციალურად დაუცველ ადამიანს და ჩვენ გვაქვს 4 უფასო სასადილო. მე არაფერს არ ვხედავ ცუდს, თუკი გამგებელი წელიწადში ორჯერ ამ ადამიანებთან ერთად მოაწყობს შეხვედრას გამგებელთან და თუნდაც 20 ლარს დახარჯავს, რომ ამ ადამიანებს მოუწყოს ჩვეულებრივისაგან განსხვავებული ერთი დღე. აქ არ ყოფილა ძვირადღირებული კერძები. ამ ფუფუნების უფლებას ჩემი მოსახლეობა და მე თავს არ მივცემთ, მაგრამ, თუკი ვინმე გაბედავს, ისაუბროს ამ პროგრამასთან დაკავშირებით, რომელიც უფასო სასადილოთა ბენეფიციართათვის განსხვავებული დღის მოწყობას გულისხმობს, დამერწმუნეთ, რომ მე საკმაოდ მკაცრ და უხეშ და ძალიან კონკრეტულ განცხადებებს გავაკეთებ ამ საკითხთან დაკავშირებით, — განაცხადა გია ხუროშვილმა.

# სალომე შელიას ფინანსური რჩევები

## 7 თებერვლიდან — თიბისი ბანკის ახალი პროექტი

სოციალურ ქსელებში ახალი სახე გამოჩნდა. ეს სალომე შელიაა — თიბისი ბანკის ახალი პროექტის ავტორი. მხოლოდ ერთ დღეში სალომე შელიას პრომო-ვიდეო 4000-მდე ადამიანმა ნახა. ვისაც ჯერ არ გინახავთ, გირჩევთ youtube-ზე და თიბისი ბანკის Facebook გვერდზე მოძებნოთ ვიდეო სახელწოდებით „სალომე შელიას ფინანსური რჩევები" და აუცილებლად ნახოთ.

მანამდე კი გვსურს უფრო დეტალურად მოგიყვეთ პროექტის შესახებ.

**თიბისი ბანკი იწყებს ქართულ საბანკო სივრცეში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციურ პროექტს „სალომე შელიას ფინანსური რჩევები"**, რომლის მიზანს ადამიანებისთვის სასარგებლო ფინანსური რჩევების მიცემა წარმოადგენს.

პირადი ფინანსების სწორი განკარგვა, ფულის ყაირათიანად ხარჯვა, დაზოგვა — ეს ის თემებია, რომლებიც ასე გვაწუხებს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ხშირად არ ვიცით, ვის მივმართოთ კომპეტენტური რჩევისათვის.

დღეიდან **სალომე შელია** გახდება თქვენი პირადი ფინანსური მრჩეველი და **მოკლე, საინტერესო ვიდეო რგოლების საშუალებით შეეცდება მოგცეთ საჭირო რჩევები, რაც დაგეხმარებათ თქვენი ყოველდღიურობის უზრუნველყოფასა და მომავლის სწორად დაგეგმვაში.**

ალბათ იკითხავთ, რატომ უნდა უსმინოთ ან ენდოთ ადამიანს, რომელიც მანამდე არსად გინახავთ, არც გსმენიათ მის შესახებ?! სალომე შელია გამოცდილი მენეჯერი, კვალიფიციური ბიზნეს კონსულტანტი, წარმატებული მეწარმე და პირადი ფინანსების ექსპერტია.

ვიდრე თიბისი ბანკთან ერთად თავის პროექტს წამოიწყებდა, ძალიან წარმატებული მენეჯერული კარიერა ქონდა როგორც კომერციულ, ისე საჯარო და არასამთავრობო სექტორებში. სალომეს მენეჯემენტის სფეროში საკონსულტაციო საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. 2006 წლიდან ხელმძღვანელობდა მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიას „IMG", რომელიც თანამშრომლობდა ისეთ ცნობილ კომპანიებთან, როგორებიცაა ფოთის პორტი, სოკარი, აქსისი და სხვა მრავალი.

სალომე შელიას აქვს მაგისტრის ხარისხი MBA ბიზნესის ადმინისტრირებაში Case Western Reserve უნივერსიტეტის Weatherhead მენეჯმენტის სკოლიდან; ასევე არის




თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის მაგისტრი.

მიუხედავად იმისა, რომ სალომე შელიას რჩევებს უკვე ბევრი ელოდება საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ დგას ყოფითი ფინანსური პრობლემები, მოსალოდნელი იყო, რომ ზოგიერთი იტყოდა — „ფული იყოს და მის ხარჯვას ვერავინ მასწავლისო". ამ კითხვაზე სალომე შელიას საკუთარი შეხედულება აქვს. ის ამბობს, რომ რაც უფრო ცოტაა ფული, მით მეტად სჭირდება მას მართვა.

„შევეცდები ჩემი მსმენელი თავიდანვე დავარწმუნო იმაში, რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ფული ბევრი გაქვთ თუ ცოტა. მართვა ნებისმიერი რაოდენობის ფულს სჭირდება. მცდარი ფინანსური გადაწყვეტილებებისგან დაზღვეული არავინაა — არც მდიდარი, არც ღარიბი. თუმცა, რაც უფრო შეზღუდულია თქვენი ფინანსური სახსრები, მით უფრო სავალალო შეიძლება იყოს არასწორი გადაწყვეტილებების შედეგებიც," — ამბობს სალომე შელია.

მან უკვე ჩაწერა პირველი ვიდეო-ბლოგი, რომელსაც სოციალური მედიის საშუალებით საზოგადოება 7 თებერვალს youtube-ზე და თიბისი ბანკის facebook გვერდზე იხილავს.

„ჩვენ ყველას გვინდა, გვქონდეს მშვიდი და ხალისიანი ცხოვრება. ფული კი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ჩვენი მატერიალური მდგომარეობა, მოგვწონს ეს თუ არა, გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე, ამიტომ, აჯობებს, ჩვენ ვმართოთ ფული და არა ჩვენმა ფულმა გვმართოს ჩვენ,"— ეს არის ის ფილოსოფია, რომელზეც დგას სალომე შელიას პროექტი.

თემები, რომლებზეც ის ფიქრობს, სწავლობს, ამუშავებს და შემდეგ სთავაზობს მომხმარებელს, როგორც ერთგვარ გზამკვლევს, თითოეული ადამიანის ყოველდღიურობაშია, ამიტომ თიბისი ბანკი დრწმუნებულია, რომ სალომეს კომუნიკაცია მოხმარებელთან იქნება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა მათ მიერ სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.

ამიტომ ყველას, ვისაც გაღელვებთ საკუთარი ფინანსური მდგომარეობა, დაინტერესდით, ჩაერთეთ, უყურეთ და მიიღეთ მონაწილეობა საზოგადოებისთვის სასარგებლო ამ პროექტში.

# სოლომონ პავლიაშვილი: „საშიშია, ლარის ინფლაცია დაიწყო“

## სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ერთი თვის განმავლობაში არის ფასების 2%-იანი ზრდა, ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე — 13%-იანი ზრდა, ხილზე — დაახლოებით 5%-იანი ზრდა.

შორენა კოწოწაშვილი

რამდენად სწორად მისცა ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შენიშვნა, რისი საპირწონე იქნება ორგანიზაცია „მოქალაქე“, ვინ დგანან კონკრეტულად კომერციული ბანკების უკან, რაზე უნდა იზრუნოს ეროვნულმა ბანკმა და, „ქართუ ბანკის“ უფლებების აღდგენის პარალელურად, რაზე უნდა იზრუნოს ახალმა ხელისუფლებამ? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ეკონომიკურ ექსპერტ სოლომონ პავლიაშვილთან.

***– ბატონო სოლომონ, როგორ აფასებთ ბიძინა ივანიშვილის სამთავრობო სექტორში გადასვლას და ორგანიზაცია „მოქალაქის“ დაფუძნებას? ექსპრემიერის განცხადებით, ორგანიზაცია ხელისუფლების აქტიურ კონტროლს განახორციელებს და სამოქალაქო ფლანგს გააძლიერებს.***

– ერთი რამ ცხადია, ეს ადამიანი უდავოდ თანმიმდევრულია. თქვა, პოლიტიკაში მოვალ და ერთი წელიწადში გამარჯვებას მივაღწევო, ეს ერთი; მეორე – თქვა, ერთი წლის მერე მე პოლიტიკიდან წავალო ანუ ბიზნესმენი გარკვეულად ჩამოყალიბდა პოლიტიკოსად და შემდგომ პოლიტიკოსი წავიდა არასამთავრობო სექტორში. თქვა, სამოქალაქო სექტორში გადავალო და ასეც გააკეთა. ამ ეტაპზე ის ნაბიჯები, რომელიც მან გადადგა, არის ძალიან თანმიმდევრული. ფაქტია, ამ მიმართულებით ივანიშვილმა რაც თქვა, შეასრულა. თავისთავად, ამ ადამიანის გამოჩენა სამოქალაქო სექტორში ქვეყნისთვის, რა თქმა უნდა, უდავოდ პოზიტიურია. გარკვეულად საპირწონეც იქნება ხშირ შემთხვევაში იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ვილაცის გავლენის ქვეშ არიან პირდაპირ თუ ირიბად. ეს შეიძლება იყოს ქვეყნის შიგნით ადგილობრივებიდან და შეიძლება იყოს გარედან მართული. მე ამას არ გამოვრიცხავ ანუ მართული იყოს როგორც ქვეყნის შიდა, ისე გარე ძალებიდან. შეიძლება რალაც თემებთან დაკავშირებით შეიძლება ეს ორგანიზაციები გარე დაკვეთასაც ასრულებდნენ. ამიტომ ობიექტურობას მოწყვეტილები იყვნენ, რადგან, ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს. აქაც ასეთი ამბავია. ამიტომ ამ ორგანიზაციის მიერ ობიექტურობა შეიძლება იმდენად იყოს დაცული, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ თემებთან დაკავშირებით, ლოკალურ საკითხებზე. მე ვფიქრობ, აქ არ იქნება ისეთი ძალა, რომელიც ღიად ტენდენციურობას გამოკვეთს. იმიტომ, რომ ამას ის ძალა იმიტომ აკეთებს, რომ გარკვეული ფინანსური რესურსი უზრუნველყოს, აქ ვფიქრობ, ასე არ იქნება. „მოქალაქე“ ყველანაირად გარანტირებულია. ამიტომ, ვფიქრობ, უფრო ნაკლებად იქნება დამოკიდებული სხვადასხვა სუბიექტზე. ამ შემთხვევაში ამ კუთხით გარკვეული რეგულირებაც მოხდება.

***– ფინანსური უზრუნველყოფა ამ ორგანიზაციის დამოუკიდებლობის გარანტია იქნება?***

– მისი ფინანსური უზრუნველყოფა გარანტირებულია. ვფიქრობ, უფრო სხვა, ადამიანური კაპიტალი აქვს მოსაპოვებელი ივანიშვილს. ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ არასამთავრობო ორგანიზაციამ რაიმე სხვა დავალებები შეასრულოს, თუნდაც ეს იყოს თავის ინტერესებიდან გამომდინარე. საზოგადოება იმდენად ჩასაფრებულია ამ ორგანიზაციის მიმართ და იმდენად უნდათ, ეს ყველაფერი გამჭვირვალე იყოს, რომ არა მგონია, ბიძინა ივანიშვილმა სალაპარაკო მისცეს. არა მგონია, ეს ორგანიზაცია იმისთვის შეექმნას, რომ გარკვეულ ტენდენციებს ემსახურებოდეს, შეკვეთები ხომ გამორიცხულია. მაგრამ, აქ არის ერთი საშიშროება: რადგან მთავრობა და ყველა ინსტიტუცია დღეს საპარლამენტო უმრავლესობის ხელშია, უმრავლესობის ლიდერი კი ივანიშვილია, შეიძლება, გარკვეული შეხმატკბილების მომენტი ჩამოყალიბდეს და ამან გარკვეულ პროცესებში სინქრონიზაცია მოახდინოს და ერთ გუნდად წარმოჩნდეს ანუ სხვადასხვა მხარე კი არ იყოს, როგორც კლასიკური ფორმაა, რომ ერთ მხარეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია, მეორე მხარეს – სამთავრობო. არასამთავრობო მაინც ოპონირების რეჟიმშია, თუნდაც მომხრე იყოს. როგორც ივანიშვილმა თქვა, ორგანიზაციის მთავარი ფუნქცია იქნება მედიის დახმარება, პრიორიტეტი – ანალიტიკოსების ჩამოყალბება, მართვის სწავლება, ობიექტურობა. ანალიტიკოსი გინდა არ გინდა, არის მთავრობის ანალიტიკოსი. ანალიტიკოსი არის სახელმწიფო ინსტიტუციების ანალიტიკოსი. ზოგადად პოლიტიკური სიტუაციების ანალიტიკოსი, რომელსაც ქმნიან სამთავრობო ძალები, პირობითად აღმასრულებელი ხელისუფლება, სასამართლო ხელისუფლება და ა.შ. აქ ანალიტიკოსი მაინც ოპონენტის როლშია.

***– გამორიცხავთ, რომ ამ ორგანიზაციის მიერ წამოწეული თემების საფუძველზე მოხდეს კონკრეტულ უწყებებში საკადრო წმენდა?***

– როგორც ექსპრემიერმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამასაც აპირებს. თქვა, ჩვენ არ დავინდობთ არავის, ყველას ოპონირებას გავუწევთ მიუხედავად იმისა, რა სიახლოვე ექნება ჩვენთან, როგორი ცენზი ექნება. ეს უკვე განაცხადა და ფაქტი სახეზეა. ალბათ გარკვეული ფილტრაცია იქნება ამ გზით მთავრობის საქმიანობის, თან, ორგანიზაციას იმხელა საშუალებები აქვს, რომ მაშინვე ასე ვთქვათ, მონოპოლიურ მდგომარეობას დაიკავებს. მას უფრო მეტი რესურსის გამოყენება შეუძლია, ფინანსები შეუზღუდავი აქვს, ამიტომ „მოქალაქე“ უდაოდ დომინანტი იქნება არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. ამიტომ შეიძლება ყველა სექტორი მოიცვას. მით უმეტეს, არჩილ კბილაშვილის არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობას გეგმავს. გარკვეული ოქროს შუალედი უნდა დაიცვან, რათა ამ ორგანიზაციის და ხელისუფლების ურთიერთობა-თანამშრომლობა შეხმატკბილებაში არ გადაიზარდოს. ვინც შენიანია, ყოველთვის მართალია, ასე არ უნდა იყოს. ისიც შეიძლება მოხდეს, თქვა ერთი და გაკეთდეს მეორე ანუ თქვა რეალობა რა არის და საჯაროდ გარეთ არ გამოიტანო. ვგულისხმობ იმას, რომ შიგნითვე მოაგვარო ყველაფერი, რადგან ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი შენი მოყვანილია. ინტერესთა კონფლიქტს ვერ დავარქმევ ამას, რადგან ეს არასამთავრობო ორგანიზაციაა, მაგრამ, ზოგადად, თავის ბუნებით, რალაცნაირად ასე არ გამოჩნდეს, ამის საშიშროება არის.

***– საპარლამენტო უმრავლესობის წევრების განცხადებებიდან ჩანს, რომ რადგან ივანიშვილი არის პირდაპირი და უშუალო, ამიტომ კონკრეტული მალალჩინოსნების კრიტიკა მისი და მისი ორგანიზაციის მხრიდან დაუფარავად იქნება.***

– მე მგონი, ამას აკეთებს კიდეც. ვხედავთ, რომ გარკვეული ძალები, ვინც მის გვერდით იყვნენ, დღეს აღარ არიან აქტიურად წარმოჩენილი. მე მგონი, ივანიშვილი თვითონაც ბევრს არკვევს, ეს თავისთავად ასეც იქნებოდა. ბუნებრივია, დღეს ივანიშვილი უფრო მეტ ინფორმაციას ფლობს, ვიდრე წელიწად-ნახევრის წინ ფლობდა. ამიტომ დღეს უკეთ ერკვევა ყველა პიროვნებაშიც, ყველა ადამიანში და კადრებშიც, ბუნებრივია, უკეთ გაერკვევა, ვისი გამოყენება შეიძლება და ვისი – არა ანუ რამდენად სწორია



ნებისმიერი საკადრო გადაწყვეტილება თუ სხვა რამ. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, პირობითად, ეკონომიკა, საინვესტიციო გარემოზე მუშაობა – ეს ყველაფერი რამდენად სწორედ მიდის.

***– პირველი საჯარო შენიშვნა პრემიერმა ღარიბაშვილმა ბიძინა ივანიშვილისგან სწორედ „მოქალაქის“ პრეზენტაციაზე მიიღო. ივანიშვილის აზრით, ღარიბაშვილი შეცდა, როცა თქვა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ვარდნა იყო...***

– მინდა, სიმართლე ვთქვა, რაც არ უნდა იყოს. მე პრემიერ ღარიბაშვილს ვეთანხმები, რომ იყო ეკონომიკური ვარდნა და ამაზე ვლაპარაკობთ უკვე დიდი ხანია. ბოლო ექვსი თვეა, ეკონომიკური ვარდნაა ქვეყანაში და 3,1 %-ით იყო ეკონომიკური ზრდა მთლიანი შიდა პროდუქტის. მაგრამ ეს არ იყო მარტო საქართველოში. ანალოგიური პროცესი იყო იგივე უკრაინაში, სომხეთში. აზერბაიჯანის გარდა, თითქმის აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში ეკონომიკური ვარდნა დაფიქსირდა. ამის უარყოფა არ შეიძლება. თვითონ ბატონი ბიძინა საუბრობდა, სხვათა შორის, რომ ამასთან დაკავშირებით იყო ობიექტური მიზეზები. ვეთანხმები. საპროცესო თანხებით აღარ ივსებოდა ბიუჯეტი. გარდა მაგისა, ბიზნესზე ზეწოლა აღარ იყო და არ ხდებოდა წინასწარ გადახდები. რაც მთავარია, იყო ობიექტური მიზეზები. ეს არის ის, რომ ორი – საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა ქვეყანაში. ფაქტობრივად, ხელისუფლების რადიკალური ცვლილება მოხდა. ამ ტრანსფორმაციულმა პერიოდმა ქვეყანაში გარკვეულწილად ეკონომიკური ზრდა შეანელა. შეიძლება, მმართველობაში გარკვეული კოორდინაციის პრობლემა იყო. შეიძლება, თვითმმართველობის ორგანოებისგან იყო გარკვეული წინააღმდეგობები და პირდაპირ თუ ირიბად ხელს უშლიდნენ ეკონომიკის განვითარებას ადგილებზე და უამრავი სხვა. ეს ყველამ ვაღიარეთ და რალაცნაირად არ ესმის ეს განცხადება, უბრალოდ, ზოგად ფონზე თუ კარგად ახსნი, შეიძლება ეს არ წარმოადგინო ეკონომიკურ ვარდნად, მაგრამ რეალურად 2013 წელს ეკონომიკაში პრობლემები იყო. ეს უდაოა. რომ 700 მლნ-მდე გავარღვიეთ ბიუჯეტი, ეს ცალსახაა. ლარის სერიოზული დევალვაცია მიდის.

***– თუმცა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი ამტკიცებდა, რომ საქმე სერიოზულად არაა და რომ ლარს საფრთხე არ ემუქრება. ზოგიერთი ეკონომისტი კი ფიქრობდა, რომ 1,9-ზე გაჩერდებოდა კურსი.***

– ეს ძალიან მაღალია. ჩვენ რასაც ვამბობდით, დევალვაცია სახეზეა. დევალვაცია, რომელიც გულისხმობს გარკვეულად ინფლაციასაც. ინფლაცია დაიწყო. გინდა, ერთი თვის განმავლობაში, წინა თვის დეკემბერთან შედარებით, 0,8% არის ინფლაციის ზრდის ტემპი. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ერთი თვის განმავლობაში არის ფასების 2%-იანი ზრდა. ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე 13%-იანი ზრდა, ხილზე დაახლოებით 5%-იანი ზრდა. ეს თვის განმავლობაში საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. თუ შეადარებ გასულ წელთან შედარებით, აქ ინფლაციის ზრდის ტემპი დაახლოებით 3%-ია. მაგრამ, მთავარი რაც არის, ჩვენთან ქვეყანაში დეფლაცია მიდიოდა და უცებ ინფლაციაზე გადავდივართ. როცა დეფლაცია დაიწყო, მაშინვე ვამბობდი, რომ საშიში დეფლაცია კი არ არის, არამედ ინფლაცია და ამის უნდა გვეშინოდესო. ინფლაციის მიზეზი არის სწორედ ის, რომ მოლოდინი შეიქმნა, რომ ლარის დევალვაცია ხდება და იძულებულები არიან მეტად გაყიდონ იმპორტიორებმა პროდუქცია. ჩვენ 70-80%-ზე იმპორტზე ვართ დამოკიდებული. მან გარკვეულად ხელი შეუწყო ინფლაციური პროცესის დაწყებას ქვეყანაში. მაგალითად, გასულ წელთან შედარებით დაახლოებით 0,9%-ით არის გაზრდილი ელექტროენერგიასა და წყალზე ფასები. ეს დამახასიათებელი მაჩვენებლებია. ფაქტობრივად, აქ არის ობიექტური და სუბიექტური მიზეზებიც, რომელზეც არაერთხელ გვისაუბრია. ეროვნული ბანკი კი გვაწყნარებს, მაგრამ ეროვნულ ბანკს აქვს ერთადერთი რეზერვი. ამ დღეებში, თუ არ ვცდები, 12 თებერვალს, მონეტარული პოლიტიკის საბჭო იკრიბება და საუბარი იქნება რეფინანსირების ტარიფის გაზრდაზე, ისე, როგორც ეს თურქეთმა გააკეთა. რეფინანსირების ტარიფი თურქეთის ბანკმა 7,5%-დან 12%-მდე გაიზარდა ანუ გაამკაცრა, უფრო ძვირი ფულის პოლიტიკა განახორციელა, რათა ქვეყანაში ინფლაციური პროცესები და დევალვაცია არ წასულიყო.

***– ეკონომიკურ ვარდნაზე იყო ლაპარაკი. რატომ ხდება ისე, რომ დღემდე ვერ მოხერხდა ეკონომიკური წინსვლის გამოკვეთა. ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ მომლოდინე რეჟიმში მყოფი ბიზნესი შეკუმშულ მდგომარეობაში იყო. ინვესტორების დაკვირვების რეჟიმში არიანო. იმის მიუხედავად, რომ ბიზნესი თავისუფალია, ეკონომიკა წინ ვერ მიდის.***

– ერთი წლის განმავლობაში ბიზნესი უდაოდ მოლოდინის რეჟიმში იყო. აკვირდებოდა ამ ხელისუფლებას როგორი მიმართულება ექნებოდა. თავიდან ბიზნესმა უდავოდ ამოისუნთქა, მაგრამ შემდეგ ბიზნესმენები მოლოდინის რეჟიმში გადავიდნენ. ამას ემატება ისიც, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არჩევნების დროს ყოველთვის ხდება ეკონომიკის და ინვესტიციების შემოსვლის შენელება. იმიტომ, რომ მაინც პოლიტიკურ რყევებზე დიდად არის დამოკიდებული ინვესტიციების მოზიდვა, იმიტომ, რომ ახალი ძალები მოდიან და ფიქრობენ, რამე არ შეიცვალოსო. ჩვენთან ძლიერი ინსტიტუციები რომ არ არის, გინდა თუ არა, ყველაფერი გავლებას ახდენა, იგივე პოლიტიკური რყევები ახდენს გავლენას, იმიტომ, რომ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს იგივე საკანონმდებლო თვალსაზრისით, პირობითად, საგადასახადო კანონმდებლობის თვალსაზრისით. სავსებით ვეთანხმები ღარიბაშვილს, რომელმაც ბიზნესმენებთან შეხვედრაზე განაცხადა, დიახ, ჩვენ რაც შეიძლება ნაკლები ცვლილება უნდა განვახორციელოთ საკანონმდებლო თვალსაზრისით იმიტომ, რომ ბიზნესმენებს ჰქონდეთ გრძელვადიანი გარანტიები, რომ რაც შეიძლება ნაკლები რეგულაციები უნდა გვქონდეს ეკონომიკაში, ამაშიც ვეთანხმები, იმიტომ, რომ ეს გარკვეულად ხელს უშლის ეკონომიკის განვითარებას და ინვესტიციების შემოდინებას და, რაც მთავარია: ჩვენ რომ ვცდილობთ ინვესტორები მოვხიბლოთ, ამ დროს გვაქვს ძალიან მაღალი საბანკო საპროცენტო განაკვეთი. დაახლოებით 13-14%-ია საქართველოში საპროცენტო განაკვეთი. საუბარი მაქვს კრედიტებთან დაკავშირებით. ეს ძალიან მაღალი მაჩვენებელია. მაშინ როდესაც პაკისტანში 13%-ია, ნიგერიაში, ნამიბიაში ყველგან დაბალია. რუსეთში „9%-ია, ესტონეთში – 5%. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში დეფლაცია იყო, ამ საპროცენტო განაკვეთმა, სამწუხაროდ, მაინც არ დაიწია. თან, კრედიტების მიღება ისევ გართულებულია.

***– ანუ ეროვნული ბანკმა და ბანკების ზედამხედველობის სამსახურმა უნდა იზრუნონ, რომ საპროცენტო განაკვეთებმა დაიწიოს?***

– დიახ, ეს ეროვნული ბანკის ფუნქციაა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაცია და მონიტორინგი უნდა იყოს ისეთი, რომ ტარიფებმა ქვემოთ დაიწიოს. როდესაც ქვეყანაში დეფლაცია გაქვს და -0,1-0,2% გაქვს ინფლაცია ანუ მინუსში ხარ გადასული, მაშინ წელიწადში რომ 12%-იანი საკრედიტო ტარიფი გაქვს, ჩათვალეთ, რომ ყველანაირად წამგებიანია ბიზნესმენებისთვის და რეალური სექტორისთვის. იმიტომ, რომ ინტერესს კარგავს და თუ აუცილებლობა არ არის, კრედიტების აღებისგან თავს იკავებენ. ინვესტორი რომ შემოდის, იმას გარკვეული კაპიტალი გააჩნია, მაგრამ ის ყოველთვის ცდილობს, რომ ადგილზე თანადაფინანსება განახორციელოს. ამიტომ შენი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უნდა იყოს ძალიან მოქნილი, რომ იმასთან ითანამშრომლოს და ინვესტორმა იმუშაოს. აი, ეს არის მნიშვნელოვანი. როცა მაღალი საბანკო საპროცენტო ტარიფები გაქვს და შენზე დაბალი ტარიფი აქვს აფრიკის ქვეყნებს, ტარიფი ხომ გამოწვეულია იქედან, რამდნად რისკიანია სესხის გაცემა. გამოდის, რომ შენ აფრიკის ქვეყნებზე მეტი რისკი გაქვს. როდესაც ამბობ, რომ ბიზნესის დაწყების სიმარტივით ვარ ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, ამ დროს ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით ხარ საკმაოდ ჩამორჩენილ რიგებში, ამიტომ ძალიან მძიმეა. ბანკებიდან სესხების აღებაც გაძნელებულია. მაგალითად, როცა ბანკში მიდიხარ და იძახი, რომ სესხი გინდა, მათთვის მთავარი რა არის იცით? ბიზნეს-გეგმა კი არ არის მთავარი, მთავარია, რა საფინანსო უზრუნველყოფა გაქვს ანუ იპოთეკაში რას მოაქცევენ. რა ქონებას დებ, რა საბანკო გარანტია გაქვს. აი, ეს არის მთავარი. შეიძლება აბსურდული ბიზნეს-გეგმა გქონდეს, და საფინანსო უზრუნველყოფა გქონდეს, ამიტომ ისინი სესხს მოგცემენ. ხოლო თუ პირიქით, კარგი ბიზნეს-გეგმა გაქვს და შედარებით სუსტი საფინანსო უზრუნველყოფა, სესხების გაცემა არ ხდება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

***– რატომ ვერ მოხერხდა საპროცენტო განაკვეთების დაწევა. ექსპერტების ინფორმაციით, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკიდან და სხვა ბანკებიდან 3-4%-ში იღებენ სესხებს და აქ მაღალ პროცენტში იძლევიან. აქ ლიდერი ნაციონალების ფინანსურ ინტერესებს ასახელებდნენ. დღესაც იგივე ინტერესები იკვეთება?***

– ასე პირდაპირ ვერ ვიტყვით. მხოლოდ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი არ არის, ასევე არის საერთაშორისო ფინანსურ კორპორაცია, მათ ძალიან მცირე წილი აქვთ ქართულ ბანკებში 5-6%. სხვებს აქვთ დიდი პროცენტი. ეს არის ხშირ შემთხვევაში ოფშორულ კუნძულებზე რეგისტრირებული გაურკვეველი წარმოშობის კომპანიები. ვერ გაიგებ, ამის უკან, ვინ დგას. თუ გადახედავთ სიას, ბანკების დამფუძნებლები ხშირ შემთხვევაში ფიზიკური პირები არიან. გასაგებია, ერთადერთი ბანკია „ქართუ ბანკი“, სადაც ჩანს, რომ დამფუძნებელი ქართველია, უტა ივანიშვილი, პირობითად. მაგრამ სხვა ბანკების დამფუძნებლები არიან უცხოელები, თუმცა ერთი-ორი ქართველიცაა. ამაში ცუდს ვერ ვხედავ, კარგია რომ უცხოელები არიან, მაგრამ ის უცხოელები ვინ არიან, რომელი კომპანიებია, ვერ გაიგებ. მათ წარმომავლობას ვერ დაადგენ, უცნობია. გარდა ამისა, აქ ერთი პრობლემაა, რაზეც არავინ საუბრობს: რამდენად არის ბანკებში კლიენტის კონფიდენციალობა დაცული. ვიცით, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ძალოვნები აკონტროლებდნენ საქართველოში მთელ საკრედიტო პოლიტიკას. ახლაც იგივე ხომ არ ხდება? ონლაინ რეჟიმში ხომ არ უყურებენ ძალოვნები ამ თანხების მოძრაობას? ეს ყოვლად დამღუპველია. იმიტომ, რომ ბანკების მთავარი ფუნქცია არის, რომ იყო კონფიდენციალობა დაცული; რომ შენი შემოსავლების კონფიდენციალობა განახორციელოს. ამიტომ, თუ ეს ინფორმაცია ყველასთვის ღიაა, მაშინ ჩათვალეთ, ეს გარკვეულწილად ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ეროვნული უსაფრთხოების პრობლემაც არის.

# საქართველოს ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ეწვია

ნათია ხურცილავა

საქართველოს დელეგაცია სოჭში უკვე იმყოფება. ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობის საკითხი დიდი ვნებათაღელვის მიზეზი იყო. არსებობენ ქვეყნები, რომლებმაც მუქარის წერილები მიიღეს. მსგავსი წერილი საქართველოს არ მიუღია. თუმცა, ექსპერტები გარკვეულ საფრთხეებსა და პროვოკაციებზე საუბრობენ. ამ შემთხვევაში როგორი იქნება საქართველოს ხელისუფლების პოზიცია?

საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, თუ ოლიმპიადაზე რაიმე სახის პროვოკაცია იქნება, საქართველოს მთავრობას ადეკვატური რეაქცია ექნება.

– საქართველოს მთავრობამ მართლაც რთული გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც სოჭის ოლიმპიადის თამაშებს ბოიკოტი არ გამოუცხადა და სპორტსმენების გამგზავრებას ხელი შეუწყო. იმედი მაქვს, რომ ეს თამაშები მშვიდობიანად ჩაივლის და პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებული არ იქნება. იმედი გვაქვს, რომ ეს სპორტული დღესასწაული იქნება, როგორც ნებისმიერ ოლიმპიურ თამაშებში უნდა იყოს, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

საქართველოს გუშინ ერთდღიანი ვიზიტით ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ეწვია. ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ტორბიორნ იაგლანდიმ საქართველოს სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის საკითხზეც ისაუბრა.

– ევროპის საბჭო ყოველთვის გამოდის იმ პოლიტიკიდან, რასაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა ჰქვია. ჩვენ ვიცავთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. როცა საქმე ეხება ოლიმპიადას, ვფიქრობ, რომ ეს არ უნდა იყოს გამოყენებული რაიმე პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მე ვფიქრობ, რომ შეიძლება პოლიტიკურ საკითხებზე მოხდეს აქცენტირება, რომლის თავიდან აცილება ძნელია, მაგრამ ეს სპორტული ღონისძიებაა და პოლიტიკური ქულების ჩასაწერად არ უნდა იქნეს გამოყენებული. ზუსტად არ ვიცი, რა მოხდება, დაველოდოთ მოვლენებს, – განაცხადა იაგლანდიმ.

ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა საქართველოს ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეებზეც გაამახვილა ყურადღება.

– აღნიშნული შემთხვევები განხილული უნდა იყოს სასამართლოს მიერ და აშკარა მტკიცებულებებიდან გამომდინარე. ყურადღებით ვაკვირდები მიმდინარე მოვლენებს, იმას, თუ რამდენად ევროპული კონვენციისა და სხვა დოკუმენტების ჩარჩოებში მიმდინარეობს პროცესები ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. უბრალოდ ვაკვირდებით, როგორ მიმდინარეობს პროცესები, კანონის უზენაესობა დაცული უნდა იყოს, – აღნიშნა იაგლანდიმ.

ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა მაი ფანჯიკიძემ ერთობლივი პრესკონფერენცია საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართეს.

ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ტორბიორნ იაგლანდიმ საქართველოს მიღწევებსა და ქვეყანაში გატარებულ რეფორმებზე ისაუბრა. მისი შეფასებით, საქართველო დემოკრატიის გზაზე წინ მიდის.

– საქართველო კონსტრუქციული და კარგი წევრია ევროსაბჭოსთვის. გამოწვევები რჩება, რეფორმები დგას დღის წესრიგში და აქედან გამომდინარე, 2013-2015 წლებისთვის ევროსაბჭოს სამოქმედო გეგმა შემუშავდა საქართველოსთვის. ეს გეგმა 34 პროექტს მოიცავს და მისი ბიუჯეტი 17 მილიონი ევროა, – განაცხადა იაგლანდიმ.

როგორც სტუმარმა აღნიშნა, საქართველოში დემოკრატიული საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა.

– ჩვენ მსგავსი არჩევნების ჩატარებას ველოდებით გაზაფხულზეც. საქართველო სწორ გზაზე დგას, მაგრამ მეტია გასაკეთებელი, – აღნიშნა იაგლანდიმ.

იაგლანდიმ სასამართლო სისტემის ყოველგვარი პოლიტიკური გავლენისგან გათავისუფლებისა და თავისუფალი მედიის არსებობის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება. სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა. პრეზენტაციას საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე უძღვებოდა და მას ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ტორბიორნ იაგლანდი, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ესწრებოდნენ.

სამოქმედო გეგმის ჩართულობის სფეროებია – ადამიანის უფლებების დაცვა და ხელშეწყობა, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა, პენიტენციური სისტემა და პოლიციის რეფორმა; მედიის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება; სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები; კარგი მმართველობა; ადგილობრივი დემოკრატია; შემწყნარებლობა და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა და ნდობის აღდგენის მექანიზმები.

სამოქმედო გეგმის შესრულებას ევროპის საბჭო და საქართველოს ხელისუფლება ერთობლივად შეაფასეს, რის შესახებაც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს რეგულარულად წარედგინება ანგარიშები.

ევროსაბჭოს გენერალური მდივანი გუშინ ასევე შეხვდა ირაკლი ღარიბაშვილს.

როგორც პრესისთვის ცნობილი გახდა, შეხვედრაზე მათ განსახორციელებელ ამოცანებზე იმსჯელეს. მათ შორის, საუბარი შეეხო თვითმმართველობის რეფორმას, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის კუთხით არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებს.

იგი საფუძველს უყრის შეთანხმებულ პრიორიტეტულ სფეროებში, რომელთა შორის აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა დაცვა და ხელშეწყობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის განმტკიცება, სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა, ადგილობრივი დემოკრატიისა და თვითმმართველობის რეფორმის გაძლიერება.

შეხვედრაზე გამოითქვა შეშფოთება ე.წ. სასაზღვრო ზოლის დროებითი გაფართოებისა და მავთულხლართების აღმართვის პროცესის გამო.

# მარნეულის სასურსათო ქარხნის წარმოება ამტკიცებს, რომ ქართულ სოფლის მეურნეობას მომავალი აქვს

## ირინა გაფრინდაშვილი: „სოფლის მეურნეობა რთული და სპეციფიკური დარგია, რომელიც საჭიროებს ეტაპობრივ განვითარებას, ევროპული გამოცდილების გაზიარებასა და უწყვეტ ინვესტიციას“



ირინა გაფრინდაშვილი

გემრიელი და ქართველი მომხმარებლის საყვარელი „მარნეულის“ პროდუქცია, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა სავაჭრო ქსელის დახლზე აწყვია, თავის დროზე საკმაოდ რისკიანი და ინოვაციური ბიზნესწამოწყების შედეგია. 2007 წლიდან ცნობილი ქართული მინერალური წყლის „ნაბეღლავის“ მწარმოებელი კომპანიის „წყალი მარგებლის“ აქციონერების ინტერესი სოფლის მეურნეობის აღორძინებასა და კვების მრეწველობის განვითარებას დაუკავშირდა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება „მარნეულის სასურსათო ქარხნისა“ და „მარნეული აგროს“ ისტორიაც.

„სოფლის მეურნეობა რთული და სპეციფიკური დარგია, რომელიც საჭიროებს ეტაპობრივ განვითარებას, ევროპული გამოცდილების გაზიარებასა და უწყვეტ ინვესტიციას. განვითარებული ქვეყნების ინოვაციური მიდგომის გათვალისწინების გარეშე ის პოტენციალიც განადგურდება, რაც დღეს არსებობს ქვეყანაში. „მარნეულის სასურსათო ქარხნისა“ და „მარნეული აგროს“ შვიდწლიანმა საქმიანობამ ეს ნათლად დაგვანახვა,“ – აღნიშნავს „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ დირექტორი **ირინა გაფრინდაშვილი**.

2012 წელს დანერგილმა ახალმა ტექნოლოგიებმა საშუალება მისცა კომპანიას, უფრო მეტი სიახლე შეეთავაზებინა მომხმარებლისთვის. შესაბამისად, 2013 წელი „მარნეულის სასურსათო ქარხნისთვის“ გამორჩეული იყო. გაიზარდა პროდუქციის წარმოება. ამის მაგალითია სარეალიზაციო ქსელში პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპები, კომპანიამ კიტრის მწნილებისა და ტომატ-პასტების ასორტიმენტის ზრდასთან ერთად, სალათების გამოშვებაც დაიწყო. განხორციელდა „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ პროდუქციის პირველი ექსპორტი ევროპაში. დღეისათვის „მარნეულის სასურსათო ქარხანას“ ტომატ-პასტის ბაზრის დაახლოებით 30% უკავია, ხოლო კიტრის მწნილის – 40%.

*– ქალბატონო ირინა, „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ მიზანი იყო იმპორტირებული პროდუქციის ქართული ნაწარმით ჩანაცვლება...*

**„მარნეულის სასურსათო ქარხანა“ „მარგებელი ჰოლდინგის“ ნაწილია, რომელიც 2007 წელს დაარსდა და საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოა. ქარხანა ევროპული სტანდარტების მქონე დანადგარებითაა აღჭურვილი და 50-მდე დასახელების ქართული ნედლეულისგან დამზადებულ, ნატურალურ და გემრიელ საკონსერვო პროდუქტს უშვებს. ქილაში ჩადებული თითოეული პროდუქტი ქართულ მიწაზეა მოყვანილი და 100 პროცენტით ქართულია. შესაბამისად, M ნიშანი საქართველოში ხარისხისა და ჯანსაღი საკვების სინონიმად იქცა.**

– საწარმოს შექმნის დღიდან ჩვენი მიზანია ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქციის ქართულით ჩანაცვლება. მომხმარებელს ვთავაზობთ 100 პროცენტით ქართულ პროდუქტს. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, არსებული მითი დაგვემსხვრია, თითქოს საქართველოში წარმოება შეუძლებელია, კონკურენციას ვერ გაუწევ თურქეთს, ჩინეთს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ხანგრძლივი პროცესია, თუმცა – მიღწევადი. იმისთვის, რომ ქარხანამ შეძლოს, წარმოება კონკურენტუნარიანი გახადოს, აუცილებელია, წარმოების სრული ციკლი შეესაბამებოდეს და იყოს მაღალი სტანდარტების. სწორედ ამიტომ ქარხანაში ნედლეულის უწყვეტი მიწოდების მიზნით ინვესტიცია ჩაიდო „მარნეული აგრო“-ში. კომპანიის გაყიდვები დღითიდღე იზრდება და ასორტიმენტსაც სულ უფრო მეტად ვაფართოებთ. 2014 წლისთვისაც იგეგმება ასორტიმენტის გაფართოება. რაც უფრო მეტი ქართული საწარმო იქნება ქვეყანაში, მით უფრო მეტად დაიკავებს ქართული პროდუქცია იმპორტირებული პროდუქციის წილს ქართულ ბაზარზე.



*– თქვენი პროდუქცია 2013 წელს ექსპორტზეც გავიდა და, როგორც ვიცით, უცხოელების დიდი მოწონება დაიმსახურა. ამ მიმართულებით თუ გეგმავთ აქტივობებს?*

– ძალიან ბევრი შემოთავაზება და დიდი დაინტერესებაა მარნეულის სასურსათო ქარხნის პროდუქციის ექსპორტზე გასატანად. კომპანია პერიოდულად მონაწილეობს უცხოეთში გამართულ გამოფენებზე, რომლის მაგალითია Foodlst სტამბოლში 2012 წლის დეკემბერში, ხოლო თებერვლის ბოლოს კომპანია წარმოდგენილი იქნება ამ სფეროში ერთ-ერთ უმსხვილეს გამოფენაზე – GulFood დუბაიში. მსგავსი გამოფენები ჩვენ საშუალებას გვაძლევს, უფრო ახლოს გავიცნოთ, თუ რა მოთხოვნებია უცხოეთის ბაზარზე. პროდუქციის ექსპორტზე გატანა გრძელვადიანი თემაა და ჩვენ ვცდილობთ, მომზადებულნი ვიყოთ და ისეთი პროდუქტი შევთავაზოთ უცხოურ მომხმარებელს, რომელიც მალევე გახდება პოპულარული და ადვილად დაიმკვიდრებს ადგილს. ამ ეტაპზე კომპანია უფრო ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული.

*– ქარხნის ძირითადი მომწოდებელი ჰოლდინგში შემავალი „მარნეული აგრო“ და ადგილობრივი ფერმერები არიან. როგორ ხდება დაგეგმვა – მოსავლის მოყვანის და ალების პროცესი?*

– „მარნეული აგრო“ მარგებელი ჰოლდინგის ნაწილია, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა სოფლის მეურნეობის სფეროში. კომპანია მარნეულის სასურსათო ქარხნისთვის ნედლეულის მთავარი მიმწოდებელია, გააჩნია საკუთარი სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთები, სადაც მოჰყავს ბოსტნეული და მარცვლეული კულტურები. ხდება ბოსტნეულის ჩითილების გამოყვანა საჩითილეებში და შემდეგ ხდება გადარგვა ღია გრუნტზე. „მარნეული აგრო“ იყენებს ბოსტნეულის მოყვანის ევროპულ მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. კომპანიას გააჩნია თანამედროვე წვეთოვანი მორწყვისთვის საჭირო აღჭურვილობა, ასევე კიტრისა და პომიდვრის ამლები, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ აქვს. შედეგად „მარნეული აგროს“ მოსავლიანობა ჰექტარზე გადაანგარიშებით ყოველწლიურად იზრდება. კომპანიის მთავარი მიზანია, მოსავლიანობის მხრივ მივუახლოვდეთ მსოფლიოს მაჩვენებლებს. მაგალითისთვის პომიდვრის მოსავლიანობა ჰექტარზე საშუალოდ 100-120 ტონაა, მაშინ როდესაც საქართველოში საშუალო მაჩვენებელი 15-20 ტონამდეა. ჩვენს მინდვრებზე მივაღწიეთ დაახლოებით 70 ტონას. რაც შეეხება კიტრს, ევროპაში მოსავლიანობა დაახლოებით 80-100 ტონამდეა, ხოლო „მარნეული აგროს“ მინდვრებზე – 55 ტონამდე. ასევე აღსანიშნავია, რომ წელს „მარნეული აგრომ“ ხორბლის რეკორდული მოსავალი აიღო – 120 ჰექტარი მინდვრიდან – 450 ტონა ხორბალი. ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობამ 7,5 ტონა შეადგინა, რაც ქვეყანაში საშუალო მაჩვენებელს 4-ჯერ აღემატება. ეს მაჩვენებლები საქართველოსთვის რეკორდულია.

*– რაც შეეხება წარმოებას, როგორი იყო 2013 წლის წარმოების სეზონი?*

– მარნეულის სასურსათო ქარხანა ნედლეულით ადგილობრივი ფერმერებისგან და საკუთარი მეურნეობიდან მარაგდება. გადანაწილება დაახლოებით შემდეგნაირია: ნედლეულის 40%-ს საკუთარი მინდვრებიდან ვიღებთ, ხოლო 60% ქართულ ბაზარზე მოღვაწე ფერმერებიდან შემოგვდის. ნედლეულს საქართველოს თითქმის მთელი ტერიტორიიდან ვიბარებთ. მოსავლიანობა ყოველწლიურად გვეზრდება. მომავალი სეზონისთვის მოსავლის აღების ტექნოლოგიებში ინვესტიციებს ვდებთ იმისთვის, რომ უზრუნველვყოთ კიდევ უფრო დიდი წარმოება ბაზრისთვის. საქართველოს კლიმატი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ კიტრის მოსავალი ორ სეზონზე გადავანაწილოთ. პირველი სეზონის მოსავლის აღება მაისის შუა რიცხვებიდან იწყება და ივლისის დასაწყისამდე გრძელდება, ხოლო მეორე მოსავალი სექტემბრის დასაწყისში იწყება და ოქტომბრის ბოლომდე გრძელდება. 2013 წელს კიტრის რეკორდული მოსავალი მივიღეთ. ქარხანაში კიტრის გადასამუშავებლად ევროპელი მწარმოებლების ცნობილი დანადგარებია, რაც უზრუნველყოფს წარმოებულის მაღალ დონეს და ხარისხს. არსებული ტექნოლოგიური ხაზები კომპანიას საშუალებას აძლევს, ნედლეული დაafasoos შემდეგ ფორმატებში: 200, 250, 370, 580, 730, 1000, 3000 მლ-იან შუშის შეფუთვებში, 210, 425, 830-გრამიან თუნუქის ქილებში, ასევე დიდ მოცულობებში. ჯემები დაფასოებულია 5, 10 და 20-კილოგრამიან სათლებში, კორპორატიული მომხმარებლებისთვის 2013 წლიდან დავამატეთ თუნუქის 14 და 18- ლიტრიან შეფუთვებშიც.



# რუსეთი მსოფლიოს სიმშვიდისკენ მოუწოდებს

მარიკა მჭედლიშვილი

**სოჭის ოლიმპიადისთვის საგანგებოდ მოემზადნენ ოკუპირებული რეგიონები, რომლებიც თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოებს უწოდებენ. აფხაზეთში დიდი ხანია შექმნილია უწყებათაშორისი ოპერატიული ჯგუფი, რომლის მიზანია სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.**

,,აფსნი-რუს" ცნობით, ამ ჯგუფის მორიგი სხდომა ოლიმპიადის წინაც გაიმართა აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურში. შეკრებაზე იმსჯელეს საზღვრის ზონაში უსაფრთხოების ღონისძიებებზე ოლიმპიური თამაშების დროს და აფხაზეთის მოსახლეობის პრობლემების მინიმიზაციაზე ამ ღონისძიებების დროს.

საზღვარი კი, მოგეხსენებათ, 11 კილომეტრით გადმოსწიეს.

– ეს გადაწყვეტილება აფხაზეთის ხელისუფლებამ მიიღო პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში სოჭში ზამთრის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, – აცხადებს სოხუმის ხელისუფლება, რომელიც ირწმუნება, ეს საკითხი აფხაზეთის მთავრობის საშინაო საქმეა და თბილისს ამასთან მიმართებით არაფერი ესაქმებაო.

– საქართველომ ცადა ამ სიტუაციის თავის სასარგებლოდ გამოყენება, როცა პროტესტი გამოთქვა რუსეთის ფედერაციის მიმართ და ის საზღვრების მორიგ ცვლილებაში დაადანაშაულა, – აცხადებს სოხუმი.

აფხაზური მთავრობა უფრო შორსაც მიდის და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სიყალბეზეც საუბრობს (საკითხავია, რაში მდგომარეობს ეს სიყალბე?)

– ყველა სიყალბე ხანმოკლეა და ამ აქციასაც არანაირი გაგრძელება არ მოჰყოლია, მისი აშკარა აბსურდულობიდან გამომდინარე. აფხაზეთის ხელისუფლებამ ამასთან დაკავშირებით გააკეთა შესაბამისი განცხადებები, რის შემდეგაც ეს საკითხი აღარავის აინტერესებს, – წერს გამოცემა.

თუ აფხაზური მხარე საქართველოს ხელისუფლებას პროტესტს საყვედურობს 11 კილომეტრით საზღვრის გადმოწევასთან დაკავშირებით, ქართული ოპოზიციის ნაწილი რუსეთის მიმართ მაამებლობას სდებს ბრალად.

– დღევანდელი ხელისუფლებაც, ნაცმოძრაობის მსგავსად, რუსეთისათვის მისაღებ გადაწყვეტილებებს იღებს, ყველანაირად ცდილობს, რუსეთი ,,გაათეთროს" და თვალი დახუჭოს საოკუპაციო ზოლის გადმოწევაზე და ამას გამყოფი ხაზი დაარქვას... ,,ქართული ოცნება" ცდილობს, რუსეთს ასიამოვნოს და აფხაზეთში რკინიგზის გახსნაზე, სოჭის ოლიმპიადაზე ისაუბროს, – აცხადებს ,,სახალხო პარტიის" ლიდერი მამუკა გიორგაძე (,,ახალი თაობა" 25-26 იანვარი).

ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის საგულდაგულოდ ემზადებოდნენ ცხინვალის ოკუპირებული ზონის მმართველებიც, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ რუსეთთან მიერთებაზე რეფერენდუმს აწყობდნენ, მაგრამ ეს გადააფიქრებინეს.

ცხინვალის ,,მთავრობა" მარტო გადმოწეულ საზღვრებს კი არ ამაგრებდა, არამედ, რუსეთის სამხედროებთან ერთად საჰაერო თავდაცვის გეგმებს აწყობდა და, ,,ოსეტია-რუ"-ს ცნობით, პასუხისმგებლობის სფეროებს მიჯნავდა. შესაბამის დოკუმენტს რუსეთის არმიის გენერალმა არკადი ბახინმა და ,,სამხრეთი ოსეთის" თავდაცვის მინისტრმა მოაწერეს ხელი.

ოლიმპიადის გახსნის წინ კი რუსეთმა, როგორც ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორმა, მიმართა ყველა კონტინენტისა და ქვეყნის შეიარაღებული კონფლიქტების მონაწილეებს, გამოაცხადონ დროებითი ზავი.

– პირველ რიგში, ჩვენი მოწოდება მიმართულია სისხლიანი კონფლიქტის მონაწილეებისადმი სირიაში, რომელიც სერიოზულ მადესტაბილიზებელ გავლენას ახდენს მდგომარეობაზე არა მარტო ამ ქვეყანაში, არამედ, მთლიანად რეგიონში, – ნათქვამია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

# ესაჭიროება თუ არა საქართველოს ყაზახეთის გამოცდილება

2014 წლის 17 იანვარს ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა მიმართა თავისი ქვეყნის მოსახლეობას მორიგი ყოველწლიური მიმართვით, სადაც განსაზღვრა სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიული მიზნები მანამდე მიღებული ,,სტრატეგია-2050"-ის ფარგლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად გრძელვადიანი გეგმებით ხელმძღვანელობს მრავალი წარმატებული ქვეყანა – ჩინეთი, მალაიზია, თურქეთი. ყაზახეთისთვის ,,სტრატეგია-2050" არის მთავარი ორიენტირი, რა მიმართულებითაც უნდა განვითარდეს ქვეყანა ხალხის ყოველდღიური ცხოვრების საკითხების გადაწყვეტის პროცესში. ამასთან, როგორც გვიჩვენებს ამ სახელმწიფოს განვითარების გამოცდილება, ყაზახეთის ხელმძღვანელობა ახერხებს მოსახლეობის ცხოვრების დონის ყოველწლიურ ამაღლებას 30-50 წლის შემდეგ სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიღწევის დეკლარირების სანაცვლოდ.

დასახული მიზნისა და თანმიმდევრული, დაბალანსებული განვითარების მისაღწევად ყაზახეთის ლიდერმა ჩამოაყალიბა რამდენიმე ამოცანა. მიმაჩნია, რომ სარგებლის მოტანის თვალსაზრისით საქართველოს განვითარების გზების შემუშავებისას შეიძლება საინტერესო იყოს შემდეგი გარემოებები:

**პირველი:** ყურადღების გამახვილება ინოვაციურ ინდუსტრიალიზაციაზე, ამასთან, რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ინდუსტრიალიზაციის პრიორიტეტების რაოდენობის შეზღუდვის მიზანშეწონილობა.

**მეორე:** დიდი მნიშვნელობა აქვს აგროსამრეწველო კომპლექსის გადაყვანას ინოვაციურ რელსებზე. ეს დარგი საქართველოსთვის ტრადიციულია. ამ მხრივ საინტერესოა ნ. ნაზარბაევის შეფასებები იმასთან დაკავშირებით, რომ ,,გლობალური მოთხოვნა სურსათზე სულ უფრო გაიზრდება. ამიტომ დღევანდელმა ფერმერებმა უნდა იზრუნონ წარმოების ზრდაზე, ნაცვლად იმისა, რომ დაკმაყოფილდნენ ამინდის პირობებთან დაკავშირებული მოკლევადიანი მიღწევებით". კონკურენცია გლობალურ აგრომრეწველობაში სულ უფრო გაიზრდება. მიწაზე უნდა მუშაობდნენ პირველ რიგში ისინი, ვინც ნერგავს ახალ ტექნოლოგიებს და მუდმივად ზრდის მწარმოებლურობას, მუშაობს საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად.

ყაზახეთის ლიდერის თქმით, პირველ რიგში ,,მნიშვნელოვანია ეფექტური მიწის ბაზრის შექმნა, მათ შორის ფასების დადგენის გამჭვირვალე მექანიზმების მეშვეობით. სასოფლო-სამეურნეო მიწების იჯარით გაცემა, ოღონდ ინვესტიციების მოზიდვისა და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის გათვალისწინებით, გაზრდის კონკურენციას. საჭიროა ყველა იმ ბარიერის მოშორება, რომელიც ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას სოფლის მეურნეობაში, ფერმერების კოოპერაციის პროცესს, ეფექტიან მიწათსარგებლობას.

მომავალი ეკუთვნის აგრარულ სექტორში ახალი გადამამუშავებელი საწარმოების ქსელის შექმნას, ძირითადად, მცირე და საშუალო ბიზნესის ფორმით. აქ საჭიროა ბიზნესის მხარდაჭერა კრედიტების მეშვეობით. ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს გრძელვადიანი დაფინანსება და გასაღების ბაზრები შუამავლების გარეშე. აქტუალური საკითხია სოფლის მწარმოებლების სესხების გარანტირებისა და დაზღვევის ეფექტური სისტემის შექმნა... საჭიროა აგრარული მეცნიერების განვითარება, აგრარულ-ინოვაციური კლასტერების შექმნა".

**მესამე:** ინფრასტრუქტურული ტრიადის – აგლომერაციების, ტრანსპორტის, ენერგეტიკის – დინამიკური განვითარების უზრუნველყოფა. კერძოდ, ლოჯისტიკის სფეროში. ამ კუთხით ჩვენთვის საინტერესოა განცხადება იმის თაობაზე, რომ პერსპექტივაში ყაზახეთმა ინვესტიციები უნდა ჩადოს ლოჯისტიკური ცენტრების შექმნაში იმ ქვეყნებში, რომლებსაც გააჩნიათ გასასვლელი ზღვაზე. ნ. ნაზარბაევის თქმით, 1200 კმ სიგრძის რკინიგზა ,,ჟეზკაზგან-შალკარ-ბეინეუ", რომლის მშენებლობა დასრულდება 2015 წელს, შესაძლებელს გახდის ევროპაში გასვლას კასპიისა და კავკასიის გავლით, ხოლო აღმოსავლეთში – წყნარი ოკეანის ნავსადგურ ლიანიუნიგანში, რის შესახებაც არსებობს შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

**მეოთხე:** მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. ყაზახეთის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ რაც უფრო მეტია მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ქვეყნის ეკონომიკაში, მით უფრო მყარად ვითარდება სახელმწიფო. მისი განვითარებისთვის საჭიროა კომპლექსური გადაწყვეტილებები კერძო საკუთრების ინსტიტუტის საკანონმდებლო გამყარების კუთხით.

მნიშვნელოვანია ღონისძიებების გატარება მცირე ბიზნესის სპეციალიზაციის განვითარების თვალსაზრისით, მისი საშუალო ბიზნესის რანგში გადასვლის პერსპექტივით. საჭიროა ამ სექტორის სუბიექტების გაკოტრების მკაფიო მექანიზმის დანერგვა. მცირე და საშუალო ბიზნესი უნდა განვითარდეს ახალი ინოვაციური საწარმოების გარშემო. აუცილებელია დამწყები ბიზნესმენებისთვის მეთოდური დახმარების ეფექტიანი მექანიზმების შექმნა.

**მეხუთე:** სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების სრულყოფა. ქვეყანაში უნდა სუფევდეს პატიოსანი კონკურენციის, სამართლიანობის, კანონის უზენაესობისა და მაღალი სამართლებრივი კულტურის ატმოსფერო. საჭიროა არასამთავრობო სექტორთან და ბიზნესთან სახელმწიფოს ურთიერთობის განახლებული ინსტრუმენტები.

თანასწორობა კანონის წინაშე უნდა იქცეს მართლწესრიგის რეალურ საფუძვლად. სასამართლო სისტემა რეალურად უნდა გახდეს გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი და იგი მარტივად და სწრაფად უნდა არეგულირებდეს ყველა დავას.

დასმული საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა ყველა მისაღები გადაწყვეტილების პრაგმატულობისა და ევოლუციურობის პრინციპების დაცვა. დაუშვებელია ნახტომები, გაუაზრებელი ექსპერიმენტები და ავანტიურები ეკონომიკაში, პოლიტიკასა და სოციალურ ცხოვრებაში. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთხელსაყრელი გახსნილობის პრინციპს უცხოური ინვესტიციების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მოსაზიდად. ამ პრინციპების დაცვის საბოლოო მიზანია ხალხის კეთილდღეობის გამყარება.

ყაზახეთის განვითარება გვიჩვენებს, რომ მიზნებისა და ამოცანების მკაფიო განსაზღვრა, მათი თანმიმდევრული გადაწყვეტა, საზოგადოებაში ურთიერთგაგებისა და შემწყნარებელი დამოკიდებულების უზრუნველყოფა ხელს უწყობს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჰარმონიულ განვითარებას. ავტორი არ არის ეკონომიკური მშენებლობის სფეროში უცხოური გამოცდილების ბრმა კოპირების მომხრე, თუმცა მას მიაჩნია, რომ საქართველოს მეგობარი ქვეყნის ყაზახეთის გამოცდილება იმსახურებს სათანადო შესწავლას.

საქართველო ტერიტორიულად პატარა ქვეყანაა, მაგრამ – დიდი პოტენციალის მქონე. არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის, არამედ ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი გზის თვალსაზრისით. ამიტომ ყაზახეთი საქართველოსთვის სტრატეგიულ პარტნიორს წარმოადგენს.

ჩემი თვალსაზრისით საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაიზიაროს ყაზახეთის გამოცდილება სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხში, რაც დაეხმარება მას, რეგიონების მიხედვით დაძლიოს ურთულესი პრობლემები ამ სფეროში.

ნურსულთან ნაზარბაევის მიერ განსაზღვრული სტრატეგიული მიზანი სახელმწიფო განვითარებისა <<სტრატეგია 2050>> მეტად საინტერესო იქნება ჩვენი სახელმწიფოსთვის.

დღესდღეობით მსოფლიოში დიდი მოთხოვნილებაა ბიოპროდუქტებზე და საქართველოს დიდი შესაძლებლობა გააჩნია, დააკმაყოფილოს კონკრეტული მოთხოვნილებები. ჩვენი ქვეყნის ნიადაგი არ არის დაბინძურებული ქიმიური მომწამლავი ნივთიერებებით, შესაბამისად, ქართული პროდუქცია მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს მსოფლიო ბაზარზე.

ზაზა მეზვრიშვილი

## განცხადებები

- ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს ,,იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბრონაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალ-სახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.
- მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.
- მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.
- გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.
- ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

# რობერი — ბაიერნის ფლანგთა სინთეზი

მიუნხენის „ბაიერნისა“ და გერმანული ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის უცხო არ არის სიტყვა „რობერი“. და მაინც: ეს ორი ლიდერის არიენ რობენისა და ფრანკ რიბერის გვარების სინთეზია.

ეს ტერმინი საფეხბურთო გერმანიაში მაშინ გაჩნდა, როცა „ბაიერნში“ რიბერი და რობენი გაერთიანდნენ და ფლანგებიდან მეტოქე გუნდების აწიოკება დაიწყეს. მას მერე ხან რობენს ჰქონდა ტრავმები, ხანაც რიბერის ჩავარდნები, ახლა კი ეს წყვილი ისევ აღსდგა და ძველებურ სტილში აგრძელებს მეტოქე გუნდების მცველების დაზაფვრას.

აღსანიშნავია, რომ ორივე 30 წლის არის, ბუნდესლიგის განვლილ ტურში ორივემ გოლი გაიტანა და მიმდინარე სეზონში გოლების რაოდენობა ორივემ შვიდამდე გაზარდა.

გთავაზობთ ინტერვიუს ორივე მათგანთან, რომელიც გერმანულ მედიაში გამოქვეყნდა.

რიბერი: ჩემპიონთა ლიგისთვის ყველა გამარჯვება მნიშვნელოვანია!

*–მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის შემდეგ ოფიციალურ შეხვედრაში პირველად ითამაშეთ და პირველივე მატჩში გოლის გატანა მოახერხეთ. სრულყოფილი დაბრუნება გამოგივიდათ?*

– შეიძლება, მოკლედ ითქვას: კმაყოფილი ვარ. ბოლო დროს არც ისე კარგ ხასიათზე ვიყავი – ხან, უბრალოდ, თავს ცუდად ვგრძნობდი, ხანაც ტკივილები მაწუხებდა. ტკივილები მეტწილად ზურგიდან მოდიოდა. ასეთ დროს ექიმები გუნდთან ერთად ყოფნას მიკრძალავენ ხოლმე, რაც ჩემთვის ყოველთვის ტრაგედიაა. თუმცა მწვრთნელი ხშირად მესაუბრებოდა – ეს კი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

*–და რას გეუბნებოდათ პეპ გვარდიოლა?*

– მამშვიდებდა, მაიმედებდა და ნდობას მიცხადებდა. გვარდიოლა მეუბნებოდა, დაწყნარდი და თავს ნუ გაიწამებო. არადა, ასეთ დროს სტრესი და ნერვიულობა თავისით მოდის ხოლმე. „შტუტგარტთან“ მატჩის შემდეგ კი გვარდიოლა ჩემთან მოვიდა და მითხრა „აინტრახტთან“ მჭირდები და მინდა, რომ მომდევნო შეხვედრაში მოედანზე ნამდვილი რიბერი ვნახოო. როცა მწვრთნელს ასეთი მიდგომა აქვს, მის ხელში რომელი ფეხბურთელი მოიწყენს?

*– შეგვიძლია თუ არა, რომ „ბაიერნი“ უკვე გერმანიის ჩემპიონად გამოვაცხადოთ?*

– ყოველ შემთხვევაში, ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილისთვის თვალის შევლება ახლა მართლა დიდი სიამოვნებაა. „ლევერკუზენს“ უკვე 13 ქულით ვუსწრებთ, რაც ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნი“ გერმანიის ჩემპიონატის მთავარი ფავორიტის სტატუსს გადაჭარბებითაც კი ამართლებს. თუმცა კონცენტრაცია უნდა შევინარჩუნოთ, რადგან კონკურენტებს არ სძინავთ. ჩვენ პროფესიონალები ვართ და მიუნხენის „ბაიერნში“ ვთამაშობთ – შესაბამისად, ყველა მატჩი უნდა მოვიგოთ. მოდუნება არ შეიძლება!

*–მცირეოდენი მოდუნებაც არ შეიძლება? კონკურენტები ხომ ძალიან ჩამორჩებიან.*

– ბუნდესლიგაში მოპოვებული თითოეული გამარჯვება კარგია თავდაჯერებისთვის და ჩემპიონთა ლიგაშიც ძალიან წაგვადგება. თუ გვინდა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდეთ, ეს რიტმი უნდა შევინარჩუნოთ.

*– როგორ ფიქრობთ, „ბაიერნი“ გერმანიის ჩემპიონი მარცხის გარეშე გახდება?*

– ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ მეცხრე ცაზეც არ უნდა ვიფრინოთ. უბრალოდ, კონცენტრაცია უნდა შევინარჩუნოთ, მოედანზე ყველა შეხვედრაში მოსაგებად უნდა გავიდეთ და ფეხბურთის თამაშით უნდა ვისიამოვნოთ.

*– არის თუ არა „ბაიერნი“ მზად „არსენალთან“ დუელებისთვის?*

– როცა ამის დრო მოვა, 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მზად ვიქნებით! „არსენალი“ რთული მეტოქეა. გაიხსენეთ შარშანდელი ამბები: ლონდონში ძალიან კარგად ვითამაშეთ, აქ კი, მიუნხენში ბევრი შეცდომა დავუშვით. სწორედ იმ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ. თანაც, „არსენალი“ წელს შარშანდელზე უკეთესად გამოიყურება.

რობენი: ჩვენი მოტივაცია ფეხბურთის თამაშით სიამოვნებაა!

*–მოედანზე შესვლიდან ორ წუთში გოლი გაიტანეთ. კმაყოფილი ხართ?*

– არც კი ვიცი, გოლის მომენტში პირველად შევეხე ბურთს თუ მეორედ – ფაქტი ის არის, რომ ფეხბურთის თამაშით კიდევ ერთხელ მივიღე დიდი სიამოვნება. მარტო გოლი კი არ მიხარია, არამედ ის, რომ დავბრუნდი. იმედი მაქვს, რომ მალე საუკეთესო ფორმაში ვიქნები.

*–ახლა რამდენად შორს ხართ საუკეთესო ფორმისგან?*

– ყოველდღიურად ვუმატებ და ვატყობ, რომ ფორმაში შევდივარ, მაგრამ ჯერ 100 პროცენტისთვის არ მიმიღწევია. „აუგსბურგთან“ შეხვედრაში მიღებული ტრავმის შემდეგ 7-8 კვირა გავიდა და დიდი ხანი არაა, რაც გუნდთან ერთად, სრული დატვირთვით ვარჯიში დავიწყე, „შტუტგარტთან“ კი არც მითამაშია. ფორმის სრულად აღსადგენად ახლა უბრალოდ დრო მჭირდება.

*– „აინტრახტის“ კარში გატანილი გოლი თქვენთვის, ალბათ, დამატებითი მოტივაციაა.*

– არა მხოლოდ გოლი – მიუხედავად იმისა, რომ გატანა ყოველთვის ბავშვივით მიხარია. ყველაზე მეტად კმაყოფილი იმით ვარ, რომ თამაშში მაშინვე კარგად ჩავერთე, თუმცა გოლის მომენტში მარიომაც შესანიშნავი პასი მომცა და მე მხოლოდ ბურთის კარში გადაგზავნა ძალიან იოლი საქმე იყო.

*–რამდენად რთულია ფეხბურთელის კონცენტრაციის შენარჩუნება იმ დროს, როცა მისი გუნდი სატურნირო ცხრილს ამხელა უპირატესობით ლიდერობს?*

– ესეც თავისებური გამოწვევაა. ვფიქრობ, წინა და მიმდინარე სეზონშიც არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ ყოველთვის და ნებისმიერ სიტუაციაში ძალიან მაღალ დონეზე თამაში შეგვიძლია. ყველა შეხვედრაში გვინდა, ყველას დავუმტკიცოთ, რომ ყველაზე მაგრები ვართ. ამ დროს ყველაზე მთავარი მოტივაციის შენარჩუნებაა, მაგრამ არც ეს გვიჭირს.

# რუსების ოპტიმიზმი ზღაპარს ჰგავს

2015 წლის რაგბის მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე გასვლისათვის ბრძოლა განახლდა ევროპის ერთა თასის 2014 წლის გათამაშებით, რომელშიც ბელგია, საქართველო, პორტუგალია, რუმინეთი, ესპანეთი და რუსეთი მონაწილეობენ.

მარტში შესარჩევი ეტაპის დასრულებისთანავე, პირველ და მეორე ადგილოსანი ნაკრებები ევროპა 1-ის და ევროპა 2-ის სახით გავლენ ფინალურ ეტაპზე, ხოლო მესამეადგილოსანი გუნდი კი წელს რეპეშაჟის სახით გადათამაშების უფლების მოსაპოვებლად, ბ დივიზიონის გამარჯვებულ, ნიდერლანდების ეროვნულ ნაკრებს შეხვდება.

მეორე მხრივ ა დივიზიონში დიდი ბრძოლა გაჩაღდება ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად, ვინაიდან ცხრილის ბოლოადგილოსანს შემდეგ სეზონში მოუწევს ბ დივიზიონის გამარჯვებულისათვის ადგილის გაცვლა.

ამჟამინდელი მდგომარეობით, მოქმედი ჩემპიონი, საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიო თასზე ევროპა 1-ის სახით გავა, სადაც ც ჯგუფში ახალ ზელანდიას, არგენტინას, ტონგასა და აფრიკა 1-ს შეუერთდება. მათთვის ყველაზე ღირსშესანიშნავი, რა თქმა უნდა, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ, ახალ ზელანდიასთან მატჩი იქნება, რომელიც კარდიფის მილენიუმ სტადიონზე 2 ოქტომბერს გაიმართება.



რუმინეთის ნაკრები ამ დროისათვის ევროპა 2-ის პოზიციაზეა და თუ ტურნირის დასრულებისას იგივე პოზიციას შეინარჩუნებს, შესაბამისად დ პულში საფრანგეთს, ირლანდიას, იტალიასა და კანადას დაუპირისპირდება.

შემოდგომის ტესტ-სერიის შემდეგ ექვსივე გუნდს საკმაოდ დატვირთული ნოემბრის თვე ჰქონდათ. ესპანეთმა ჩილე დაამარცხა 26:3, ხოლო შეხვედრა დათმო ურუგვაისთან, რომელიც თავის მხრივ მარტში აშშ-ს ეთამაშა ამერიკა 2-ის მოსაპოვებლად.

ბელგიამ შინ გაიმარჯვა ტუნისთან 26:10, მაგრამ გასვლაზე ორი მარცხი იწვნია ჰონგ კონგთან. პორტუგალიამ ასევე ერთი მატჩი მოიგო (ბრაზილიასთან 68:0) და ორი შეხვედრა დათმო (ფიჯისთან 26:13 და კანადასთან 52:8).

საქართველომ და რუმინეთმა ნოემბრის ტესტებზე რეიტინგში მათზე მაღალ საფეხურზე მდგომ გუნდებს თავის ქალა მოხადეს. რუმინეთმა ტონგასა და კანადას ბრწყინვალედ სძლიეს, მაგრამ თავიანთ ბოლო მატჩში დამარცხდნენ ფიჯისთან.

ბორჯღალოსნებმა კანადას სძლიეს, დამარცხდნენ აშშ-სთან და ტესტ-სერიის უკანასკნელ შეხვედრაში სამოას, მსოფლიო რეიტინგში 8 საფეხურით უფრო მაღლა მდგომ გუნდს სძლიეს.

წყნარ ოკეანელებზე ისტორიულმა გამარჯვებამ ხაზი გაუსვა იმ პროგრესს, რომელსაც ქართული რაგბი ბოლო წლებში განიცდის და როგორც საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ უცხოურ მედიას განუცხადა, ამის მიღწევა საზოგადოებრივი მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.

**გიორგი ნიჟარაძე:**

– რაგბი საქართველოში სწრაფად ფორმირდება, როგორც ყველაზე პოპულარული სპორტი და თქვენ ქუჩაში ნებისმიერ გამვლელს, რომ ჰკითხოთ თუ რომელი გუნდით ამაყობენ ყველაზე მეტად, უმეტესობა რაგბის ეროვნულ ნაკრებს დაასახელებს. ბორჯღალოსნებმა დაიმსახურეს სახალხო გუნდის წოდება; საქართველოში ყველამ იცის, რომ ისინი არაფერს დაზოგავენ და ბოლო წუთამდე იბრძოლებენ, რასაც ქართველი ქომაგი ნამდვილად აფასებს. შესაბამისად, მთავრობის, ირბ-სა ფირა აერისა და სპონსორების მხარდაჭერით რაგბი დიდი ტემპებით ვითარდება საქართველოში. ამ სახეობის განვითარებით ჩვენ ყველანი ერთად კარგ საქმეს ვაკეთებთ და სწორედ ასეთმა ძალისხმევამ გამოიწვია უკანასკნელი წარმატებები.

## რუსული ოპტიმიზმი

მესამეადგილოსანი რუსეთი ნოემბერში გაერთიანებულ სამეფოს ეწვია, სადაც ნეიტრალურ მოედანზე იაპონიასა და აშშ-ს ეთამაშა. ორივე ტესტის დათმობის მიუხედავად, რუსეთის რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტს, ჰოვარდ თომასს სჯერა, რომ ოპტიმიზმი არცთუ უადგილოა და რომ ბრძოლა ევროპიდან ავტომატურად მსოფლიო თასზე გასასვლელად ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

– ტოტალიზატორების აზრით ჩვენ რეპეშაჟით გადათამაშებაში მოვხვდებით, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ჩვენ ავტომატურად გასვლას ვერ შევძლებთ. ჩვენ ყველას გვჯერა, რომ ამას შევძლებთ. თუ ვერ მოვახერხებთ ევროპა 1-ის ან 2-ის სახით ჯგუფიდან გასვლას, მაშინ ჩვენ კიდევ გვრჩება შანსი მესამე ადგილზე დავასრულოთ ჯგუფი და გადათამაშებით გავიდეთ 2015 წლის მსოფლიო თასზე. რუმინეთის ნაკრების შინ მიღება დიდ რამეს ნიშნავს ჩვენთვის. შარშან ბუქარესტში ძალიან ახლოს ვიყავით გამარჯვებასთან, მატჩის ბოლო 10 წუთს თუ არ ჩავთვლით. მსოფლიო თასის შესარჩევისათვის ბევრად უფრო ძლიერ გუნდს მოვუყარეთ თავი. საქართველოს და რუმინეთს მსოფლიო კლასის მორკინალები ყავთ, მაგრამ ამიერიდან მათგან პირნათლად წალეკვის აღარ გვეშინია. ორივე გუნდი ისეთ ფიზიკურ დაპირისპირებას სთავაზობს მოწინააღმდეგეს, რომლის მსგავსსაც არცთუ ისე ბევრი ქვეყანა ახერხებს, მაგრამ ჩვენ ამას უკვე მივეჩვიეთ, რადგან ამ გუნდებს ყოველწლიურად ვეთამაშებით. 2013 წელს, როდესაც საქართველოსთან დავმარცხდით, ყველა, ქართველების ჩათვლითაც აღნიშნავდა, რომ ჩვენ უკეთესი გუნდი ვიყავით. ჩვენ შვიდი გამოსაყენებელი ჯარიმა ვერ გავიტანეთ, რამაც ჩვენზე იმოქმედა. აქედან გამომდინარე, ჩვენ თუ ასე თამაში გავაგრძელეთ და შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოვიყენებთ, ყველაფერი შესაძლებელია მოხდეს.

# ზესტაფონმა მეკარე დაიმატა, დინამომ სპარინგი შეწყვიტა

საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ განაგრძობს სეზონის განახლებისათვის მზადებას. თურქულ ბელეკში მყოფი მარგვლელების ბანაკს გუშინ ერთი ფეხბურთელი შეუერთდა – 27 წლის სერბი ბოიან პავლოვიჩი გოლკიპერი გახლავთ. სხვადასხვა დროს მას „ცრვენა ზვეზდას“, აზერბაიჯანული „ყარაბახის“, ისრაელის „ჰაპოელისა“ და სერბული საფეხბურთო კლუბ „ოფკ“-ს რიგებში უასპარეზია.

უნდა მოგახსენოთ, რომ მოლოდინის მიუხედავად, საფეხბურთო ასოციაციამ და საერთაშორისო ფედერაციამ არ დართეს ომარ მიგინეიშვილს იმერელთა რიგებში მიმდინარე სეზონში ასპარეზობის უფლება. აქედან გამომდინარე, კლუბებსა და ფეხბურთელს შორის შემდგარი შეთანხმების საფუძველზე, ფეხბურთელი თბილისის „დინამოს“ დაუბრუნდა...

რაც შეეხება ბოიან პავლოვიჩს, რომელმაც ზესტაფონელებთან ერთად გუშინ და დღეს უკვე ივარჯიშა. ფეხბურთის ქართველ მოყვარულს ეს ფეხბურთელი თბილისის „დინამოსა“ და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ შორის 2009-2010 წლების სეზონში გამართული მატჩების შემდეგ უნდა ახსოვდეს. უეფას ევროპა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საქართველოში და სერბეთში გამართულ მატჩებში ბელგრადელთა ღირსებას სწორედ ეს მეკარე იცავდა.

თურქეთში თბილისის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის ამხანაგური მატჩი ქართველების ინიციატივით კი, დროზე ადრე 64-ე წუთზე შეწყდა.

ამ დროისთვის „დინამო“ მეტოქეს ანგარიშით 1:0-ს ამარცხებდა, გოლის ავტორი ირაკლი ძარიაა.

„დინამოს“ „ფეისბუქის“ გვერდზე ამ ფაქტთან დაკავშირებით განცხადება დაიდო, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

– მატჩის 65 წუთზე, როდესაც „დინამოს“ მიჰყავდა შეხვედრა ანგარიშით 1:0 მეტოქის შემადგენლობაში მოხდა ცვლილება, მოქმედი ფეხბურთელის ნაცვლად მინდორზე გამოვიდა და თამაშში ჩაერთო სამწვრთნელო შტაბის ერთ-ერთი წარმომადგენელი. თბილისის „დინამომ“ და მისმა მთავარმა მწვრთნელმა ეს ფაქტი სამართლიანად მიიჩნია ჩვენი კლუბის უპატივცემულობად და ჩვენმა ფეხბურთელებმა დატოვეს მოედანი. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის ორგანიზატორები სრულად იზიარებენ თბილისის „დინამოს“ პოზიციას.

# საქართველოს დელეგაცია უკვე სოჭშია

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მთავრობის კანცელარიაში ზამთრის ოლიმპიური დელეგაციის წევრებს – სპორტსმენებს, მწვრთნელებსა და ფედერაციების ხელმძღვანელებს შეხვდა. პრეზიდენტთან შეხვედრას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, ლევან ყიფიანი, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ლერი ხაბელოვი და პირველი ვიცე-პრეზიდენი, ელგუჯა ბერიშვილი ესწრებოდნენ.

პრეზიდენტმა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციის მონაწილეობაზე კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება და ქართველ ოლიმპიელებს წარმატება უსურვა.

ქართველი ოლიმპიელები სოჭში 6 თებერვალს პირდაპირი რეისით 10:00 საათზე გაემგზავრნენ. სპორტსმენები და მწვრთნელები, ასევე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა, მისმა მოადგილემ თამაზ თევზაძემ და გულშემატკივრებმა გააცილეს.

ლევან ყიფიანი:

– ამ ოლიმპიადაში ქართველი სპორტსმენების მონაწილეობის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი გადაჭარბებულია. პოლიტიკური დებატების ნაცვლად, სჯობს ჩვენი გუნდის წევრებს წარმატება ვუსურვოთ.

სოჭში 4 ქართველი სპორტსმენი იასპარეზებს. 18 თებერვალს გიგანტურ სლალომში გამოვა ნინო წიკლაური, რომელიც 21 თებერვალს სლალომშიც ცდის ძალას. 19 და 22 თებერვალს იგივე დისციპლინებში იასპარეზებენ სამთო მოთხილამურეები იასონ აბრამაშვილი და ალექსი ბენიაიძე, ხოლო ჩვენი გუნდის ლიდერი ელენე გედევანიშვილი (ფიგურული სრიალი) 19-20 თებერვალს ჩაერთვება თამაშებში.

ლერი ხაბელოვი:

– გარწმუნებთ, რომ სოჭში ჩვენ არანაირი პოლიტიკური განცხადების გაკეთებას არ ვაპირებთ და არც პოლიტიკური საკითხების განხილვაა ჩვენს გეგმაში. საქართველოს ოლიმპიური გუნდის მთავარი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ კარგი სპორტული შედეგის ჩვენებაა.

სოჭი 2014 დღეს, 7 თებერვალს საზეიმოდ გაიხსნება. საქართველოს ოლიმპიური გუნდის მედროშე სამთო მოთხილამურე ნინო წიკლაური იქნება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ფაჩულია ისევ უმატებს

„მილუოკი ბაქსის“ ქართველი ცენტრი შედეგიანობას თამაშიდან თამაშამდე უმატებს. ორთვიანი ტრავმის შემდეგ ზაზა ფაჩულიამ მესამე მატჩი ჩაატარა და სასიამოვნო ტრადიცია, წარმატებით გააგრძელა – ითამაშა წინა მატჩზე მეტხანს და უკეთესად. შედეგიანობასთან ერთად ზაზას მტკიცე და მებრძოლი ხასიათიც დაუბრუნდა და „დენვერის“ რუსი ცენტრის დაცაცხანებისთვის ტექნიკური დაიმსახურა.

რაც შეეხება თამაშს, „მილუოკი“ მძლავრ „დენვერს“ სტუმრად ეთამაშებოდა და წარმატების მიღწევა ერთობ რთული იყო. ვერც მოახერხეს – მილუოკელებმა შეხვედრა 100:110, მაგრამ ბრძოლაში დათმეს. პირველი ტაიმის შემდეგ ფაჩულიას გუნდი 52:51 იგებდა, მაგრამ მესამე მეოთხედში დაიჩაგრა, 12 ქულით ჩამორჩა და დარჩენილ დროში ეს ჩამორჩენა ველარ აღმოფხვრა.

ზაზამ ისევ სამარქაფო ცენტრად ითამაშა, ძირითადში მყოფი ლარი სანდერსი კი შეუდარებელი იყო. ახალგაზრდა ცენტრმა 25 ქულა და 15 მოხსნა მიითვალა. ფაჩულიაც კარგად გაისარჯა და შეიძლება ითქვას, მილუოკელებს ყველაზე ნაკლები პრობლემა სამწამიანში ჰქონდათ. ფაჩულიამ 15 ქულა, 4 მოხსნა და 2-2 პას-ჩაჭრა დააგროვა. ქართველი ცენტრი შეტევაში ტარანზე მიდიოდა, მის გაჩერებას კი ოდენ ჯარიმებით ახერხებდნენ დენვერელები – ფაჩულიამ 12 საჯარიმო ესროლა. საიდანაც 11 ჩააგდო. თამაშიდან კი მან 6-დან 2-ორქულიანი ჩააგდო. ზაზა მოედანზე წინა მატჩზე 4-ით მეტი, 22:28 წუთი იმყოფებოდა.

9 მოგება, 40 წაგება და აღმოსავლეთ კონფერენციის ბოლო ადგილი – ესაა „მილუოკი ბაქსის“ შედეგი, რომელიც 8 თებერვალს დასავლელ ბობოლა „ჰიუსტონს“ უმასპინძლებს.

2014, 7 თებერვალი, №31

# რობერტ სტურუა: „აღარ მინდა ასეთი საქართველო!“

ეკა ირემაშვილი



რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი რობერტ სტურუა სოციალურ ქსელში „არც ისე მცირე სენტიმენტალური გადახვევას“ აკეთებს და საკუთარი ეჭვების შესახებ ღიად საუბრობს:

„საშინელი ეჭვები მღრღნიან, არ მასვენებენ... იქნებ ტყუილად ვიჭაჭები, ტყუილად ვიშლი ნერვებს: ვაი თუ, ჩვენმა'ზელადმა'ქართველების სურვილები, მისწრაფებები და მიზნები დაუმალავად გამოხატა; იქნებ ის გრძნობები, დამაქცეველი ვნებები, ქვეცნობიერებაში ღრმად რომ ამაოდ ვმარხავთ, სადო-მაზოხისტური, უფრო მეტიც, კრიმინალური ბოდვა-სიზმარი – ანუ ჩვენ ფარულ განზრახვებს იმ ურჩხულმა ხორცი შეასხა?!

იქნებ მართალი იყო შექსპირი, მწარე ღიმილით რომ ბრძანა: „ერის მეთაური – ერის სულის ნაწილია“-ო. თუ ეს ასეა, მაშინ გამაჩერეთ, ჩამკეტეთ, დამადუმეთ, – ოღონდ თვალთმაქცობას მოვეშვათ!

დაჯერება მიჭირს, მაგრამ ეტყობა ამ ნაძირალებმა ჩვენ სულს რალაც ძნელსამკურნალო სენი შეყარეს! აბა, რატომაა, რომ ჩემი ახლობელი თუ მეგობარი, ზოგი ფანატიკურად და ზოგი ვითომ ფარულად ამ ურჩხულს ეტრფის! რატომ? რის გამო? ვერ დავიჯერებ, რომ პირადი გამორჩენისთვის, ან ახლო ნათესავების გამო მიყიდეს სული ადამიანს, გველეშაპად რომ მოგვევლინა და თავისი დრაკონჩიკებთან' ერთად საქართველოს სისხლს რომ აცლის!

თუ ასეა და არ მეშლება, მამარდაშვილივით ვიტყვი (რის გამოც მოვკალით) ასეთი სამშობლო მე არ მინდა, მე სხვა საქართველოზე ვოცნებობდი!

სადაც ქართული სიმღერა ისმის, სადაც ლექსი ჟღერს, კვეტერა მოსჩანს, დარბაისელი მამაკაცები შესცქერიან ულამაზეს ქალების გუნდს, კაეშანს რომ მალავენ. ქართველი ყმაწვილკაცები ღიმილით რალაცას უყვებიან ერთმანეთს. მთვრალი მოხდენილი კაცი, ეტყობა მხატვარი თავისთვის აივანზე მოკალათებული, მზეს ეფიცხება და შემოდგომის სურნელით ტკბება.

ჯმუხ კახელ გლეხს დაორთქლილი დოქი შემოაქვს და მამიდების გაწყობილ იმერულ კოპწია სუფრას ხმაურით აგვირგვინებს.

უმბერტო ეკოს უკანასკნელი რომანზე მცირე კამათი წყდება – თითქმის მისტიურ სიჩუმეში სტუმრები სუფრას მიუსხდნენ... ეზოდან ბავშვების სიცილი ისმის...

სორბონიდან ჩამოსული შუახნის კაცი წელში გამოყვანილ ჭიქას იღებს და ჩვენ ბედკრულ ქვეყანას ადღეგრძელებს. ბებიას, კუთხეში რომ ზის, დაღლილი თვალი ცრემლით ევსება..

იქ მინდა! იქ! თქვენთან! თქვენთან მინდა! თქვენთან მინდა ყოფნა!

არ ვიცი, მიმიღებთ თუ არა! მაგრამ გთხოვთ, გემუდარებით, ჩუმად ვიქნები სადმე კუთხეში, ოღონდ მიმიღეთ. აღარ მინდა ასეთი საქართველო, თქვენთან მინდა...“ – წერს რეჟისორი.

რობერტ სტურუას ყურადღების მიღმა არც სოციალურ ქსელში ელვის-სისწრაფით გავრცელებული სიახლე დარჩენილა, რომელიც „ფეისბუქის“ დამფუძნებლის მარკ ცუკერბერგის მამის ქართველობას იუწყება. რეჟისორი ამ ამბავს ასე ეხმაურება:

„გორბაჩოვის მმართველობის დროს, ვახტანგოვის თეატრში სპექტაკლს ვდგამდი. ამ დროს მოსკოვში შეკრიბეს მთელი მსოფლიოს ინტელექტუალები: მწერლები, მხატვრები, მეცნიერები, მსახიობები, მოკლედ, ყველა, ვინც რალაცას წარმოადგენდა დიდი, უკვე მოსუსტებული, მორყეული იმპერიისთვის. რატომღაც მეც დამპატიჟეს ბანკეტზე. არ დამავიწყდება კლაუდიო კარდინალე. ერთ მაგიდაზე შეგვახვედრა განგებამ, უკვე ბებერმა ულამაზესმა ქალმა საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. რალაც მაგიური, არაადამიანურმა მშვენიერებას ასხივოსნებდა, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

უეცრად გრეგორი პეკს მოვკარი თვალი. სუხიშვილებისაგან მსმენია, რომ იგი წარმომავლობით ქართველიაო, ვინმე ქუთაისელ ლევან ნიჟარაძის შვილიო. თვითონ მოვიდა კონცერტის შემდეგ გაგვეცნო და გული გადაგვიშალაო! ვხედავ, ნიუ-იორკ ტაიმსის ჟურნალისტი ახლავს, რომელსაც მომავალ პრემიერასთან დაკავშირებით ინტერვიუ მივეცი... მივედი მასთან, გააცნო ჩემი თავი გრიგოლ პეკს, ანუ ნიჟარაძეს და... ერთი სურვილი მაქვს ვკითხო მის ქართველობაზე, მაგრამ მერიდება ძალიან. ვთხოვე ჟურნალისტს. სიცილით მოკვდა. მე ვუმტკიცებ რომ დანამდვილებით ვიცი-მეთქი. გაეხარდება ქართველს რომ მნახავს-მეთქი! ბოლოს ვკითხეთ, წითელი, არა, სისხლისფერი მოედო მის ვაჟკაცურ სახეს და თვალებში მძვინვარებამ იფეთქა! თურმე ნუ იტყვი და მისმა პაპის პაპამ იმ ისტორიულ დოკუმენტს მოაწერა ხელი, მეთვრამეტე საუკუნეში ამერიკის შტატებს დამოუკიდებლობა რომ მოუტანა! სად წავსულიყავი არ ვიცოდი! ესეც ჩვენი ცუკერი!“ – განმარტავს რობერტ სტურუა.

# საფრანგეთის ელჩმა ფოტოგამოფენა მოაწყო

ეკა ირემაშვილი

საფრანგეთის ელჩმა რენო სალენსიმ ფოტოგამოფენა მოაწყო. „მოგზაურობა“ – ასე ეწოდება ექსპოზიციას, რომელზეც ფოტოგრაფისა და დიდი მოგზაურის ირანში, იტალიაში, ბრაზილიაში და საქართველოში გადაღებული ფოტოებია გამოფენილი. ფოტოები „კაფე-გალერეა 78“-შია წარმოდგენილი.

როგორც ღონისძიების ერთ-ერთმა კურატორმა მარიამ კვესელავამ განმარტა, ფოტოები გაიყიდება საქართველოში ფრანგული ენის განვითარების ფონდის სასარგებლოდ. ფოტოგამოფენა კი 11 თებერვლის ჩათვლით გაიმართება.

17 თებერვლის ჩათვლით ფრანგული ინსტიტუტი საქართველოში ყველას აძლევს შანსს გახდეს ფრანგული ფილმების ონლაინ-ფესტივალის მონაწილე, ნახოს თანამედროვე ფრანგული ფილმები დაასახელოს მისი რჩეული მოკლე და სრულმეტრაჟიანი ფილმები.

ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით, საგანგებო წერილს ავრცელებს ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი:

„თუკი თვალს გადავავლებთ 2013 წელს საფრანგეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობების განვითარებას, რა დაგვამახსოვრდება? ის, რომ ფრანგული ენის უკუსვლა საქართველოში შეჩერდა. ფრანგულ სახელმძღვანელოებს საჯარო სკოლებიდან გაქრობის საფრთხე აღარ ემუქრებათ და ფრანგული ენა წარმატებით შევიდა ხელახლა თბილისის, თუ რეგიონების ათამდე საჯარო სკოლის დაწყებით კლასში და აგრეთვე, უამრავმა კერძო უნივერსიტეტმა შემოიღო ფრანგული ენის სწავლება. ფრანკოფონიას ნათელი დღეები ელის საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვიცით, მრავალენოვნება აქ ჯერაც თვითდამკვიდრების პროცესშია.

ხელოვნების სფეროს რაც შეეხება, უამრავ ღონისძიებას შორის შეგვიძლია, გამოვყოთ „გრძელი ნათელი დღეები“ (ეკასა და ნათიას ისტორია) რომელსაც ფილმის „გაილიმეთ“ შემდეგ საფრანგეთის კინოდარბაზებში ძალზე დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. ჩვენ მოუთმენლად ველოდებით თინა ყაჯრიშვილისა და თეონა გრენადის ფილმს, რომელიც 2014 წელს უნდა გამოვიდეს. სახვითი ხელოვნების მიმართულებით აღსანიშნავია გარიყულას პროექტ „ფესტინოვა“-ს მე-5 სეზონი, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა და რომელშიც ფრანგული მხარე აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ასევე, ჟან დუპუის სკულპტურა „სად“, რომელიც ბათუმში დაიდგა, ტუილრის ბაღში [illegible] ხება მუსიკას, თბილისში [illegible] ნავი ფრანგული და ფრანგ[illegible] ცერტები (პატრის ჰერალ[illegible] თან ერთად, ფრანსუა-ბერ[illegible]ტი არპეჯონე, გიტარისტი ტიბო კოვენი) და აღსანიშნავია, ასევე, ელისო ბოლქვაძის ბათუმი ფესტის ფესტივალის პირველი გამოშვება ბათუმში.

საქართველოს ფრანგული ინსტიტუტს არასოდეს ჰყოლია ამდენი სტუდენტი, რამდენიც 2013 წელს. ეს წარმატება პირველ რიგში, ჩვენი პროფესიონალი პედაგოგების დამსახურებაა, თუმცა, ასევე შედეგია ჩვენი დაუღალავი ძალისხმევისა მოსწავლეებს ფრანგულენოვანი გარემო შევუქმნათ და გავუღვივოთ მათ ფრანგული ენის სწავლის მოტივაცია. ამ მიზნით ვატარებთ სასაუბრო კურსებსა და სხვადასხვა შეხვედრებს (მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია, შეხვედრა ფანი არდანთან და ვენსან მუნთან) გვაქვს სიახლეები, როგორიცაა „სამზარეულოს სახელოსნო ფრანგულად“, ფრანგული კინოკლუბი, (თვეში ორჯერ) რომელსაც სულ უფრო და უფრო მეტი მაყურებელი ესწრება.

ყოველი წელი რალაც სიახლის მომტანია და ჩვენც ახალი პროექტებისათვის ვიწყებთ მზადებას. აღნიშნულ პროექტებზე ინფორმაციას საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ვებგვერდზე და მისი ნიუსლეტერის საშუალებით გაეცნობით, თუმცა ისიც (ცნო[illegible]) [illegible] – ნათქვამია [illegible] მიმართვაში.

## კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 2. ებრაელებით დასახლებული უბანი ძველ თბილისში; 3. მაგნიტური ველის დაძაბულობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 5. მზის მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ენერგია; 7. ქართული ავიაკომპანია; 9. პიანინოების, როიალების მწარმოებელი გერმანული ფირმა; 13. ბუდისტთა სამონასტრო კომპლექსი ტიბეტში; 15. ზღვის თხელი სანაპირო ზოლი, რომელიც მდიდარია სამკურნალო ტალახით; 16. ძვირფასბეწვიანი შავი ფერის მელია; 18. საბერძნეთის მეორე სახელწოდება.

თარაზულად: 4. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 6. აყალმაყალის, ჩხუბის მოყვარული ადამიანი; 8. პოპულარული ფრანგული ლიქიორი, რომელსაც ბერები ამზადებდნენ; 10. მოკლე პოლიტიკური მოთხოვნა, მოწოდება; 11. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 12. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 14. მცენარეთა სამყარო; 17. ვულკანი ისლანდიაში; 19. ზღვის დიდი კიბორჩხალა; 20. ცოდვების განდობა მღვდლისათვის; 21. მდინარე კახეთში; 22. ცხვირის ღრუს გასასინჯი სარკე; 23. აფრიკაში მზარდი გიგანტური ფოთლოვანი ხე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

შვეულად: 1. ჰუმუსი; 2. კივი; 3. არბიტრაჟი; 4. ანეტო; 5. ლიფსიტა; 8. თუთუნი; 9. ბალახვანი; 12. ფესახი; 14. თაბახი; 16. იმაგო.

თარაზულად: 1. „პეინიკენი“; 6. კრიჟანგი; 7. მზითევი; 9. ბულიტი; 10. ხოტი; 11. „სუფრული“; 13. „თეთრა“; 15. თეზისი; 17. ჭიდაობა; 18. მაჯამა; 19. ბრეხტი; 20. მოციონი.

**კროსვორდი ბ**

შვეულად: 1. ბაზიერი; 2. ჯაფარიძე; 3. დვალეთი; 5. გეოლოგია; 7. ლინდერი; 9. სამტრედია; 13. სისტოლა; 15. არწივი; 16. ყაყაჩო; 18. ომალო.

თარაზულად: 4. ჰალოგენი; 6. კრასნოვი; 8. მიტროპოლიტი; 10. დადიანი; 11. მითი; 12. ბრონტე; 14. „ლანჩა“; 17. „გენკი“; 19. ეწერი; 20. მაჰარაჯა; 21. არგო; 22. ლიმნოლოგი; 23 სორბონა.

# რას ითხოვს თბილისის ოპერის თეატრის დასი?

ეკა ირემაშვილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დასის წარმომადგენლებმა იმერი კავსაძემ, მიხეილ ქართველიშვილმა, ზურაბ იაშვილმა, ბესო გაბიტაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია ჩაატარეს, სადაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიასგან მოითხოვეს სამხატვრო ხელმძღვანელის პირდაპირი არჩევნების დანიშვნა.

ოპერის თეატრის დასმა უკვე ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელის გიორგი ჟორდანიას თანამდებობიდან გადადგომა იანვრის თვეში მოითხოვეს. დასი გაიფიცა და პროტესტის ნიშნად რეპეტიციების ჩატარებაზე უარი თქვა. საბოლოოდ გიორგი ჟორდანიამ განცხადება დაწერა და დაკავებული თანამდებობიდან გადადგა.

როგორც პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, თეატრის დასი უახლოეს დღეებში უფრო დიდი პრესკონფერენციის ჩატარებას აპირებს, სადაც ყველაფერზე დეტალურად და ამომწურავად ისაუბრებს, ამჯერად კი მათ საგანგებო განცხადება გაავრცელეს.

**იმერი კავსაძე:**

– მოგეხსენებათ, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში შექმნილი სიტუაცია საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის ნაწილმა სამხატვრო ხელმძღვანელის გადადგომა მოითხოვა, რაც გასცდა სამართლებრივ ჩარჩოებს. სიტუაციის განმუხტვის მიზნით სახელმწიფოს მიერ დანიშნულმა სამხატვრო ხელმძღვანელმა თანამდებობის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ამჟამად თეატრი კრიზისულ მდგომარეობაშია დამასრულებლის ხელმძღვანელი არ ჰყავს. არადა, 2014 წელი სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ თეატრის გახსნის წლად არის გამოცხადებული, მეტიც მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა მედია საშუალებამ ბიბისიმ თბილისის ოპერის თეატრის გახსნა 2014 წლის ევროპის უმნიშვნელოვანეს კულტურულ ღონისძიებად გამოაცხადა. ასეთ სიტუაციაში თეატრის უხელმძღვანელოდ არსებობა დაუშვებელია. სწორედ ამიტომ, ჩვენ თეატრის დასის წარმომადგენლები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან და პირადად მინისტრისგან გურამ ოდიშარიასგან მოვითხოვთ უახლოეს დღეებში დაინიშნოს თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის პირდაპირი წესით არჩევნები, რაზეც ბატონი მინისტრი სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებისას საუბრობდა. ასევე მოვითხოვთ სასწრაფოდ გამოცხადდეს შეპირებული არჩევნების ზუსტი თარიღი. ამ მოთხოვნის საფუძველი მხოლოდ თეატრის ინტერესებია. გახსნის წელს უდიდესი სამუშაოებია ჩასატარებელი, რაც დროებითი ხელმძღვანელის პირობებში არარეალურია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის არჩევნებისას სრულად იქნას დაცული დემოკრატიული პრინციპები და მასში მონაწილეობის საშუალება მიეცეს სამხატვრო ხელმძღვანელობის ნებისმიერ მსურველს, ხოლო ხმის მიცემის უფლება მიეცეს თეატრის მთელ კოლექტივს. თეატრის დასის წარმომადგენლები ასევე მოვითხოვთ ბატონი მინისტრის კიდევ ერთი პირობის შესრულებას და თეატრის აუდიტორიულ შემოწმებას. ეს მოთხოვნაც თეატრის ინტერესებს შეესაბამება. ახლადარჩეულ სამხატვრო ხელმძღვანელს ყველა პირობა უნდა ჰქონდეს შექმნილი სრულფასოვანი საქმიანობისთვის. იმედს გამოვთქვამთ, რომ თითოეული ჩვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდება და თეატრის დასს მიეცემა სრულყოფილად მუშაობის საშუალება.

*– ვის განიხილავთ სამხატვრო ხელმძღვანელის კანდიდატად?*

– კანდიდატად ყველა შეიძლება მოიაზრებოდეს. კონკრეტულად ჯერ ცნობილი არ არის კანდიდატი. შეიძლება ვინმეზე ჭორ-რობენ, მაგრამ ჩვენ არაფერი ვიცით.

*– გიორგი ჟორდანია თუ აპირებს მონაწილეობას ამ არჩევნებში?*

– ეს არ ვიცით.

*– შიდა მოლაპარაკებები დასში არ დაწყებულა?*

– ჯერ არა.

*– საერთო გადაწყვეტილებამდე ჯერ არ მისულხართ?*

– თითქოს ჩატარდა კრებები, შეხვედრები. თეატრში არის გუნდი, ორკესტრი, სოლისტები, საბალეტო დასი. ცალკეული კოლექტივების მიერ თითქოს უნდა არჩეულიყო სამხატვრო საბჭო და მათ უნდა დაესახელებინათ ის კანდიდატი, ვინც იქნებოდა სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე მიელო არჩევნებში მონაწილეობა.

**ზურაბ იაშვილი:**

– ჩვენ შევიმუშავეთ განცხადება, რომლითაც მივმართეთ კულტურის მინისტრს. ეს არის ჩვენი ერთგვარი გზავნილი, რომ სამინისტრომ დროულად მიიღოს გადაწყვეტილება ჩვენს თეატრთან დაკავშირებით. ჩვენ იმასაც ვადასტურებთ, რომ ყველას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ამ არჩევნებში. სწორედ ამას ვითხოვთ ჩვენს განცხადებაში. მთავარია კანდიდატებმა წარადგინონ საკუთარი თავი და შემდეგ უკვე დასი აირჩევს სამხატვრო ხელმძღვანელს.

*– რა ვადაში ითხოვთ არჩევნების ჩატარებას?*

– რაც უფრო მალე იქნება, მით უფრო უკეთესი.

**ბესო გაბიტაშვილი:**

– ჩვენ ამჟამად ამ თანამდებობაზე არავის მოვიაზრებთ, ანუ კონკრეტული პიროვნება არ გვყავს შერჩეული და არც დაგვისახელებია. ჩვენ გვსურს ოპერისა და ბალეტის თეატრში ვითარება წავიდეს უკეთესობისკენ და მდგომარეობა აღარ იყოს კრიზისული. ჩვენ სამინისტროსგან მოვითხოვთ, რომ დროზე დაინიშნოს სამხატვრო ხელმძღვანელის არჩევნები, რომ თეატრმა დაიწყოს ნორმალური ფუნქციონირება.

*– თუკი სამხატვრო საბჭოც შესაქმნელია, მაშინ ეს პროცესები დროში არ გაიწელება?*

– რას უშლის ხელს სამხატვრო ხელმძღვანელის არჩევნები? ჩატარდეს არჩევნები, აირჩიონ სამხატვრო ხელმძღვანელი და შემდეგ აირჩეს სამხატვრო საბჭო, არ შეიძლება? მგონია რომ კი და ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს.

**შალვა გეგეჭკორი, თეატრის პიარ მენეჯერი:**

– პრინციპი მარტივია – როცა სამხატვრო საბჭო აირჩა თეატრში, მაშინ მოქმედებდა ერთი დებულება თეატრის კანონიდან გამომდინარე. შემდეგ კანონი შეიცვალა. ჯერ იყო მმართველი, შემდეგ გახდა სამხატვრო ხელმძღვანელი თეატრის პირველი პირი და კანონის შეცვლამ გამოიწვია დებულების შეცვლაც, ამიტომ ის ძველი სამხატვრო საბჭო აღარ არის უფლებამოსილი. ახალი კანონი გულისხმობს, რომ თეატრს შეუძლია ჰყავდეს ახალი სამხატვრო საბჭო და ეს უნდა მოითხოვოს თეატრმა. ეს სამხატვრო საბჭო საკონსულტაციო ორგანოა, რომელიც სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად მოქმედებს.

*– ამჟამად არის თეატრში სამხატვრო საბჭო?*

– ამჟამად სამხატვრო საბჭო თეატრში არ არის.

*– როდიდან?*

– სექტემბრის შემდეგ სამხატვრო საბჭოს უფლებამოსილება არ ჰქონდა. ეს ყველაფერი დებულების შეცვლამ გამოიწვია. ამ განცხადების მთავარი აზრი არის ის, რომ თეატრის ყველა კოლექტივმა წარადგინოს კანდიდატი და მერე მას მინისტრი დაამტკიცებს.

*– სარემონტო სამუშაოები დასრულებულია?*

– ჩვენი ინფორმაციით, ცოტა შეფერხდა სარემონტო სამუშაოები, მაგრამ წელს თეატრი აუცილებლად უნდა გაიხსნას, თუმცა ზუსტი თარიღი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. აქვე იმასაც გეტყვით, რომ უახლოეს დღეებში დაიგეგმება დიდი პრესკონფერენცია, სადაც ყველა კითხვაზე ამომწურავ პასუხს მიიღებთ, ამჯერად თეატრის დასის წევრებს მხოლოდ განცხადების გაკეთება სურდათ.

# რეზო ჩხეიძემ „თავისუფალი სახლი“ დააფუძნა

ეკა ირემაშვილი

8 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე თანამოაზრეებთან ერთად ქართველ საზოგადოებას „თავისუფალ სახლს“ წარუდგენს.

ახალი ინიციატივის ფართო საზოგადოებისთვის წარდგენამდე კინორეჟისორმა თავის თანამოაზრეებთან ერთად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს თხოვნით მიმართა. მის უწმინდესობას „თავისუფლების სახლისა“ და ტელეკომპანია „ქართულის“ მეგობართა ჯგუფმა ეროვნული პროექტის თაობაზე ნათლისღების დღესასწაულზე წერილი გაუგზავნა, რომელშიც წერია:

„თქვენო უწმინდესობავ, „თავისუფლების სახლისა“ და ტელეკომპანია „ქართულის“ მეგობართა ჯგუფი დიდი პატივისცემით გილოცავთ ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულს.

ჩვენი უდიდესი სურვილია ეს დღე იქცეს რამდენიმე ეროვნული პროექტის ნათლობის დღედ. ეს პროექტები თქვენი ეპისტოლეებისა და ქადაგებების გავლენით არის შექმნილი.

თქვენი მხარდაჭერის იმედით, გაწვდით მოკლე ინფორმაციებს ამ პროექტებთან დაკავშირებით.

1. საქართველო დაჭრილი მზეა – საქართველო გაბრწყინდება

ეს სახელწოდება გრიგოლ რობაქიძისაგან ავიღეთ.

მეცნიერთა და კულტურის მოღვაწეთა ჯგუფი ვფიქრობთ ამ დიდ ეროვნულ პროექტზე. ჩვენი დიდი სურვილია, შეიქმნას დოკუმენტური ფილმები, რომლებშიც მთელი მსოფლიოს გასაგონად გვინდა ვთქვათ იმის შესახებ, რა მისცა ქართველმა ერმა მსოფლიო ცივილიზაციას... ვაჩვენოთ ჩვენი მეფეების ცხოვრება და მოღვაწეობა, ქართველ წმინდანებთან დაკავშირებული სიდიადე... გადავიღოთ დოკუმენტური ფილმები მთაწმინდაზე, დედაუნივერსიტეტის ეზოში, ოპერის ბაღში, უცხოეთში დაკრძალულ დიდ ქართველ მოღვაწეებზე... გადავიღოთ დოკუმენტური ფილმები საქართველოს ნამდვილ მეგობრებზე (მარი და მარჯორი უორდროპები, არტურ ლაისტი და სხვები), იმ უცხოელებზე, რომლებმაც დიდი ქართული საქმეები აკეთეს...

ამ ეროვნული პროექტის სრულ კონცეფციას დავასრულებთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის წინა დღეებში და ჩვენი სურვილია ეს პროგრამა წარმოგიდგინოთ თქვენ, რათა სწორედ საპატრიარქოში და თქვენი კურთხევით მოხდეს მისი წარდგენა როგორც ხელისუფლებისათვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის.



ამავე პერიოდისთვის ჩვენ ვასრულებთ „ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის“ მოწვევის პროექტს, რომლის პატრონობაც, როგორც ეს უკვე ერთხელ გააკეთეთ გასული საუკუნის 90-იან წლებში, ახლაც გვსურს თქვენ გთხოვოთ.

2. „ჯარისკაცის მამა“ 50 წლისაა

მიმდინარე წელს სრულდება 50 წელი გენიალური ფილმის „ჯარისკაცის მამა“ გადაღებიდან.

იუნესკოს გადაწყვეტილი აქვს ფილმის იუბილეს აღნიშვნა. რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის უმაღლეს ხელისუფალთა დონეზე განიხილება ამ ქვეყნებში „ჯარისკაცის მამის“ საიუბილეო ჩვენების პროგრამები. ჩვენი სურვილია, საქართველოში, თქვენი სიტყვით დაიწყოს ამ დიდი თარიღის აღნიშვნა.

როგორც ცნობილია, მთელი მსოფლიოს მიერ აღიარებული ეს ფილმი გადაიღო 35 წლის რეზო ჩხეიძემ. ის ამჟამად ამთავრებს ფილმს „ქრისტეს საფლავზე დანთებული სანთელი“, რომლის პირველი ჩვენების შემდეგ თქვენ მას წინასწარმეტყველური ფილმი უწოდეთ.

ჩვენი სურვილია, XX საუკუნის „ჯარისკაცის მამა“ და XXI საუკუნის დასაწყისის „ქრისტეს საფლავზე დანთებული სანთელი“ ერთ დიდ ეროვნულ პროექტად ვაქციოთ. ამ წინადადებებს უახლოეს დღეებში მოგაწვდით.

თქვენო უწმიდესობავ, ჩვენ მოკლედ წარმოგიდგინეთ ორი ეროვნული პროექტი. ჩვენი დიდი სურვილია, რომ მათი ნათლობა სწორედ ნათლისღება დღეს მოხდეს. კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ღრმა პატივისცემას. დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას გისურვებთ.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ვცხოვრობთ იმ ეპოქაში, რომელსაც ჩვენთვის პატრიარქის ეპოქა ჰქვია. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ქვეყანას ჰყავს სულიერი მოძღვარი, რომელმაც ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ყველა ერისა და ეროვნების ადამიანთა ასეთი საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა... ადამიანი, რომლის მიმართ კეთილი განწყობა აქვს ყველა რელიგიის მღვდელმთავარს და მსოფლიოს ყველა ქვეყნის სახელმწიფო მეთაურს და პოლიტიკურ მოღვაწეებს, – წერია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ „თავისუფლების სახლისა“ და ტელეკომპანია „ქართულის“ „მეგობართა დარბაზის“ სახელით, ზურაბ წერეთელი, ნონა გაფრინდაშვილი, რეზო ესაძე, ანზორ ერქომაიშვილი, თემურ გუგუშვილი, გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილი, ომარ მხეიძე, გია ბურჯანაძე, არნოლდ გეგეჭკორი, თათუზა ყურაშვილი, თემურ მამაცაშვილი, რომან რურუა, ალექსანდრე მეტრეველი, ანზორ კავაზაშვილი, რეზო ძიძუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე“.

„ახალი თაობა“ კინორეჟისორს დაუკავშირდა და 8 თებერვალს დაგეგმილ ღონისძიებაზე ესაუბრა.

**რეზო ჩხეიძე:**

– 8 თებერვალს უნივერსიტეტის დაარსების დღეს და დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, ჩვენ გადავწყვიტეთ შევიკრიბოთ დედაუნივერსიტეტში და ქართულ საზოგადოებას გავაცნოთ ჩვენი ახალი გაერთიანება. მასში საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები არიან გაერთიანებული, რომელსაც „თავისუფლების სახლი“ ეწოდება.

*– რატომ დაგეგმეთ ღონისძიება უნივერსიტეტში?*

– მოგეხსენებათ, უნივერსიტეტი ქართული სულიერების ცენტრია, ამიტომ გვსურს, სწორედ უნივერსიტეტში შევიკრიბოთ და თავი გამოვიჩინოთ ქართული სულიერების ამაღლებაში, სამშობლოს სიყვარულში. ასევე დავაარსეთ ტელევიზია „ქართული“, რომელიც მთლიანად ქართულ ხელოვნებას მიეძღვნება.

*– რატომ დაარქვით ტელევიზიას „ქართული“?*

– ეს ტელევიზია ქართველი ხალხის მიერ არის გაკეთებული, გვერდში გვიდგას რიგითი მოსახლეობა, ჩვენი თანამოქალაქეები. ჩვენი მიზანია, საქართველოს მოქალაქეების სიმპათია ქართულისკენ იყოს მიმართული. ჩვენ გვინდა ვეცადოთ, რომ ქართველი კაცი სამართლიან გარემოში ცხოვრობდეს. გვაქვს ძალიან კარგი მასალები, ძველი ფილმები. ჩვენს გვერდით არიან მხატვრები, კომპოზიტორები, რეჟისორები. ჩვენი ტელევიზიით მოხდება ღირებული სურათების ჩვენება.

*– თქვენი ფილმებიც იქნება ნაჩვენები?*

– რა თქმა უნდა, ასევე ყველა ქართველი რეჟისორის ფილმი იქნება ნაჩვენები. რუსულ კლასიკასაც წარმოვადგენთ. უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტად იყოს ქართული ფილმები ეკრანზე და უფრო ნაკლები უცხოური სერიალები გადიოდეს. ამჟამად ისეთი დაწოლაა თურქული ფილმებისა, გაკვირვებული ვარ. თანახმა ვარ, იყოს თურქული ფილმების კვირეული, თუნდაც წელიწადში ორჯერ, მაგრამ ყოველ დღე რამდენჯერმე თურქული ფილმების ჩვენება, არ არის გამართლებული. ეს უარყოფითად იმოქმედებს ერის სულიერებაზე. თურქული კი არა, თუ გინდათ ფრანგული სერიალები იყოს. ზომიერება ყველაფერში საჭიროა.

ჩვენ კი ვაკეთებთ ტელევიზიას იმისთვის, რომ ჩვენს არხზე მაყურებელმა უყუროს ქართულ, თუნდაც უცხოურ, მაგრამ ღირებულ, შინაარსიან, კლასიკურ და გემოვნებიან ფილმებს. საქართველოში როგორი გასაოცარიც არ უნდა იყოს, ქართულ ფილმებს ნაკლებად იცნობენ. მხედველობაში არ მაქვს ახლო წლებში გადაღებული ფილმები, არის 30-40-იან წლებში გადაღებული ფილმები, რომლებიც ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას. ეს ფილმები ძალიან ღირებულია, მასში უდიდესი მსახიობები თამაშობენ, იგივე ნატო ვაჩნაძე, სანდრო ჟორჟოლიანი, სპარტაკ ბაღაშვილი. თანამედროვე თაობამ ქართული ძველი ფილმები არ იცის, არც უნახავს, ამიტომ არ ჯობია ეს აყურებინო ჩვენს ახალგაზრდობას?

*– თქვენი ერთ-ერთი ბოლო ფილმი „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“ ითარგმნა ქართულად?*

– ეს ამჟამად მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. დიდი ხანია, თანხა გამოგვიყო სახელმწიფოს მეთაურმა.

*– და რა გიშლით ხელს?*

– მოუცლელობა. არადა, ეკრანზე არ გვინდა საქართველოში ეს ფილმი გავიდეს არაქართულ ენაზე. არა იმიტომ, რომ კარგავს სხვა ენაზე თავის ხიბლს, არამედ იმიტომ, რომ მინდა ქართველმა ნახოს ქართულ ენაზე გახმოვანებული თავისი ნაციონალური ფილმი.

*– როდის დაიწყებთ მუშაობას?*

– არ დაგვიკომპლექტებია ჯერ გუნდი, თუმცა შეგვიძლია ყოველ დღე დავიწყოთ. თანხა გვაქვს, სტუდია თავისუფალია, კინოსტუდიაში, მოგეხსენებათ, არაფერი კეთდება. თუ ეტყვით, რომ გახმოვანება მინდაო, პირიქით გაუხარდებათ, ცოტა თანხა შევუვათ, მაგრამ დღეს იმდენი რამ ხდება საქართველოში, სულ რაღაც პროცესებში ვართ ჩაბმული. სულ შეხვედრებია, კონფერენციები ტარდება, ამიტომ დრო არ მაქვს, მაგრამ პირობას გაძლევთ, ამ ფილმს ქართულად აუცილებლად გავახმოვანებთ. მოგეხსენებათ, ფილმი რუსულად არის გახმოვანებული, გაკეთებული აქვს ინგლისური სუბტიტრებიც. სურათი რუსმა არტისტებმა რომ გაგვიხმოვანეს ორი წლის წინ მოსკოვში, არც ერთმა მსახიობმა ამ შრომაში ფული არ აიღო.

*– ახალ ფილმზე მუშაობას აპირებთ?*

– ახალი ფილმი არაფერი დამიწყია. ვცოცხლობ იმით, რომ მაქვს ძალიან დიდი სცენარი, 11 სერიანია და ეძღვნება სტალინის სიცოცხლეს და მოღვაწეობას. დრო არ დაუდგა საქართველოს, რომ დაინტერესდეს ამ სცენარით, თორემ რუსეთში ვიპოვიდი კომპანიებს, ვინც ამით დაინტერესდებოდა. გარწმუნებთ, ამ ფილმს ექნება სულ სხვანაირი რეზონანსი.

*– რას გულისხმობთ?*

– ამ ფილმს ექნება დიდი კომერციული შემოსავალი, გაიყიდება მთელ მსოფლიოში. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სტალინი ქართველი იყო და ეს ფილმი გაკეთდება ქართველი რეჟისორის მიერ, მერე რაც წლები გადის სტალინის ფიგურა სულ უფრო და უფრო მაღლდება. ამით სახელმწიფოსაც დიდი შემოსავალი ექნება და არ დარჩება კუთხე მსოფლიოში, სადაც მას არ ნახავენ. მთავარი ის არის, რომ სამშობლოში იყოს ამის ინტერესი. საქართველოში კი ჯერჯერობით არ არის ამის კლიმატი.

*– იქნებ ძვირია თქვენი პროექტი?*

– ძვირი არის, მაგრამ შემოსავალი დიდი ექნება. ჯერ არავისთვის მითქვამს, წაიკითხეთ და თუ გინდათ, მიიღეთ მონაწილეობა ფილმში-მეთქი. მიდევს სახლში სცენარი და ვარ ასე.

*– დიდი ხანია სცენარი მზად გაქვთ?*

– სულ ცოტა 10 წელია. ამ სცენარზე მუშაობა რომ დავიწყე, მის მერე გადავიღე „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“, იმის მერე კი გავიდა 6-7 წელი. მაშინ ეს სცენარი უკვე მზად მქონდა.

*– ფილმი მხატვრული იქნება?*

– კი, სატელევიზიოც იქნება 11-სერიანი და კინოვარიანტსაც გავაკეთებ. პირველად იქნება მოცემული ამ ფილმში სტალინის ფსიქოლოგიური და ადამიანური სახე. ვერც ალექსანდრე მაკედონელი, ვერც ნაპოლეონი სტალინს ვერ შეედრებოდა. მიკვირს, რომ მის მიმართ ინტერესი არ არის.

*– სცენარი თვითონ დაწერეთ?*

– სცენარზე ვიმუშავეთ მე და აწ განსვენებულმა დევი სტურუამ, რომელიც გამოირჩეოდა თავისი მაღალი ინტელექტით, საქმის ცოდნით. ერთ დროს ის იყო საქართველოს ცეკას მდივანი. მისი მამაც პოლიტიკური მოღვაწე იყო და ახლოს იცოდა აუცილებელი პარტიული მომენტები, მათი სამზარეულო მისთვის ცნობილი იყო. ამან ძალიან სწორ გზაზე დამაყენა იმისთვის, რომ მეაზროვნა ისე, როგორც საჭირო იყო.

## სამგლოვიარო განცხადებები

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი იურისტი და პედაგოგი, პროფესორი



**მაყვალა კახაძე**

პანაშვიდი: 6 და 7 თებერვალს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 8 თებერვალს, 14 საათზე.

მისამართი: მოსაშვილის ქუჩა №3, ბინა 28.



შვილები მარიკა, გიგლა, ეკა, გვანცა ჩიქოვანები, შვილიშვილები ბორის, ზურაბ ჭილვარიები, სანდრო, ნინო ტოროტაძეები, გიორგი, ზურაბ ჩიქოვანები, დიანა, მედიკო ყლენტები, რძლები ეკა კუპრაშვილი, ნანი ჩხეიძე, ლიანა ჯაფარიძე, მული ნანა ჩიქოვანი, სიძე ანდრო ტოროტაძე, მძახლები ჟუჟუნა ჯაფარიძე, ნუნუ მამისაშვილი, ლალი კობაიძე, მულიშვილები შოთა, თამუნა კაპანაძეები, მაზლიშვილები რუსუდან, ქეთევან ჩიქოვანები, ახლო ნათესავები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იფიგენია (ითო) კონსტანტინეს ასული შარაშიძე-ჩიქოვანი**

პანაშვიდი: 7, 8 თებერვალს, 16 საათზე, ქობულეთის ქ.№10.

გამოსვენება: 9 თებერვალს, 14 საათზე, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

შვილი ლევანი, რძლები ნანა ბელადიძე, ირმა ნონიაშვილი, ანა მირუაშვილი, ალისა ჩენონი, შვილიშვილები დათო, ლევან, ილა და მარიამ ცანავები, შვილთაშვილები ლევან და ნიკოლოზ ცანავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი



**ნოდარ ილიას ძე ცანავა**

პანაშვიდი: 6, 7 თებერვალს, 17 საათზე, ზაზა ბენდელიანის ქ. IV კორპუსი, II სადარბაზო, VII სართული.

გამოსვენება: შაბათს, 8 თებერვალს, 14 საათზე, ვაკის სამების ტაძრიდან.

სააქციო საზოგადოება „ხიდმშენი“ ღრმა მწუხარებით იუწყება საზოგადოების გენერალური დირექტორის გრიგოლ ჩიქოვანის დედის

**იფიგენია (ითო) კონსტანტინეს ასულ შარაშიძე-ჩიქოვანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

შაბათი

7 თებერვალი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"მაღალი, ქერა მამაკაცის დაბრუნება"** 17.00 ტ/სერ. **"კრიმინალური ქვალი"** 19.05 დ/ფ "მეფის მუმიის საიდუმლო" 20.00 ზამთრის ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნა (პ/ტრ) 23.00 მხ/ფ **"მესაათე"** 00.50 მხ/ფ **"ტეხასური ჟლეტა ხერხით: დასაწყისი"** 23.30 მხ/ფ **"ჯაყოს ხიზნები"**

08.00, 10.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) 12.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ) 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კულინარიული დუელი (გ/ჩ) 16.03 სერ. **"სიყვარულის დრო"** 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 21.00 სერ. **"სილა"** 22.00 თოქ შოუ_ რეაქცია 00.00 მხ/ფ **"გარიგება"** (ს. ბლერი) 01.55 სერ. **"ოქროს კერპი"** 4 სერ.

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.10 საგალობელი 06.15 დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" 07.00 დოკ/ფ "გზა" IV სერია 07.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ/ფ "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" 11.25 ისტორიის გაკვეთილი 11.50 ქვიშით ნაამბობი 12.10 პორტრეტები 12.50 მოკ/ფ **"საერთო კედელი"** 13.20 პატერიკი 13.25 ქვიშით ნაამბობი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დოკ/ფ "მსახური ღვთისა და კაცისა" გაბრიელ ეპისკოპოსი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 კონცერტი -ანასოფია მუთერი 17.00 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"რაჭა ჩემი სიყვარული"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "მთავარსარდალი" დავით აღმაშენებელი" III ნაწ. 23.40 დოკ/ფ "წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** 7.00, 0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30, 14.00, 5.30, 6.30 ფარული კამერა 8.00, 9.15 მულტფილმები 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 10.15, 16.00 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.15 **სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება"** 1.45, 4.30 NX სპიკერი

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

7 თებერვალი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,7703 | ევრო — 2,3915 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8812 | 100 რუსული რუბლი — 5,0639 |




## ასტროპროგნოზი 7 თებერვლისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ! შემოქმედებითი დღეა**

**ვერძი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **სასწორი** — იყავით თვითკრიტიკული, თორემ სხვები გაგაკრიტიკებენ. **ღრიანკალი** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** — ნუ აყვებით ჭორებს, არ ღირს. **თხის რქა** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ მეგობრების რჩევას, დღეს ნამდვილად გჭირდებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. სტუმართმოყვარე, გულუხვი მასპინძელი; 2. ტვირთის ასაწევი კიდული მოწყობილობა; 3. ძველი, იშვიათი წიგნებით მოვაჭრე; 4. გარეული ცხოველი, მადრიდის სიმბოლო; 5. საქართველოს ეროვნული გმირი; 8. რძის პროდუქტი; 9. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 12. ტროპიკებში ბინადარი მოკლეხორთუმიანი გარეული ცხოველი; 14. მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჩანჩქერი; 16. საბანკო შეტყობინება.

**თარაზულად:** 1. ტბა საქართველოში; 6. ნოდარ დუმბაძის რომანი; 7. ნახშირის სახატავი ფანქარი; 9. უბანი ძველ თბილისში; 10. იტალიური ორცხობილა; 11. კოსმოსში გაგზავნილი ქართული ხალხური სიმღერა; 13. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 17. ქალაქი შვეიცარიაში; 18. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 19. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 20. მაღალხარისხოვანი არომატული სპირტიანი სასმელი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*



## მალე! მალე! მალე! მალე! მალე!

## „ახალ თაობასთან“ ერთად

## საქართველოს ისტორია

### საერო და საეკლესიო რუკების მიხედვით

## ქლეტის ღმერთი თბილისშია

7, 8 და 9 თებერვალს ილიაუნის თეატრში ფრანგი მწერლის, იასმინა რეზას პიესის „ქლეტის ღმერთი“ პრემიერა გაიმართება. ფრანგულ პიესას ახალგაზრდა, დამწყებმა რეჟისორმა, დავით ჭაბაშვილმა მიმართა. თეატრალურ წარმოდგენაზე მუშაობა კინო და ტელე რეჟისორისათვის დებიუტია. სერიალის „გოგონა გარეუბნიდან“ და რამდენიმე მოკლე და სრულმეტრაჟიანი ფილმის რეჟისორი თეატრში პროფესიონალ მსახიობებთან ერთად პირველად დგამს სპექტაკლს.

– რა შეიძლება მოხდეს, როდესაც თინეიჯერი ბიჭების მშობლები ერთმანეთს თავიანთი შვილების ყოფაქცევის განსახილველად ხვდებიან? არაფერი განსაკუთრებული, იტყვით თქვენ. შეიკრიბებიან, დალევენ ჩაის, ან ყავას ან ალკოჰოლს და ზრდილობიანად წარმართავენ ცივილურ, გაწონასწორებულ საუბარს იმის თაობაზე, თუ როგორი ახალგაზრდა თაობა მოდის, როგორ იცვლება დროება და როგორი განსხვავებული ბავშვები იყვნენ თვითონ, არა? დიახ, სწორედ ასე იწყება იასმინა რეზას პიესა „ქლეტის ღმერთი“, თუმცა... გარწმუნებთ, პატარა ბიჭები ყველგან და ყველა დროში ერთნაირად იცელქებენ, აი, მათი მშობლების ქცევის წინასწარ გათვლა კი სრულიად შეუძლებელია, – ასეთია სპექტაკლის სინოფსისი.

ილიაუნის თეატრში, სპეციალურად ამ წარმოდგენისათვის მოწვეულნი იქნებიან სხვადასხვა თეატრის მსახიობები გიორგი ბახუტაშვილი, ნატა ბერეჟიანი, გიორგი ბოჭორიშვილი და მაია ხორნაული. სპექტაკლის დამდგმელი მხატვარი არის გოჩა აგაშენაშვილი. სპექტაკლი „ქლეტის ღმერთი“ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით დაიდგა.

ეკა ირემაშვილი



## ლიტერატურის მუზეუმში იზა ორჯონიკიძეს გაიხსენებენ

8 თებერვალს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ოეტისა და ლიტერატურის მუზეუმის დირექტორის იზა ორჯონიკიძის ხსოვნის საღამო გაიმართება.

როგორც ლიტერატურული მუზეუმის წარმომადგენელმა ნინო გოგუამ „ახალ თაობას“ განუცხადა:

– ქართველი პოეტი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. იყო გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი. მისი პირველი პოეტური კრებულია „ორი დღეკეთილი“. მასვე ეკუთვნის ლექსების კრებულები „ნათელი“, „ქვის სასთუმალი“, „წვიმის მოსვლამდე“, „ავტოპორტრეტი“, „სასწაულია შეხვედრა ჩვენი“, „აქ, სამუდამოდ“, „დაბინდებამდე“, „ოდესღაც და სულ ახლახან“, „რომაული არდადეგები“, „წვიმიანი გაზაფხულის ქრონიკა“. ასევე გარდაცვალებამდე 2 წლით ადრე გამოცემული რჩეული სამტომეული – „ჩემი ოდისეა“, „სულის სახლში“, „გამოძახილი“. ამავე წელს გამოიცა იზა ორჯონიკიძის ავტობიოგრაფიული წიგნი „თავწყარო“. მას ეკუთვნის რუსი პოეტის ანა ახმატოვას ლექსების თარგმანი-კრებული „50 ლექსი“ და მე-20 საუკუნის ბერძნული პოეზიის თარგმანთა ორი გამოცემა „მახსოვს, მწყუროდა“ და კონსტანტინე კავაფისის ლექსების კრებული. იზა ორჯონიკიძის პოეზია თარგმნილია რუსულ და უკრაინულ ენებზე. იგი ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატია, დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა და თბილისის საპატიო მოქალაქის ტიტულით. გასულ წელს მას საქართველოს პრეზიდენტმა გადასცა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია.

– რა ტიპის ღონისძიებას გეგმავთ?

– ამ საღამოზე იქნება ლექსების კითხვა, მოგონებები იქნება მასზე და ჩვენება ვიდეოჩანაწერებისა. გარდა ამისა, წარმოდგენილი იქნება ჩვენი და სხვა გამომცემლობების მიერ გამოცემული წიგნები. სამწუხაროდ, ახალი კრებული კი არ გვაქვს.

– ვინ წაიკითხავს მის ლექსებს?

– ლექსებს წაიკითხავენ ლიტერატურული თეატრის მსახიობები, ნაირა გელაძე და კოტე მჟავია, მაგრამ მოგონებებში ვინც არიან ცოცხლები, ყველანი დაპატიჟებული არიან და დარწმუნებული ვარ, რომ ყველა რაღაცას მოიგონებს იზაზე. წინასწარ ცოტა რთულია მათი დასახელება. მთავარია, რომ ამ საღამოზე შეიკრიბებიან ის ადამიანები, ვინც მას იცნობდა და მეგობრობა აკავშირებდა. მათი ნაწილისადმი იზას ლექსებიც აქვს დაწერილი, აქვთ წერილობითი მიმოწერაც და მთლიანობაში საინტერესო საღამო უნდა გამოვიდეს.

– 8 თებერვალი საიუბილეო თარიღია?

– მას შარშან 75 წელი შეუსრულდებოდა. სამწუხაროდ, ჩვენ ამ თარიღის აღნიშვნა ვერ მოვახერხეთ, ამიტომ წელს ვატარებთ. თანაც 8 თებერვალი მისი გარდაცვალების დღეა და ამ დღეს იმიტომ გადაწყდა ხსოვნის საღამოს ჩატარება.

ეკა ირემაშვილი

## აფხაზეთი და ოსეთი მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ




ფიფას არაწევრ „ეროვნულ ნაკრებთა“ ორგანიზაცია კონიფა, რეგულარულად მართავს მსოფლიოს ჩემპიონატის ანალოგიურ ტურნირს, რომელსაც წელს შვედეთი უმასპინძლებს.

ჩემპიონატში სულ 12 გუნდი მონაწილეობს და მათ შორის არიან დე ფაქტო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „ნაკრებები“.

ტურნირი ივნისში გაიმართება და საფეხბურთოს გარდა, კულტურულ ღონისძიებებს და ახალგაზრდების გაცვლით პროგრამაში ჩართვასაც გულისხმობს.

ოსეთ-აფხაზეთის გარდა, „მუნდიალზე“ ითამაშებენ: არამეული სირია, ქურთისტანი, ტამილ ილამი, ზანზიბარი, დარფური, ელანი, კვებეკი, მთიანი ყარაბაღი, პადანია, საპმი და აკვიტანია.

შეგახსენებთ, რომ 2012 წელს დე ფაქტო აფხაზეთისა და მთიანი ყარაბაღის ნაკრებებმა ორი ამხანაგური „საერთაშორისო“ მატჩი გამართეს: სოხუმში 1:1 ითამაშეს, ხოლო სტეფანაკერტში ყარაბაღელებმა 3:0 მოიგეს.

ეს ტურნირი ფიფას ეგიდით არ ტარდება და ბუნებრივია, არც სფფ-ს შეუძლია ამ ნაკრებებს ტურნირში მონაწილეობაში ხელი შეუშალოს.

მ. ჟ.


www.abdiibrahim.com.tr

შეფუთნეთ „ზამთრის ინფექციები“ თქვენი ოჯახის ერთგული მეგობრების დახმარებით

ბენექსი
ორალური სპრეი

ბენექსი პლიუსი
ორალური სპრეი



ყელის ტკივილისა და პირ-ხახის ინფექციურ-ანთებითი დაავადებების ეფექტური, სწრაფი და უსაფრთხო მკურნალობა

- სწრაფად ხსნის ტკივილსა და დისკომფორტს
- უზრუნველყოფს ხანგრძლივ გაუტკივარებას
- აუმჯობესებს ლეჭვისა და ყლაპვის ფუნქციებს
- გამოიყენება ყველა ასაკობრივ ჯგუფში: ბავშვებში, მოზრდილებსა და ხანდაზმულებში
- აქვს სასიამოვნო გემო

ბენექსი სპრეის გამოყენება შეიძლება 6 წლამდე ასაკის ბავშვებში, ხოლო ბენექსი პლიუსი ბავშვებში ინიშნება 6 წლის ასაკიდან.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

საქართველო, თბილისი 0112,
დ. აღმაშენებლის გამზ. 148/III

PSP №1

ABDIIBRAHIM



ბენექსი
ბენზიდამინი

ბენექსი პლიუსი
ბენზიდამინი/ქლორჰექსიდინი